

ს3

1239
2010

საქართველოს ბიბლიოთეკა



ISSN 1512-0880

საქართველოს



ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 36-09-51

ქურნალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
ბურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გუდნარა სცურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექტორული მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაციის „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.





საქართველოს ბიბლიოთეკა № 1 (38) - 10
შინაარსი

სკოლის ბიბლიოთეკა: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები 4

ღირსეული წინაპრები

შოთა მალაზონია – ღირსეული მოძღვარი და მამულიშვილი 7

ნანა ქავთარაძე – იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენა“ 11

ფილოლოგიური ძიებანი

გივი აბესაძე – პოეტური შედეგის თავგადასავალი 15

კორესპონდენციები

ნინო ჭრიკიშვილი-ქოქრაშვილი – ექსკურსია გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში 17

მანანა ყაბანაშვილი – 1. იქ, სადაც მკითხველს მიუხარია 17

2. კვლავ ამინთე გულში სანთელი 18

ლია ნიპარიშვილი – „... შემინახე დედაო მინავ“ 19

ნანა ოქროპირიძე – მასწავლებლის დღეს მიემდვნა 20

მოგონება

გიორგი სარაჯიშვილი – ჩვენი უბნელი ვახუშტი 22

ოთარ ოსაძე – ახლანდელი გადასახედიდან 25

მოსაზრება

იური სიხარულიძე – ახალგაზრდა მხატვრის ერთი შედეგრი 28

მეთოდური სამსახური

გურამ თაყნიაშვილი – საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის მეთოდოლოგია 29

ჩვენი გამომცემლობები

ახალი გამომცემლობა ახალი იდეებით 33

ინფორმაციები

31

ფ. ოპიზარი – ჩვენი ცხოვრების წყარო 34

ფ. ონტოფოელი – საქართველო მე-16 საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობაში 36

გამოკვლევა ძირძველ დასახლებაზე „... თხემით ტერფამდე ქართველი“ 37

პრეზენტაცია 37

ქვირფასი ნობათი 38

ნარკვევთა დიდი კრებული 39

ნაშრომი ბიბლიოთეკის მენეჯერთათვის 39

პირველი ქართული სტამბის გამოცემები 40

გ. თაყნიაშვილი – ახალი ონომატოლოგიური კრებული 41

რევიუ

იური მგალობლიშვილი – იტალიური კინო-ხელოვნება 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში 42

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა 46

კონწარას კლუბი

თურმე სად ვყოფილვართ 47

საცნობოდ საკითხავი

სხვადასხვა 50

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №1 (38) -10
Содержание

Школьная библиотека: современное состояние и перспективы	4
Прославленные предшественники	
Шота Малазония – достойный сын отечества и наставник	7
Нана Кавтарадзе – Бессмертная «Деда ена» Якова Гогешвили	11
Филологические изыскания	
Гиви Абесадзе – Приключения поэтического шедевра	15
Корреспонденция	
Нино Чрикишвили-Кокрашвили – Экскурсия в дом-музей Георгия Леонидзе	17
Манана Кабанашвили – 1. Там, где читатель бывает с радостью	17
2. Вновь зажигаешь в Грузии моей свечу	18
Лия Нипаришвили – «...Храни меня, мать-земля»	19
Нана Окропиридзе – Посвящается дню учителя	20
Воспоминания	
Георгий Сараджишвили – Вахушти – из нашего квартала	22
Отар Осадзе – Взгляд из настоящего	25
Мнения	
Юрий Сихарулидзе – Шедевр молодого художника	28
Методическая служба	
Гурам Такниашвили – Систематизация библиотечных документов	29
Наши издательства	
Новое издательство – новые идеи	33
Информация	
Ф. Опизари – Источник нашей жизни	34
Ф. Онтофозли – Международные взаимоотношения Грузии в 16 веке	
Исследование коренного поселения	36
«Грузин с головы до ног»	37
Презентация	37
Драгоценный подарок	38
Большой сборник очерков	39
В помощь менеджерам библиотеки	39
Издания первой грузинской типографии	40
Гурам Такниашвили – Сборник ономастики	41
Ревю	
Юрий Мгалоблишвили – Итальянское кино искусство в первое десятилетие 21-го века	42
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии	46
Клуб Концары	
Оказывается где мы находимся	47
Чтение для любознательных	
Разное	50

Georgian Library, 1 (38) - 10

Table of content

School Library: State and Prospects.....	4
Praiseworthy Ancestors	
Shota Malazonia – Praiseworthy Spiritual Guide and Patriot.....	7
Nana Kavtaradze – The Immortal Deda Ena by Iakob Gogebashvili.....	11
Philological Explorations	
Givi Abesadze – Adventure of a Poetic Masterpiece.....	15
Correspondence	
Nino Chrikishvili-Kokrashvili – Excursion to the Giorgi Leonidze House Museum.....	17
Manana Kabashvili – 1. Where a Reader Goes Eagerly.....	17
2. You've Lit a Candle in My Heart Again.....	18
Lia Niparishvili – "... Save It for Me, Oh Motherland".....	19
Nana Okropiridze – Dedicated to Teachers' Day.....	20
Recollections	
Giorgi Sarajishvili – Vakhushti, a Guy from Our Neighbourhood.....	22
Otar Osadze – Looking Backwards.....	25
Opinion	
Iuri Sikharulidze – A Masterpiece by a Young Artist.....	28
Methodological Consultation	
Guram Takniashvili – Systematisation of Library Documents.....	29
Our Publishing Houses	
A New Publishing House Means New Ideas.....	33
Information	
P. Opizari – Our Source of Life.....	34
P. Ontopoeli – Georgia in 16th-Century International Relations.....	36
A Study on an Indigenous Settlement.....	37
"... A Georgian from Head to Toe".....	37
Presentation.....	38
Precious Gift.....	39
A Big Collection of Essays.....	39
A Book for Library Managers.....	40
The Publications by the First Georgian Printing House.....	41
G. Takniashvili – Onomastics Digest.....	41
Reviews	
Iuri Mgaloblishvili – Italian Art in the First Decade of the 21st Century.....	42
Chronicle	
The Chronicle of the Georgian Library Life.....	46
Kontsara's Club	
That's Where We Appear to Be.....	47
Some Interesting Facts	
Miscellaneous.....	50

სკოლის ბიბლიოთეკა - თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

საქართველოს თანამედროვე სკოლების ბიბლიოთეკები რადიკალურად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან. ეს ბუნებრივია იმ ვითარებაში, რომელიც ქვეყნად არსებობს. ობიექტურადაა შეუძლებელი ყველა სკოლის ბიბლიოთეკას თანაბრად ერთნაირი პირობები ჰქონდეს. სკოლის მოცულობა, ბიუჯეტი, შენობა, ტრადიციები, კადრები და მთელი ინფრასტრუქტურა არ იძლევა ამის საშუალებას. ამიტომაც საჭიროა ადგილობრივი მონაცემების გათვალისწინებით ხდებოდეს ყოველი სკოლის ბიბლიოთეკის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განსაზღვრა. ყოველ ობიექტს ინდივიდუალურად ჭირდება მიდგომა, მაგრამ კატეგორიულად აუცილებელია არსებობდეს ერთიანი, საყოველთაო პროგრამა, კრიტერიუმები, ეტალონები, სტანდარტები, ტიპიური მეთოდიკური საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენება. ცხადია, ყველა შემთხვევაში ყოველი ინდივიდუალური ობიექტისადმი მაქსიმუმი უნდა იყოს გათვალისწინებული და გაკეთებული.

იტყვიან ხოლმე: გასაჭირი ერთია – მისი დაძლევის გზა – მრავალი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ის, რაც გასაკეთებელია, იმდენად ერთნაირია, ძნელი არაა ყველასათვის ერთიანი პრობლემები გამოისახოს, როცა განსხვავებაზეა ლაპარაკი, ეს არაა გასაკეთებელ საქმეს, არამედ მისი შესრულების ხერხებს, საშუალებებს, კონკრეტულ ვადებსა და მოცულობის სხვადასხვაობას ეხება. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უკვე ნათლად გამოიხატა ის ნაკლოვანებები და პრობლემები, რომლებიც საქართველოს სკოლის ბიბლიოთეკებში იჩენს თავს და საყოველთაო ხასიათს იძენს. საერთოდ, ეს იმგვარი ნაკლოვანებებია, რომლებიც ფუნდამენტურ საწყისებს არღვევს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, სკოლის ბიბლიოთეკის სტატუსსა და სტრუქტურას შეეხება.

არ არის მკვეთრად განსაზღვრული, თუ რა სტატუსს ატარებს სკოლის ბიბლიოთეკა, რა არის მისი დანიშნულება, რა ადგილი უჭირავს სკოლაში, რა უფლებებითა და მოვალეობებითაა აღჭურვილი, რა არის მისი მისია. იმ პირობებში, როდესაც სკოლის ბიბლიოთეკა, ფაქტობრივად, ვოლუნტარისტულად იმართება სკოლის დირექტორებისაგან, ყოველგ-

ვარი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები მათ მიერ უმეტესწილად უგულვებელყოფილია. როგორც წესი, სადაც დირექტორი საყოველთაო მოთხოვნილებათა დონეზეა – იცნობს აღზრდის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის არსს, იცის წიგნიერების ფასი – ბიბლიოთეკა იქ, ასე თუ ისე, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში – ბიბლიოთეკები საველადლო პირობებში არის მოქცეული. ცხადია, ბევრ რამეს ხელმძღვანელობის მოქნილი, მაღალკულტურული, შეგნებული მოქმედება განაპირობებს.

უამრავი რამ არის დამოკიდებული რესურსებზე. ამ შემთხვევაშიც შეიძლება თქვას იგივე, რაც სკოლის ხელმძღვანელობის მართვის დონეზე ითქვა. ბევრია დამოკიდებული ხელმძღვანელის პროფესიონალიზმზე, მისი მართვისა და საქმის წინასწარჭვრეტის უნარზე, მის პიროვნულ თავისებურებაზე. ამ მხრივ, ჩვენში, ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი მოგვარებული გვაქვს. მაგრამ სკოლის ბიბლიოთეკებს არა მარტო სუბიექტური ფაქტორები უშლის ხელს, არამედ ობიექტური – სრული უსახსრობა ან მეტისმეტად მცირე დოზაციები. ბიბლიოთეკების გადამჭრელ უმრავლესობას საშუალება არა აქვს შეიძინოს ახალი წიგნები, გამოიწეროს პერიოდიკა, მიიღოს ბიბტექნიკა, აღარაფერს ვამბობთ ელექტრონულ და აუდიოვიზუალურ საშუალებებზე, ბიბლიოთეკების უმრავლესობას არა აქვს კომპიუტერი; თუ აქვთ – არ არის ჩართული ინტერნეტში. საუკეთესო შემთხვევაში, სკოლაში არის ინფორმაციული ცენტრიც და ბიბლიოთეკაც, მაგრამ ისინი სავსებით განცალკევებულად მოქმედებენ (თუ არის, საერთოდ, ამგვარი პრეცედენტი). ვერ იქნა, ჩვენში სპეციალისტები როგორმე დარწმუნდნენ, რომ ამ ორი ობიექტის შერწყმა საჭირო.

დღეს ყოველი ბიბლიოთეკა საინფორმაციო/მედია ცენტრია. სად, თუ არა სკოლის ბიბლიოთეკაში ყველაზე მოსახერხებელია იყოს საინფორმაციო მომსახურება, სადაც მოსწავლე საქმიანად გამოიყენებს კომპიუტერს და არა თამაშით გაერთობა, როგორც საინფორმაციო ცენტრში. ცხადია, თამაშსაც თავისი ადგილი აქვს ბავშვის ცხოვრებაში, მაგრამ ის თუ პედაგოგიური და მორალურ-ეთიკური პრინციპებით არ არის მართული, სიავის მეტს არაფერს მოიტანს. ბიბლიოთეკის პირობებში

მოსახერხებელია არის სასარგებლო ელექტრონული მასალის პოპულარიზაცია, მისით მკითხველთა დაინტერესება, გამოყენება სხვადასხვა მასობრივი თუ გასართობი ღონისძიების დროს და ა.შ.

ზოგ სკოლას კომპიუტერი კი აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ხელყოფისაგან დაცვის სხვა პირობები არ არსებობს, კომპიუტერები თითქმის უმოქმედოდაა ჩაკეტილი სკოლის დირექტორის კაბინეტში. გაურკვეველია, რატომ არის შეუძლებელი ბიბლიოთეკაც იმგვარად იყოს დაცული, როგორც დირექტორის კაბინეტი?

ასეთ ვითარებაში მოსწავლეები ვერ ეუფლებიან ესოდენ საჭირო კომპიუტერულ ცოდნას. ბიბლიოთეკაში კომპიუტერის არსებობა და მისი გამოყენება ყველაზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო საშუალებაა ამ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების მეთოდების პრაქტიკულად შესწავლისათვის. თუკი ამას დაემატება თანამედროვე მეთოდოლოგიით მოსწავლეთა სწავლება, როცა მონაფე იძულებულია გამოიყენოს როგორც წიგნი, ისე კომპიუტერი, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სკოლის ბიბლიოთეკა, სადაც ეს ორივე კომპონენტი ერთმანეთსაა შეთავსებული.

ურთულესი ვითარებაა სასკოლო ბიბლიოთეკების სპეციალისტებით უზრუნველყოფის მხრივ. რიგ შემთხვევაში ბიბლიოთეკარებად სავსებით გამოუცდელი ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ელემენტალურ პროფესიულ ცოდნას ვერ ფლობენ. თავი გავანებოთ იმას, რომ ეს დაუშვებელია, მაგრამ განათლების სისტემა თუ იძულებულია ეს გააკეთოს, კეთილი ინებოს და იზრუნოს მათ კვალიფიკაციაზე. არც ერთ რესურსცენტრს ამ მხრივ ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამგვარ თანამშრომლებს ესაჭიროებათ სათანადო კურსების გავლა, სერტიფიკატის მიღება, დახმარება პროფესიული დაოსტატებისათვის.

საგულისხმოა, რომ სკოლის აკრედიტაციის დროს მხედველობაში მიიღება სკოლაში ბიბლიოთეკის არსებობის ფაქტი, მაგრამ მისი რეალური დონის განსაზღვრა არ ხდება, საჭიროა თვით სკოლის ბიბლიოთეკის დამოუკიდებელი აკრედიტაცია. რაც საკმაოდ შეუწყობდა ხელს მდგომარეობის გამოსწორებას.

იმის გამო, რომ ბიბლიოთეკართა დიდი ნაწილი არ იცნობს სამუშაო პროცესებს, ხოლო ზოგიც არ თვლის საჭიროდ, რადგანაც ამას მათგან არავინ ითხოვს, ბიბლიოთეკების უდიდეს ნაწილს არა აქვს არც სტრატეგიული და არც ოპერატიული გეგმა, არ ადგენენ კვალიფიციურ ანგარიშებს, არ იცავენ წარმოების ტექნოლოგიისათვის საჭირო წესებს. რა თქმა უნდა, ეს უარყოფითად ზემოქმედებს შრომით საქმიანობაზე. რა პერსპექტივებზე შეიძლება ლაპარაკი, გარკვეული თუ არაა, რა უნდა გაკეთდეს და რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა?

დიდ შემაფერხებელ პირობად მიიჩნევა სასკო-

ლო ბიბლიოთეკების ძალიან დაბალი პროფესიული ინფორმაციის დონე: ბიბლიოთეკარებმა, ფაქტობრივად, არაფერი იციან, რა ხდება საბიბლიოთეკო სფეროში. სკოლის ბიბლიოთეკარები არამც თუ განეწიანებულნი არიან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში, არამედ უმეტეს მათგანმა არც კი იცის ამგვარი გაერთიანების არსებობა; ბევრს არც კი გაუგია, რომ გამოდის პროფესიული ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, ვინც იცის, მის გამოწერასაც ვერ ახერხებს; არ არიან საქმის კურსში, რომ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში პერიოდულად იმართება ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელიც სერტიფიკატის გაცემის უფლებითაა აღჭურვილი.

ადრე ამგვარ საქმიანობას თვალყურს ადევნებდა და სათანადო ზომებს ღებულობდა განათლების სამინისტროსთან არსებული მეთოდცენტრი, მოქმედებდა აგრეთვე სკოლის მოსწავლეებთან დახელოვნების რესპუბლიკური და საქალაქო ინსტიტუტები, რომლებიც სკოლის ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების საქმესაც ასრულებდნენ. ამჟამად ამგვარი რამ თითქმის არ არსებობს და არც მეთოდცენტრები ფიქრობენ ამაზე. ისმის კითხვა – რატომ? ალბათ იმიტომ, რომ არ მიაჩნიათ ეს საჭიროდ ან სკოლის ბიბლიოთეკები სრულებითაც არ იზყრობენ მათ ყურადღებას. რესურსცენტრები თუ თავიანთ გეგმებში სასკოლო ბიბლიოთეკებზე ზრუნვას შეიტანენ, შეიძლება ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს მთლიანად მოშლილი საქმე.

დიდ წინააღმდეგობას შეიცავს სკოლის ბიბლიოთეკართა სოციალური არსის განსაზღვრა და რეალობა. ფაქტობრივად, შეუსაბამოა ის, რასაც ბიბლიოთეკარები აკეთებენ და ის, რა მდგომარეობა უჭირავთ მათ სკოლაში. მიუხედავად საბიბლიოთეკო საზოგადოების რამდენიმე ათწლიანი ცდისა, ვერაფრით ვერ მოგვარდა დღემდე, რომ სკოლის ბიბლიოთეკარი პედაგოგის თანაბრად იყოს წარმოდგენილი, რაც, სხვათა შორის, მის საშტატო მოვალეობით არის განპირობებული. ისიც ვერ მოხერხდა, სკოლის ბიბლიოთეკარი განიხილებოდეს არა ტექნიკურ, არამედ სასწავლო-დამხმარე პერსონალად მაინც. დღეს იგი მოიაზრება როგორც ტექნიკური მუშაკი – დარაჯის, მეეზოვის, დამლაგებლის, მნეს და მისთანებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, იმათ გაცილებით მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე სკოლის ბიბლიოთეკარებს. ამ უკანასკნელის სოციალურ დაცვაზე არავინ ფიქრობს, არავინ ზრუნავს მათი შეჭირვებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ისინი მაშინაც კი არ ჰყავთ მხედველობაში, როცა სახელმწიფო დონეზე გამართულ შეხვედრებსა თუ სხვა ღონისძიებებზე, სადაც სკოლის პედაგოგებსა და სააღმზრდელო საქმიანობაზე არის

ლაპარაკი. გაურკვეველია, როცა სკოლის მასწავლებლების სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, შეღავათებზე მიმდინარეობს საუბარი, რატომ არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული სკოლის ბიბლიოთეკარები? კანონის თანახმად, ისინი სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას ეწევიან. „კანონი საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ გამოკვეთილად აცხადებს: „სასკოლო ბიბლიოთეკარების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი“, სიტყვა-სიტყვით იგივე წერია განათლების სამინისტროს 1998 წლის „საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპიურ დებულებაში“. არც კანონი და არც დებულება არ გაუქმებულა და რაიმე ცვლილებები არ შეტანილა შიგ. მაშასადამე, ისინი მოქმედია და ვის აქვს უფლება მისი უფლებებელყოფისა?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განათლების სამინისტრომ სასკოლო ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით ამაზე იფიქროს. სხვათა შორის, საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლების სამინისტროს მიერ არ გატარებულა რაიმე ქმედითი ღონისძიება ამ დოკუმენტების რეალიზაციისათვის. არ შემოუშავებულა რაიმე კანონქვემდებარე აქტი, არ შემოწმებულა სკოლის ბიბლიოთეკები იმის გასარკვევად, რამდენად შესაბამისად სრულდება „კანონი“ და „დებულება“. მართალია, სამინისტროს „დებულება სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ“ ტიპიურია და ყოველი სკოლისათვის ზუსტად ამგვარი სახით სავალდებულო არ არის, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობა განა მოვალე არ იყო ტიპიური დებულების საფუძველზე თავისი დებულება შეექმნა და იმის მიხედვით ემოქმედა?

სხვათა შორის, ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკები დღეს ისეთ განკარგულებებს მოელიან, რომლებიც დაარეგულირებს ფონდების აღწერის, მათი სისტემატიზაციის, გადაფასების, ჩამონერის, რეინვენტარიზაციის, სტატისტიკისა და სხვა სახის სამუშაოებს. ამ მხრივ უმეტეს საჯარო სკოლებში სრული მოუწესრიგებლობაა.

სკოლების ხელმძღვანელებს, ჩვენი აზრით, მეტი გულისხმიერების გამოჩენა მართებთ სკოლის ბიბლიოთეკების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბიბლიოთეკისა და მისი გამგის (ბიბლიოთეკარის) პრესტიჟის ამაღლება, დაფასება, ხელშეწყობა, რომ ბიბლიოთეკარი აქტიურად ჩაებას სასწავლო-აღმზრდელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში. „ტიპიურ დებულებაში“ ნათქვამია, რომ სკოლის „ბიბლიოთეკარი პედაგოგიური საბჭოს წევრია“; IFLA/UNESCO-ს მიერ შედგენილ დოკუმენტში – „სახელმძღვანელო სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის“ ერთ-ერთი თავი გვამცნობს, რომ სკოლის ბიბლიოთეკის გამგე/ბიბლიოთეკარი უნდა „ითვლებოდეს პედაგოგიური კოლექტივის სრულუფლებიან წევრად, შეეძლოს

მონაწილეობის მიღება საერთო საქმეში და ესწრებოდეს ყველა თათბირს“. მართალია, ეს საერთაშორისო დიდი ორგანიზაციების დოკუმენტია და მისი დებულებები ყველასთვის კანონი არ არის, მაგრამ მათთან ჩვენი სახელმწიფოს ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, რატომ არ უნდა მივიღოთ მათი რეკომენდაციები? ამ დოკუმენტში მრავალი რამ არის, რაც გასათვალისწინებელია ჩვენთვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს „სახელმძღვანელო“ იმდენად ბიბლიოთეკარის მისამართით არ არის შექმნილი, რამდენადაც სკოლების უშუალო ხელმძღვანელებისა და სახელმწიფო ზემდგომი ორგანოების მიმართ.

არ იქნებოდა ურიგო, სასწავლო საქმის მესვეურები მათ კომპეტენციაში მყოფი ბიბლიოთეკების მიმართ გადაწყვეტილებების მიღების დროს ითვალისწინებდნენ ამ დოკუმენტს და, საერთოდ, ზოგ შემთხვევაში სპეციალისტებს მიმართავდნენ საქმის გარკვევისა და დახმარებისათვის. ასე რომ ყოფილიყო, არ მოხდებოდა ყოვლად უვარგისი სისტემის შემოღება საქართველოში – არ მოხდებოდა საჯარო ბიბლიოთეკების შეერთება (უფრო სწორი იქნებოდა – „შეტანა“) სკოლის ბიბლიოთეკებთან. სკოლის ბიბლიოთეკა ვინრო უწყებრივი დაწესებულებაა. სკოლაში უცხო პირების შესვლა შეუფერხებლად, მათი შენობაში უკონტროლოდ გადაადგილება, თავისთავად მიუღებელია. ესეც რომ არ იყოს, სკოლის ბიბლიოთეკას არც ტექნიკურად, არც მეთოდოლოგიურად არ შეუძლია საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციების შესრულება.

სკოლის ბიბლიოთეკების პერსპექტივების განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია, მხედველობაში თუ არ იქნა მიღებული ის ნაკლოვანებები, რაც ამ მიმართულებით არსებობს, გასათვალისწინებელია ადრინდელი გამოცდილებები. მაგალითად, ერთ დროს სკოლის ბიბლიოთეკებს დაევალიათ უფასო სახელმძღვანელოების გადანაწილების რეგულირება, რამაც ზედმინვენით დააზარალა სკოლის ბიბლიოთეკები – ფაქტობრივად, ისინი მოწყდნენ თავიანთ პირდაპირ საქმიანობას. ამჟამად მოსალოდნელია, რომ სახელმძღვანელოთა გადანაწილების საქმე კვლავ სკოლის ბიბლიოთეკებს დაევალოს, რაც მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაზე უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს და ისინი, ფაქტობრივად, კვლავ საწყობებად გადაიქცევიან. თუ ამგვარად განვითარდა საქმე, რაღაც დამატებითი ზომები უნდა იქნეს მიღებული, კერძოდ, გაიზარდოს ბიბლიოთეკის ფართობი და შტატი.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი სკოლების ბიბლიოთეკების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლების ბიბლიოთეკების პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას და ნიადაგს შექმნის საქმის შემდგომი განვითარებისათვის.

ღირსეული წინაპრები

იაკობ გოგებაშვილი - 170

შოთა მალაზონია

დიდი მოქალაქე და გამაყვანილი

მე-19 საუკუნის ცნობილ ქართველ სამოციანელთა შორის იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი ყველაზე ღვაწლმოსილი და კოლორიტული ფიგურაა. ილიას თანამოაზრესა და უღალატო თანამებრძოლს წილად ხვდა ნახევარი საუკუნე ხმალჩაუგებლად ებრძოლა ქართველთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის, მათში მინავლებული იმედისა და თავმოყვარეობის გაღვივებისათვის, შევიწროებული ქართულის ჯვროვნად დაფასებისა და დასაქმებისათვის.

რამდენს ჰქონია ნათელი იდეები, მაგრამ ვერ განუხორციელებია.

რამდენს უღვაწია მოზარდთათვის, მაგრამ მადლიერების ნიშანწყალსაც ვერ ღირსებია.

იაკობი კი იმ იშვიათთაგანი იყო, ვისაც არა მარტო უჯერებენ, – მიჰყვებიან კიდეც, და არა მარტო აფასებენ, – უყვართ კიდეც.

იაკობ გოგებაშვილი, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი და უპირველესი წარმომადგენელი, დაიბადა 1840 წლის 27(15) ოქტომბერს სოფელ ვარიანში (გორიდან 12 კმ) ამავე სოფლის მღვდლის, განათლებული და კეთილშობილი პიროვნების ოჯახში.

იაკობი იმთავითვე გამოირჩეოდა გონიერებითა და გულკეთილობით. 8 წლისა გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ერთი წლის შემდეგ უფროსმა ძმამ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანა, რომელიც მან, მიუხედავად ძალზე არასასურველი პირობე-

ბისა (რასაც სწავლების დოგმატიკური სისტემა ქმნიდა), პირველ მოწაფედ დაამთავრა 1855 წელს და სწავლა განაგრძო სასულიერო სემინარიაში. საერთო ატმოსფერო აქაც სულისშემზრთავი იყო, თუმცა აქ მოღვაწეობდა დიდი პიროვნებაც – გერასიმე ქიქოძე (რომლის ფილოსოფიური ნააზრევის ღირებულება თვით ნ.

დობროლიუბოვმა აღიარა ყურნალ „სოვრემენნიკი“), შემდგომში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ, რომელმაც თავისი ჰუმანიზმით, მრავალმხრივი ცოდნითა და აღსაზრდელების გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ განვითარებაზე განუხრელი ზრუნვით დიდი გავლენა იქონია იაკობზე.

აქ იაკობი, ღრმად ეუფლება რა პროგრამულ ცოდნას, ლიტერატურით, ისტორიითა და პედაგოგიკითაც არის გატაცებული. სემინარიასაც პირველ მოწაფედ ამთავრებს (1861) და სარეკომენდაციო წერილით კიევის მიემგზავრება, სადაც წარმატებით აბარებს გა-

მოცდებს სასულიერო აკადემიაში. იაკობს საპროფესორო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ. იაკობს განსაკუთრებით მოსწონდა პროფ. ს. ს. გოგოცის ლექციები, რომელიც პედაგოგიკის კურსს კითხულობდა. აქვე შეისწავლა ჰეგელის, კანტის და ფიხტეს ფილოსოფიური შრომები, იან ამოს კომენსკის, ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს, ჰენრის, პესტალოცის, ლევ ტოლსტოის, ნიკოლოზ პიროგოვის, კონსტანტინე უშინსკის პედაგოგიური იდეები. კიევის უნივერსიტეტიც ესწრებოდა ლექციებს, განსაკუთრებით



საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, რის შედეგიც იყო მისი გატაცება დარვინის ევოლუციური თეორიით. გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შრომებს, მაგრამ იგი, ისევე როგორც ილია, რევოლუციონერი არ გამხდარა. აი, რას წერდა იაკობი მოგვიანებით ილიას დაღუპვისადმი მიძღვნილ წერილში: „მთელ ჩვენს სიცოცხლეში გულწრფელი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა და ყოველგვარი ბატონობა გვძულდა და ვენინალმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავადაზნაურობისა, ბიუროკრატისა, ბურჟუაზიისა, ვერ თანავუგრძნობთ იმ მომავალს მოვლენასაც, რომელსაც ეძახიან პროლეტარიატის დიქტატურას. ყოველგვარი თვითმპყრობელობა და დიქტატურა ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დიდ სიბოროტედ და დიდ უბედურებად, ვის ხელშიაც არ უნდა იყოს იგი. მშრომელი ხალხის სრულს განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით შევნატროდით და, რაც კი შეგვეძლო, ვემარებოდით...“ (1, 498).

კიევის ჰავამ დასცადა იაკობი, ტუბერკულოზის განვითარების საფრთხე შეექმნა. ექიმებმა სამხრეთში დაბრუნება ურჩიეს. იგი თბილისში ჩამოდის (1863) და გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად ინიშნება სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ კი ამავე საგნებს სემინარიაშიც ასწავლის, სადაც ქართულის რამდენიმე გაკვეთილიც აქვს, რათა სამასწავლებლო სემინარიის მსმენელებს სანიმუშო სასწავლო პროცესი აჩვენოს.

იაკობმა, სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის პედაგოგთათვის წრეები ჩამოაყალიბა, სადაც სხვადასხვა დარგის მეცნიერულ ცოდნასთან ერთად დარვინის მოძღვრებასაც აცნობდა მსმენელებს. 1868 წელს ინიშნება სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და სემინარიის ბიბლიოთეკასაც განაგებს. მოსწავლეებს სთავაზობს ზემდგომთათვის არასასურველ ლიტერატურას. ქმნის მათთვის ჟურნალს („შრომა“), რომელსაც თვითონ რედაქტორობს, ხელს უწყობს აღსაზრდელებში თვითმოქმედებისა და ინტუიციის განვითარებას.

იაკობი ჩინებული მასწავლებელი იყო. როგორც მისი ნამონაწერები იგონებენ, ხალისიანად იცოდა კლასში შესვლა და კარიდანვე (დროის დაუკარგავად) იწყებდა დასახულ სამუშაოს. ჯერ ქართულად ახსნიდა მასალას მისაწვდომად და გასაგებად, მერე რუსულად გაიმეორებდა (სწავლა ხომ რუსულ ენაზე იყო) ახალი სიტყვების ახსნით, და ბავშვები იქვე ვეუფლებოდით ახალ თემასო. აქ დოგმატიზ-

მის (უაზრო ზეპირობის) ნატამალსაც ვერ ვხედავთ.

იაკობმა არა მარტო სწავლებაში შეიტანა გარდატეხა. იგი მკვეთრად უარყოფდა აღზრდის მკაცრ მეთოდებს, პირველ რიგში – ფიზიკურ დასჯას, და, როგორც სასწავლებლის ზედამხედველი, სხვებსაც უკრძალავდა ამას. საგულისხმოა ვასლ ბარნოვის მოგონება: „ვინ იცის, იქნება ბედგამნარებულს მრავალთა მსგავსად მეც დეზი მეკრა სასწავლებლისთვის, რომ ამ დროს ზედამხედველად არ დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილი. შემოსვლისთანავე ყველაფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დაასვა. უწინარეს ყოვლისა, სასტიკად აკრძალა მოსწავლეთა ბარბაროსული დასჯა, რაც სხვა მასწავლებლებს არაფრად ეჭაშნიკათ. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ცხონებულს, რომ ნორჩ სულთა საჯალათო სასწავლებლისათვის დაემსგავსებინა“ (3, 135–136).

გაუგებელი ტექსტების ზეპირობითა და ცემით განამებული ბავშვები იაკობ გოგებაშვილის გაკვეთილებს სარწმუნოებრივი თაყვანისცემით შევცქეროდით... მას ვბაძავდით ყველაფერში, – ლაპარაკის კილოში და სიარულშიც კიო, იგონებს ნ. ლომოური. ეს ხომ სიყვარულის აშკარა გამოხატულებაა.

სამაგიეროდ, სემინარიის ხელმძღვანელობისა და ზემდგომთათვის იაკობი არასასურველი პიროვნება აღმოჩნდა. სემინარიის რექტორი ვალენტინი ხშირად ატყობინებს ეგზარქოს ევსეის იაკობის „მატერიალისტობასა“ და პოლიტიკურ არასაიმედოობას. ეგზარქოსი სემინარიაში მოდის და რექტორთან ერთად ესწრება იაკობის მათემატიკის გაკვეთილს. ორივეს ხიბლავს მისი პედაგოგიური ოსტატობა. რექტორი უნებლიედ იტყვის: „მატერიალისტი რომ არ იყოს, დიდი თანამდებობის ღირსია ეს კაცი“ (1). ვალენტინი ცალმხრივად მსჯელობს. იაკობს სწორად ესმოდა სამყაროს განვითარებადობა და შემეცნების არსი (მატერიალიზმის ელემენტები), მაგრამ მორწმუნე მართლმადიდებლად რჩებოდა, სწამდა შემოქმედი და საღვთო ისტორია და ქრისტეს ცხოვრებაც დაწერა მოზარდთათვის გასაგებად და მიმზიდველად. ეგზარქოსი კი აფრთხილებს – შეეშვას დარვინს და ანტისახელმწიფოებრივ იდეებს (საუბრებს საფრანგეთის რევოლუციანზე), მაგრამ იაკობი უდრეკი იყო, თვითმპყრობელობის აპოლოგეტა და რუსიფიკატორთა მოსაწონად იგი ვერ გარდაიქმნებოდა. მაშინ სინოდმა პეტერბურგიდან სპეციალურად მოავლინა რევიზორი კერსკი ამ ურჩი პედაგოგის დასასჯელად. იაკობი იმხანად ავადმყოფობდა, და კერსკი მას

არც შეხვედრია, ისე მოხსნა მოსწავლეთა საყვარელი აღმზრდელი და მოაზროვნე პედაგოგთა გზის მანათობელი შუქურა (1874). იაკობმა დაწვა ყველა თავისი საბუთი, რათა სახელმწიფო სამსახურში ველარ შესულიყო, და თავისი სიცოცხლის მომდევნო 38 წელი მხოლოდ ქართულ საქმეს, ბავშვებისა და დიდების განათლებას, მეცნიერულ (განსაკუთრებით – სასოფლო-სამეურნეო) ცოდნასთან მათ ზიარებას მოახმარა.

იაკობის მთელი მოღვაწეობა აღზრდის ხალხურობის (ეროვნულობის) იდეით იყო გამსჭვალული. აქ იაკობი გულისხმობდა ქართველი ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებაზე მიმართულ აღზრდას: საყოველთაო განათლებას (ქალებისთვისაც), მშობლიურ ენაზე სწავლებას ყველა საფეხურის სკოლებში, მოზარდთა აღჭურვას რეალური ცოდნით, ჰუმანიზმის, თანასწორობის, პატრიოტიზმის, შრომისმოყვარეობის დანერგვას მათში. იაკობის იდეალი იყო ახალი საქართველო – თავისუფალი, ძლიერი, განათლებული, რომელიც ახლებურად აღზრდილ ქართველს – ფიზიკურად, ზნეობრივად, გონებრივად ძლიერს – უნდა შეექმნა.

აღზრდა-განათლების უმთავრესი საშუალება კი სწავლებაა. იაკობს, წინამორბედ კლასიკოსთა ღირსეულ მემკვიდრეს, კარგად ესმოდა შეგნებულობის, თვალსაჩინოების, თანმიმდევრობის, მისაწვდომობის დიდაქტიკური პრინციპების როლი, მაგრამ მისთვის უმთავრესი ამათგან პირველი იყო, თვალსაჩინოებასა და სხვა მოთხოვნებს კი, სავსებით სწორად, ცოდნის შეგნებულობის პირობად განიხილავდა.

ცოდნის შეგნებულობისათვის მებრძოლი იაკობი იცნობდა და იყენებდა ახსნითი კითხვის, თხრობის, საუბრობის, დემონსტრირების, ვარჯიშის მეთოდებს. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება კითხვის სწავლების საუკეთესო გზის – ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდის დამკვიდრებაში.

უხსოვარი დროიდან უცხოეთში თუ ჩვენში კითხვას ასოთშეერთების ანუ ანბანური მეთოდით ასწავლიდნენ: ჯერ დაასწავლიდნენ ყველა ასოს სახელებს – ანი, ბანი და ა.შ. (ბგერები უყურადღებოდ რჩებოდა); შემდეგ გადადიოდნენ მარცვლების (ლა, ბრუ, გრუ...) წაკითხვაზე, მაგრამ ამასაც ასოთა სახელების წარმოთქმით იწყებდნენ, მაგ. ბრუ – ბანი, რაე, უნი, რაც არასოდეს არ მოგვცემს ისედაც უაზრო მარცვალ ბრუ-ს, ბოლო სიტყვების წაკითხვას მოითხოვდნენ იმავე წესით – ასოების სახელწოდებათა წარმოთქმის საფუძველზე. ეს იყო ნამდვილი

წამება: დონ-ენ-დონ-ანი, რამდენიც უნდა იმეორო, „დედას“ არ მოგცემს.

საქართველოში იაკობი იყო პირველი, ვინც უარყო ეს მეთოდი და ბგერებს, სიტყვის ნამდვილ კომპონენტებს მიანიჭა უპირატესობა. ბგერითი ანალიზური მეთოდით არის შედგენილი მისი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865), რომელიც უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მექანიკური ზეპირობის მომენტებსაც შეიცავდა. იაკობმა სწორად ჩათვალა, რომ აუცილებელი იყო კითხვის მეთოდის შემდგომი სრულყოფა და შეიმუშავა ხსენებულ ნაკლოვანებათაგან დაზღვეული ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, აქ ბგერებს (არა ასოთა სახელებს) წარმოთქვამენ ბავშვები, ბგერებისაგან შედგენილ მარცვლებს აცნობიერებენ (ანალიზი) და მთლიანი სიტყვის აზრსაც სწორად აღქმული მარცვლების სინთეზით ხვდებიან. „ამ მეთოდით ბოლო მოელო ქართველი ბავშვების ტანჯვა-წამებას წერა-კითხვის სწავლების დროს: (2, 378).

სწორედ ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით არის შედგენილი იაკობის „დედა ენის“ (1876) საანბანო ნაწილი. 1906 წლიდან საანბანო და საკითხავი ნაწილები ცალკე წიგნებად გამოდიოდა*. „დედა ენა“ არა მარტო მეთოდიკით არის მოსაწონი. მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესოა მისი შინაარსი, რომელიც ხსენებული დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით არის შერჩეული. საანბანო ნაწილის ბოლო გვერდები „გამეორებას“ ეთმობა, სადაც ისევ ვხვდებით „იას“, „თითსა“ და სხვა ნაცნობ

თემებს¹. ეს მასალები ბავშვს დაკვირვებასაც აჩვენებს და საკმაოდ მდიდარ ინფორმაციასაც აწვდის. მაგალითად, თითების რიცხვზე, სახელებზე, მეტ-ნაკლებ სიგრძესა და სახსრების რაოდენობაზე. ეს ყვეაფერი არა თუ დამწყებ მოწაფეს, ზრდასრულ ადამიანსაც შეიძლება არ ჰქონდეს გაცნობიერებული. ინფორმაციულობა თანდათან მატულობს მიმზიდველად დაწერილ სტატიებში „ქათამი“, „ოფოფი“ და სხვ. საანბანო წიგნში მოცემულია ნაირგვარი შინაარსის ბევრი ნახატი, რომლის აღწერა მეტყველებასაც უფითარებს და სათანადო ცოდნასაც უღრმავებს ბავშვს.

შეუდარებლად მეტია „დედა ენის“ მეორე ნაწილის, საკითხავი წიგნის შემეცნებითი ღირებულება. მის პირველ ნახევარში მცირე მოცულობის ტექსტებია, გაჯერებული საინტერესო მონაცემებით, თუმცა ინფორმაციის თვალსაზ-

1 სახელმძღვანელოებზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს 1912 წლის გამოცემები.

რისით, აქ ყველაზე ნაყოფიერი სასაუბრო-საპასუხოება – ჭირნახულზე, ბოსტნეულზე, ფრინველებზე და სხვ. ისინი უფრო ინტენსიურად აფართოებენ მოსწავლეთა ცოდნას. სახელმძღვანელოთა ავტორებისათვის ყოველთვის სამაგალითო უნდა იყოს ის სასაუბროები, რომელთა მიზანი მოზარდთა ლექსიკის გაზრდა და მეტყველების სწორი სტილის დაწერგვაა.

სახელმძღვანელოს მეორე ნახევარში უფრო ვრცელი მასალაა დაჯგუფებული რამდენიმე განყოფილებად: სასწავლო ნივთები; შინაური ცხოველები, ფრინველები; გარეული ფრინველები, ცხოველები; მცენარეულობა, სხვადასხვა მოვლენანი, საქართველო, ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები, უდაო შემეცნებითი და სააღმზრდელო პოტენციალის მქონე სტატიები, საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ, დანერვილია ცოცხლად და მოკლებული არ არის მხატვრულ ღირებულებას, და მაინც, ერთფეროვნება რომ არ ჩამოყალიბდეს, იაკობი საკუთრივ მხატვრული ნიმუშების (ლექსების, არაკების, ბელეტრისტიკული ფრაგმენტების) მონაცვლეობას მიმართავს შემეცნებითი დანიშნულების სტატიებთან. ამიტომ წიგნი ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ნებისმიერი ასაკისა და განათლების მკითხველზე.

„დედა ენა“ სწავლების პირველი ორი წლისათვის იყო განკუთვნილი, მესამე-მეოთხე წელიწადს კი „ბუნების კარით“ ასწავლიდნენ ქართულს, თუმცა იგი ენციკლოპედიური შინაარსისაა და სრულიად სხვადასხვა დარგის სოლიდურ ცოდნას აწვდის აღსაზრდელს.

„ბუნების კარში“ ოთხი ძირითადი განყოფილებაა: საბუნებისმეტყველო, ქრესტომათიული, გეოგრაფიული და ისტორიული. საბუნებისმეტყველო ცოდნის ყველაზე წინ წარმოდგენა (მას სწავლებისაკენ მომწოდებელი ნაწარმოებები უსწრებს მხოლოდ), სამოციანელების პრინციპული პოზიციით – რეალური განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობის აღიარებით არის განპირობებული. აქ ბევრად უფრო ღრმა ცოდნაა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე, მათ სამეურნეო დანიშნულებაზე. ქრესტომათიის განყოფილებაში მოთავსებულ მასალებს (ილიას, აკაკის, რ. ერისთავის, გრ. ორბელიანის და სხვათა ლექსებს, იაკობის, ე. ნინოშვილის, ვაჟა-ფშაველას, ეკ. გაბაშვილის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, დ. მეგრელის მოთხრობებს) დიდი ესთეტიკურ-შემეცნებითი და ზნეობრივ-აღმზრდელობითი მუხტი აქვს. უდავოა გეოგრაფიული და ისტორიული განყოფი-

ფილებების ოსტატურად დანერვილი სტატიების შემეცნებითი და პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მხატვრული ნაწარმოები აქაც ყველა განყოფილებაშია განთავსებული.

მადლიერება, გულისტკივილი და მდგომარეობის შეცვლის ნატვრა იკითხება წერილში „სახალხო მასწავლებლის ღვანლი და უდიდესი გაჭირვება მისი“. ჩვეული დამაჯერებლობით მსჯელობს იაკობი ნაშრომში „როგორ ვავაუმჯობესოთ სახალხო სკოლა კავკასიაში“. საკუთრივ პედაგოგიკურ მოსაზრებებს აქაც მშობლიური ენისათვის კუთვნილი ადგილის მოთხოვნა ერწყმის.

იაკობ გოგებაშვილს უდიდესი როლი აქვს შესრულებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი (ქ. შ. წ.-კ. გ.) საზოგადოების შექმნასა (1879) და წარმატებულ საქმიანობაში. ეს საზოგადოება, ხელისუფლების მხრიდან მუდმივი წინააღმდეგობისა და ხელმოკლეობის მიუხედავად, ქართულ სკოლებს აარსებდა სწავლების ოთხწლიანი კურსით, უფრო – სოფელ ადგილებში, ყველა ფენის ბავშვებისათვის. ამ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მათი პედაგოგების უანგარო შრომა მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის სრულად შეესაბამებოდა 60-იანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებს. იაკობს, რომელიც ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების რუსული სკოლების უნაყოფობას აკრიტიკებდა, შეეძლო ეამაყა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სკოლების აღსაზრდელთა კარგი მომზადებით, რასაც არც თუ კეთილგანწყობილი წრეებიც აღიარებდნენ.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება, გარდა სკოლებისა, ბიბლიოთეკებსაც აარსებდა, რომლებსაც იგივე ამოცანა – ხალხში ცოდნის შეტანა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, საერთო კულტურის ამაღლება ეკისრებოდა.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების დიდი ღვანლის ღომის წილი იაკობზე მოდის, ის იყო მისი პედაგოგიური ლიდერი, თუმცა თავმჯდომარეობას არასოდეს ესწრაფოდა.

იაკობი ყველა სასიკეთო საქმის წამახალისებელი და მონაწილე იყო.

მატერიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე მწერლებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, გაციმბირებულ საზოგადო მოღვაწეებს.

მთელი თავისი დანაზოგი (13000 მანეთი) და ქონება ხსენებულ საზოგადოებას უანდერძა.

ერის სათქმელს ამბობდა ეგნატე ნინოშვილი, როცა იაკობს სწერდა: „თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა, თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და

მისი ენა“ (4, 118).

იაკობის გარდაცვალებას (I(14)VI, 1912) უდიდესი დანაკლისი უნოდა დიდმა სწავლულმა ნიკო მარმა. მას ალალი ლექსები უძღვნეს აკაკიმ, იროდიონ ევდოშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, სხვა პოეტებმა.

ღვთის წყალობა იყო, რომ ილიას პლეადა, მათ შორის იაკობ გოგებაშვილი, „საჭირო დროს გაჩნდა საჭირო ადგილას“.


ციტირებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები: ტ. I, – თბ., 1910.
2. თავზიშვილი გ, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი: ტ. 2, – თბ., 1977.
3. კასრაძე დ. ვასილ ბარნოვის ლიტერატურული პორტრეტი. –// ქართული მწერლობა – 1928, № 2.
4. ნინოშვილი ე. თხზულებათა სრული კრებული: ტ. 3, – 1935.

ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი

იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენა“



*ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბადი ფურცელი
ჩვენს ყრმობაში ჩართული!*
გ. ლეონიძე

საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, პუბლიცისტმა, საბავშვო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა ქართული საზოგადოების განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დასწავლითი კლასების ქართული ენის ორიგინალურ სახელმძღვანელოს „დედა ენას“ უკავია.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ყოველი ჩვენთაგანის პირველი წიგნია. მის ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მეტყველებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე „დედა ენა“ ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება.

მე-17 საუკუნემდე საქართველოში წერაკითხვას მონასტრებსა და სავანეებთან არსებულ სკოლებში სწავლობდნენ გავრცელებული ანბანითა და სათანადო სავარჯიშოებით, რომლებიც დართული ჰქონდა „ჟამნს“, „ფსალმუნს“ და სხვა ძირითად ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს. მოგვიანებით საზღვარგარეთ, რუსეთსა და საქართველოში რამდენიმე ქართული ნაბეჭდი საანბანო წიგნი გამოვიდა.

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის პერიოდში

სკოლებში ქართული ენის ხსენება აკრძალული იყო. ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა. ასეთ დროს ითავა იაკობ გოგებაშვილმა, შეედგინა ხალხისთვის უპირველესი და უსაყვარლესი წიგნი „დედა ენა“.

პირველად, 1865 წელს, იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა – „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. იგი იმ დროს არსებულ ქართულ საანბანო სახელმძღვანელოებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი იყო, რამაც განაპირობა სკოლებში მისი მტკიცედ დამკვიდრება.

ხანგრძლივი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს გამოიცა უფრო გაუმჯობესებული, ხალხის მიერ უკვდავ წიგნად ნოდებული „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი შკოლებისათვის“, ერთ წიგნად. წიგნი შედგება ანბანისა და ანბანის შემდეგ საკითხავი პატარა პატარა ლექსებით, მოთხრობებით, ზღაპრებით, ანდაზებით, გამოცანებით და სასაუბროებით. სახელმძღვანელოში პირველი გაკვეთილი დაეთმო ქართულ მეტყველებაში უფრო მეტად გავრცელებულ ხმოვნებს ა-ს და ი-ს და ორ სიტყვას – აი ია. „აი ია“ წარმოადგენდა იაკობ გოგებაშვილის დაუღალავი შემოქმედებითი

ძიების გვირგვინს, ქართული ანბანის გასაღებს იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოში საანბანო გაკვეთილები ისე განალაგა, რომ თითოეული მათგანი დაწყებულიყო მარტივი სიტყვებითა და ფრაზებით, რომლებიც ბავშვებისათვის რთული არ იქნებოდა.

„დედა ენის“ მაღალ ღირსებას განაპირობებს ანბანის შემდეგ საკითხავი ნაწილიც, რომელზეც ავტორი წლების განმავლობაში განუწყვეტილად მუშაობდა. სახელმძღვანელომ სრულყოფილებას მიაღწია 1906 წელს, როდესაც გოგებაშვილმა ის ორ წიგნად გაყო: „დედა ენა ანუ ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით“ (ორი წლის კურსი) და „დედა ენა ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად“ (ასევე ორი წლის კურსი). პირველში მოთავსებულია წერაკითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში – საყმანვილო მხატვრული ნაწარმოებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები.

„დედა ენის“ 1876 წლის გამოცემას წინ უძღვის იაკობ გოგებაშვილის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც ის მასწავლებლებს სწავლების მეთოდების შესახებ რჩევა-დარიგებებს აძლევს. დიდი პედაგოგი წერაკითხვის სწავლებას მხოლოდ ანალიტიკური მეთოდით რთულ საქმედ მიიჩნევდა. ის თვლიდა, რომ სწავლა იმ მარტივი საგნების გაცნობით უნდა დაწყებულიყო, რომლებიც ბავშვისთვის ნაცნობი იქნებოდა. ამისთვის უხვად არის შერჩეული შესაბამისი სურათები, სავარჯიშოები და სასაუბროები.

იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოში შესატან ზეპირსიტყვიერების მასალებს განსაკუთრებული ინტუიციითა და დაკვირვებით არჩევდა. მას ღრმად სწამდა ხალხური შემოქმედების აღმზრდელი მნიშვნელობა, „დედა ენის“ 1876 წლის გამოცემა მდიდარია ხალხური შემოქმედების ნიმუშებით, ქართველი და უცხოელი მწერლების თარგმნილი ნაწარმოებებით. ხალხური შემოქ-

მედების ნიმუშებიდან აღსანიშნავია: „ხალხური სიმღერა“, „მოსიყვარულე ამხანაგი“, „პატარა ქალის ნატვრა“, „ყაყაჩო და ყმანვილი“, „მონვევა სწავლაზე“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „მკვებარა ქოთანის“, „ქართველები“, „ამირანი“ და სხვ.

გარდა ამისა, ცნობილ პედაგოგს წიგნში მოუთავსებია ანდაზები (ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო; ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო; ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა და სხვ.) და გამოცანები (მიდის, მოდის, იქვე კი დგას; ორჯერ შობილი ერთხელა კვდება და სხვ.). ზოგჯერ გვხვდება სწრაფსათქმელი ანუ ენის გასატეხი სავარჯიშოებიც, გამოცანებისა და ანდაზების სწავლებას იაკობ გოგებაშვილი მოზარდის გონების გახსნის საუკეთესო საშუალებად თვლიდა.

„დედა ენაში“ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ზღაპრებს, რომლებიც ავტორის მიერ არის შეკრებილი, ხალხურია ან სულხან-საბა ორბელიანის თხზულებიდან „სიბრძნე სიცრუისას წიგნიდან“ არის ამოღებული (ძალი და მამალი; ქორი და იხვი; კაცი და ოქრო). პატარა ზღაპრებს მოსდევს ი. კრილოვის (მგელი და გლეხი; მელია და ყურძენი; მონადირე კურდღელი), ეზოპეს (მგელი და თხა; მგელი და მეცხვარეები; ლომი, დათვი და მელია; მგელი და წერო; კუ და არწივი) იგავ-არაკები. კრებულში ხალხურ ლექსებთან ერთად შესულია დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ჭალადიდელის საბავშვო ლექსები.

იაკობ გოგებაშვილის ხალხური ლექსები პეტრე უმიკაშვილის (მოსიყვარულე ამხანაგი; ნადირობა; საბრალო დედაბერი; დაჭრილი მელა; ირემი; კურდღელი და მწვეარი და სხვ.) და სამსონ ღონდაძის კრებულებიდან უსესხია. პეტრე უმიკაშვილი (1834–1904) იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე და ფოლკლორისტი. წერდა ლიტერატურულ ნარკვევებს, პიესებს, აგროვებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომლის პირველი გამოცემა 1874 წელს შედგა.

1912 წლის გოგებაშვილისეული „დედა ენა“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (ქართული ანბანი, ყველა სარწმუნოების ქარ-



თველთათვის, 33-ე გამოცემა, მრავალი სურათით) ანბანის შესწავლა გათვალისწინებულია პატარა მოთხრობებით, ლექსებითა და საწერი დედნით. მეორე ნაწილი – „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ სკოლებში სახმარებელი“, ორი წლის სრული კურსით (27-ე გამოცემა), 1876 წლის გამოცემისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კრებულს დამატა აკაკი წერეთლის ლექსები (კატა; თხა; ყანა; გაზაფხული; მახეში გაბმული ჩიტი; ყმანვილი და პეპელა; ეფერებოდეთ ობლებსა; გაზაფხულის მაყრები და სხვ.); ლ. ტოლსტოის პატარა მოთხრობები (ჭურდი; მენავეები; ცრუ; ირემი და ვენახი; უფროსი და უმცროსი ძმა; ჭორის მსხვერპლი) და აგრეთვე, მოთხრობები და ლექსები ზნეობაზე (მოხუცის ნატვრა; გულკეთილობა; მეზადურის შვილი); შინაურ ცხოველებზე (თაგვების და კატის ომი; ცხვარი და სილარიბე), გარეულ ცხოველებზე, მცენარეებზე, ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე.

წიგნით პატარა მოსწავლეები ეცნობოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გეოგრაფიულ აღწერილობას. ქვეყნისთვის თავდადებულ ქართველებს (ცხრა ძმა ხერხეულიძეს, ცოტნე დადიანს, მღვდელ თევდორეს). გამოცემაში ჩართულია აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და პატარა ლექსიკონი ამერ-იმერ ერთაზროვანის სიტყვებისა (სინონიმებისა).

„დედა ენის“ 1912 წლის გამოცემას (წინა გამოცემებისაგან განსხვავებით) იაკობ გოგებაშვილმა ქართული ხალხური სიმღერების ტექსტები და ნოტები დაურთო. იაკობი მუსიკის დიდი მოტრფიალე გახლდათ. სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში წერს, რომ როდესაც სუფრაზე ერთად შეიკრიბებოდნენ, სიმღერას თვით იაკობი იწყებდა, სხვები კი ბანს ეუბნებოდნენ.

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკის როლს ბავშვის აღზრდაში. იგი საჭიროდ მიიჩნევდა მუსიკის სასწავლო პროცესში გამოყენებას. ქართული ხალხური სიმღერებიდან (გადაღებული: ბ. ბ. კარგარეთელისა, ჩხიკვაძისა და არაყიშვილის მიერ) „დედა ენის“ მე-2 ნაწილში შეტანილია: „თამარ მეფე“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „იავნანა“, „სერზე მიდის სამი მგელი“, „მუმლი მუხასაო“, „კურდღელი ჩამოცანცალდა“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „ჩარირამა“, „ბუბა ქაქუჩელა“ და „მიყვარს ფაცხა“.

„დედა ენის“ გამოცემისათვის დიდმა პედაგოგმა განსაკუთრებული ყურადღება ილუსტრაციებზე გაამახვილა. მას მიაჩნდა, რომ

„შინაარსის აზრიანად ათვისებას მხოლოდ ზომიერად გამოყენებული სურათობრივი თვალსაჩინოება უწყობს ხელს“. გოგებაშვილმა თავისი თხზულებების დასურათებაზე („დედა ენის“ არც 1876 წლის და არც 1912 წლის გამოცემებზე მინიშნებული არ არის ვის ეკუთვნის ილუსტრაციები) საქართველოს მკვიდრი გერმანელი მხატვარი ოსკარ შმერლინგი (1863–1938) მიიწვია. ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემის ილუსტრაციების უმრავლესობა ოსკარ შმერლინგს ეკუთვნის. რომელსაც ქართული საბავშვო წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. 1896 წელს ოსკარ შმერლინგმა ტუშით და კალმით „დედა ენის“ მრავალი ილუსტრაცია შეასრულა და ბენვისეზური შტრიხით დეტალურად დაამუშავა. ტექსტის შესაბამისად, ნახატიც ხან მარტივია, ხან კი, როცა მოთხრობები რთულდება, ნახატებში მთავარი პერსონაჟის გამოსახულებას პენიანობა ერთვის (მაგ. „კურდღლის სიზმარი“, „მელია და ჩიტი“). სახელმძღვანელოში მკაცრად და დაცული პრინციპი – მარტივიდან რთულისკენ გადასვლა. ჰარმონიულობა, შესაბამისობა ტექსტთან, კომპოზიციების სისადავე მეტყველებს პედაგოგისა და მხატვრის ურთიერთგაგებასა და სრულ შეთანხმებაზე. მანვე დაასურათა 1904 წელს გამოცემული „იავნანამ რა ჰქმნა“ და 1911 წელს გამოცემული „ბუნების კარის“ ილუსტრაციების ნაწილი.

გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ მხატვრულად დაასურათა აგრეთვე ქართველმა გრაფიკორ-ქსილოგრაფმა, თვითნასწავლმა მხატვარმა, ახალი გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელმა გრიგოლ ტატიშვილმა (1838–1911). გრიგოლ ტატიშვილი 1862 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ოქრომჭედლებთან და თეატრის იტალიელ მხატვრებთან, რომლებისგანაც მან დიდი გამოცდილება მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტატიშვილის მიერ გაფორმებული „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1887).

იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, „დედა ენა“ 33-ჯერ გამოიცა. გარდაცვალების შემდეგ „დედა ენის“ გამოცემა სპეციალურ კომისიას დაევალა, რომელსაც ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა.

„დედა ენა“ 1876–1925 წლებში 45-ჯერ გამოიცა. 1935–43 წლებში „დედა ენა“ გამოიცა ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას რედაქციით.

ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზე იყო შედგენილი და 1944 წლიდან სისტემატურად გამოდიოდა ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანა-

დის „დედა ენა“ – 2 წიგნად, პირველი და მეორე კლასებისათვის ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვითაა აგებული პირველად 1973 წელს გამოცემული ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი მოსამზადებელი კლასისა და იმ პირველი კლასის „დედა ენა“, რომელმაც მოსამზადებელი



კლასი გაიარა.

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებას მიუძღვნა. ჯანმრთელობაშერყეული, დაულალავად მუშაობდა. ძალიან განიცდიდა იმ პერიოდში რუსეთისაგან ქართული ენის ჩაგვრას, მის განდევნას სკოლებიდან და ეკლესიიდან. მიუხედავად ამისა, მას სიტყვა არ დასცდენია რუსული კულტურისა და ენის სწავლების საწინააღმდეგოდ. პირიქით, 1887 წელს შეადგინა „რუსკოე სლოვო“, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ქართველ ბავშვებს.

გოგებაშვილის წიგნები დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა, რამაც იაკობი ქონებრივად გააძლიერა. ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში, რო-

მელსაც სიკვდილის წინ, 1912 წელს, მთელი თავისი ქონება უანდერძა.

გოგებაშვილმა ფულის ნაწილი ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებებს უანდერძა. სახლი სოფ. ვარიანში თანასოფლელებს დაუტოვა, სადაც შემდეგ სკოლა გაიხსნა.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 14 ივნისს, 72 წლის ასაკში, დაკრძალული იყო დიდუბის პანთეონში. 1940 წელს, დაბადების 100 წლისთავზე ქართველმა საზოგადოებამ ის მთანმინდაზე გადაასვენა. მადლიერმა შთამომავლობამ იაკობ გოგებაშვილის საფლავზე აღმართა მარმარილოს ლამაზი ძეგლი, ხოლო ძეგლის წინ „გადაშალა“ მარმარილოში გამოკვეთილი უკვდავი „დედა ენა“.

1976 წელს აღინიშნა „დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილე. საიუბილეოდ მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ 1876 და 1912 წლების აღდგენილი გამოცემები.

ქართულ სინამდვილეში „დედა ენა“ არის ერთადერთი წიგნი, რომელსაც ხალხმა ძეგლი „დედა ენა – ცოდნის ზარი“ (ავტორი ე. ამაშუკელი – 1928–2002) დაუდგა. ამ ძეგლთან, ყოველი წლის 14 აპრილს, საქართველო „დედა ენის“ დღეს ზეიმით აღნიშნავს. წელს „დედა ენის“ პირველი გამოცემიდან (1876) 134 წელი სრულდება.

ყოველი წლის ოქტომბერში სოფ. ვარიანში ტარდება იაკობობის დღესასწაული.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი. დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებითათვის. – თბ.: განათლება, 1976. –1876 წ, გამოც. საიუბილეო სტერეოტიპული გამოცემა.

2. გოგებაშვილი ი. დედა ენა: პირველი ნაწილი. ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით, ყველა სარწმუნოების ქართველთათვის. – თბ.: განათლება, 1976. –1912 წლის გამოც. საიუბილეო სტერეოტიპული გამოცემა.

3. გოგებაშვილი ი. დედა ენა: მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ, ორის წლის სრული კურსით. – თბ.: განათლება, 1976. –1912 წლის გამოც. საიუბილეო სტერეოტიპული გამოცემა.

4. ინტერნეტით:

<http://www.opentext.org.ge/08/akalitaoba/299/299-36.htm>.

<http://join.ge/articles/>

<http://joke.ge/blog/iak39ob-gogebashvili-iakob>

<http://art.dif.ge/node/623>

ფილოლოგიური ძეგლები

გივი აბესაძე

პოეტური უღმერთის თავგადასავალი

(ბოეთის ერთი ლექსის თარგმანის 145

წლის ისტორია)

„ვაფასებთ ადამიანებს ისე, როგორც მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ და ხელს ვუნყოფთ მათ გახდნენ უკეთესები“.

გოეთე

უკვე პირველი ათწლეული გადაფურცლა ახალმა ათასწლეულმა...

ანმყო წარსულზე გადადის; სახეს იცვლის სამყარო; მარადიული ღირებულებები კი დროს უძლებს და განაგრძობს არსებობას...

გასულ წელს დიდი გერმანელი პოეტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს დაბადებიდან 260 წელი შესრულდა.

დიდი ჰუმანისტის დამოკიდებულება სამყაროსთან ყველაზე თვალსაჩინოდ მის შემოქმედებაშია გამოხატული. ავტორს მრავალრიცხოვანი ლექსებისა და დრამების, რომანების, ნერილების და საუბრების არაერთი ტომისა, შრომებისა მცენარეთა მეტამორფოზებზე, მინერალებზე, 1500 გვერდიანი ნაშრომისა ფერთა თეორიის შესახებ, 1000-მდე ეპიგრამისა, აგრეთვე სახელოვან საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, ადამიანის, კერძოდ კი – შემოქმედის მოღვაწეობის პრინციპად მიაჩნდა, რომ: „არ კმარა მხოლოდ მიზნისაკენ მიაბიჯებდე, ყოველი ნაბიჯი მიზნად უნდა იქცეს და ითვლებოდეს წინ გადადგმულად“.

ილია ჭავჭავაძე მის პიროვნებას – ბუმბერაზი მყინვარწვერის სიდიადეს უტოლებდა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის არაერთი წარმომადგენელი, მეცნიერი თუ მკვლევარი დაინტერესებულა გოეთეს ამოუწურავი შემოქმედებით, მაგრამ განსაკუთრებით გამორჩეულია ილმენაუს მახლობლად, კიკელჰანის მწვერვალზე, მეტყვევის ქოხის კედელზე 1780 წელს მიწერილი ერთი პატარა ლექსი – „ვანდერერს ნახტლაიდ“, რომელიც ქართულად 68-ჯერ ითარგმნა.

ლექსის სათაური სხვადასხვა პოეტის თარგმანში განსხვავებულადაა გადმოტანილი და ასე უდერს: „მგზავრის ღამეული სიმღერა“, „მგზავრის მწუხრის სიმღერა“, „მოგზაურის ღამის სიმღერა“, „მგზავრის სიმღერა“, „მწუხრის სიმღერა“, „ღამის მგზავრული“, „მწუხრის მგზავრული“.


შარშან, 22 მარტს, ლექსის ავტორს 260 წელი შეუსრულდა, ხოლო წელს, ამ ლექსს – 230, მის ქართულ თარგმანს კი 145 წელი!

ლექსის პირველი ქართველი მთარგმნელია გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც 1865 წელს ლექსი ლერმონტოვისეული რუსული თარგმანიდან გადმოუღია. არსებობს 42 ქართველი მთარგმნელის მიერ ნათარგმნი ლექსის 68 ვარიანტი. ბოლო ორი თარგმანი შეასრულა სიმონ ჯაფარიძემ, მათ შორის ერთი გამოქვეყნდა 1995 წელს (გაზ. „გამბიტი“, № 29, 29 აგვისტო) მეორე – დღეს ქვეყნდება.

სხვადასხვა დროს, გოეთეს ეს შესანიშნავი ლირიკული ლექსი უთარგმნიათ: დავით ნახუცრიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლომთათიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, გივი გაჩეჩილაძეს (2-ჯერ), გაბრიელ ჯაბუშანურს, ვახტანგ ბენუკელს (3-ჯერ), იონა ვაკელს, ხარიტონ ვარდოშვილს, ნოდარ შამანაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ამირანაშვილს, აკაკი გელოვანს, ნინო ჟორჟოლაძეს, გურამ კანკავას, გივი ძნელაძეს, რუსუდან ღვინევაძეს, დალი ფანჯიკიძეს, გურამ ჭოხონელიძეს (6-ჯერ), ზურაბ არჩვაძეს, ნათია გოგოლაძეს, ნათელა ხუციშვილს (5-ჯერ), ლულუ დადიანს (3-ჯერ), შარლოტა კვანტალიანს (3-ჯერ), გორა კუჭუხიძეს, ნიკა არევაძეს (2-ჯერ), დოდო ჭუმბურიძეს (3-ჯერ), რატი ამალლობელს, დალილა ბედიანიძეს, კონსტანტინე ბერაძეს, ბათუ დანელიას (4-ჯერ), ნინო დარბაისელს, შოთა ზოიძეს (2-ჯერ), ეთერ თათარაიძეს, ქართლოს კასრაძეს (2-ჯერ), ემზარ კვიციანიშვილს, მაია ნათაძეს, ნანა ყამბარაშვილს, შორენა შამანაძეს, ირმა შიოლაშვილს...

გთავაზობთ ლექსის პირველ და უკანასკნელ თარგმანებს, რომელთაც 145 წელი აშორებს ერთმანეთს.

ერთი და იგივე ლექსის სხვადასხვა ეპოქაში შესრულებული ეს ორი თარგმანი განსხვავდე-



ბა იმით, რომ XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტი სრულიად დაშორებულია დედანს; გოეთეს რეასტრიქონიანი ლექსი გრიგოლ ორბელიანთან იქცა სამი დიდი სტროფისაგან შედგენილ 18 სტრიქონიან ლექსად:

მწუხრის სიმღერა

მთანი მაღალნი,
მიმშვიდებულნი,
ლამისა ბნელში მიეცნენ ძილსა,
მყუდრონი ველნი,
ტკბილსაყნოსელნი,
გულს უგრილებენ
შრომით ძლეულსა.

ხმა არსით ისმის,
არა რა იძვრის...
არც გზაზე მტვერი,
არც ხის ფოთოლი,
ჭფშვენენ სიმშვიდით,
ცა ვარსკვლავებით,
ქვეყანა მშვიდად
მოსვენებული.

რა გაქვს, ძმავ, მგზავრო,
გულს სამწუხარო,
ამ დროს შეშფოთვით რომ მიაჭენებ?
შესდექ წამს ოდენ
მიმოიხედე...
და გულს მშვიდობით შენც განისვენებ.

(ცისკარი, 1865 № 1).

როგორც მწერალი აკაკი გელოვანი აღნიშნავს, „დედნის განწყობილება აქაც იგრძნობა, მაგრამ ეს არის გოეთეს და ლერმონტოვის მოტივებზე დაწერილი საკუთარი ლექსი, სადაც ახალი სიტყვა – ცნებები, სახეები, სტრიქონები შეტანილი, იცვლება ლექსის ფილოსოფიური არსი, მკვეთრი დასასრული; ადამიანის აღსასრულის ნაცვლად პოეტი გარემოს ცქერით დატკობას და განსვენებას გეთავაზობს...“

კვლავ სრულყოფილებისაკენ სწრაფვა იყო მიზეზი მთარგმნელი სიმონ ჯაფარიძისა (ფსევდონიმი – იმერი ხრეველი, რამდენიმე არაორდინარული კრებულის ავტორი), რომ არ დაკმაყოფილდა 1995 წელს გამოქვეყნებული საკუთარი თარგმანით და საიუბილეოდ კვლავ დაუბრუნდა გოეთეს ამ პოეტურ ნაწარმოებს, რომელიც რიგით უკანასკნელი – 68-ე ქართული თარგმანია.

მთარგმნელმა შეძლო ტაეპებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების ანუ ლექსის შემადგენელი სიტყვების რაოდენობა როგორც ორიგინალშია, თარგმანშიც ასევე 24 ყოფი-

ლიყო, ხოლო დედააზრი – ორსიტყვიანი სათაურით გამოეხატა (ისევე როგორც გოეთესთანაა). გთავაზობთ თარგმანს:

მწუხრის მგზავრული

მდუმარების არე,
მთები შთანრთქა ღუმელმა
ლამის,
სიო არ არწევს კენწეროებს,
არ იძვრის ჩქამი;
ულრანი ღამის ძილს მიეცნენ
ტყეში ჩიტები.
დადგება ჟამი,
დაიცადე, შენც დამშვიდდები.


1831 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, გოეთემ კვლავ მოინახულა ისტორიული ჯიხური კიკელპანის მთაზე. მისი თანამგზავრი მოგვითხრობს: „ზემოთა ოთახში რომ შევიდა, გოეთემ თქვა: „დიდი ხნის წინათ ვცხოვრობ-

დი აქ ჩემს მსახურთან ერთად და მაშინ წავინერე ამ ოთახის კედელს პატარა ლექსი. მინდა კიდევ შევხედო ლექსსა და მისი დაწერის თარიღს, თუ არ წაშლილა...“ გოეთემ წაიკითხა ლექსი და ცრემლი მოერია. ნაზი, სევდიანი ხმით ჩაილაპარაკა: „დადგება ჟამი, დაიცადე, შენც დამშვიდდები“. ერთ წუთს გაჩუმდა, ერთხელ კიდევ გახედა ფანჯრიდან დაბინდულ წინწარს და მომმართა: „ახლა კი წავიდე!“

დიალოგში, როცა ის ლაპარაკობს დიდი ბერძენი ტრაგიკოსების ნიჭით ხალხის გაოცებაზე, გოეთე შენიშნავს: „უნდა გვაოცებდეს არა ცალკეულ შემოქმედთა დიდი ნიჭი, არამედ საბერძნეთის, ბერძენი ხალხის სიმადლე!“

ჭეშმარიტად! გოეთეს სახით გვაოცებს იმ ხალხის გენია, რომელმაც იგი წარმოშვა, და ამავე დროს, იგივე უნდა ითქვას იმ ერზე, რომელმაც რუსთაველი შვა, და გერმანელი პოეტის ერთი პატარა შედეგრი 68-ჯერ თარგმნა!

„ცხადია, გოეთეც და ყველა სხვა დიდი პოეტიც ელის თავის ახალ სრულყოფილ მთარგმნელებს; უსასრულოა მათი ლოდინი, ვითარცა მთებისა, მაგრამ არც იმის შეფასებაში უნდა ვიყოთ ძუნწი და უსამართლო, რაც დიდი შრომით უკვე შესრულდა, ითარგმნა და გამოიცა, დე, სხვამ უფრო სრულყოფილი თარგმანი შექმნას...“ (აკაკი გელოვანი, – ნიგნის სამყარო, – 1985, 27 ნოემბერი).



კორესპონდენციები

ნინო ჭრიკიშვილი-ქოქრაშვილი
საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმის ბიბლიოთეკარი

ექსკურსია გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში

გასული წელი გამოცხადებული იყო გიორგი ლეონიძის საიუბილეო წლად.

მთელი წლის განმავლობაში საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმის სასოფლო ბიბლიოთეკაში მოწყობილი იყო მწერლის წიგნების გამოფენა. ბიბლიოთეკის მკითხველები კითხულობდნენ „ნატვრის ხეს“ და გოგლას სხვა შემოქმედებით შედეგებს. ზეპირად სწავლობდნენ მის ლექსებს.

19 დეკემბერი კი ხაშმის სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველებისთვის მეტად საინტერესო, შთამბეჭდავი და დაუვიწყარია. ამ დღეს მოეწყო ექსკურსია საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის სახლ-მუზეუმში, სადაც 1899 წლის 27 დეკემბერს დაიბადა საქართველოს სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

მუზეუმის თანამშრომლის მიერ საინტერესო ექსპონატებისა და მწერლის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ ბიბლიოთეკის მკითხველებმა: ნათია ფოლადაშვილმა, თემურ ნახუცრიშვილმა, ნინო თეთრაშვილმა და მაია ჯანიაშვილმა



წაიკითხეს მწერლის ლექსები, გადაიღეს სამახსოვრო სურათები გოგლას ეზოში.

ექსკურსიის მონაწილენი კმაყოფილები დაბრუნდნენ სოფელში.

მანანა ყაბანაშვილი,

კასპის № 1 საჯარო სკოლის პედაგოგი

1. იქ, სადაც მკითხველს მიუხარია

კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) მკითხველს ყოველთვის მიუხარია, რადგან აქ ხვდება თბილი გარემო, ღიმილი და კვალიფიციური მომსახურება.

დარბაზი მუდამ სავსეა მომხმარებლებით, ზოგს გაზეთი უჭირავს ხელში, ზოგი ენციკლოპედიაში ეძებს საჭირო ცნობებს, ზოგი „სარკით“ ან „მკურნალით“ ინტერესდება... ნასაკითხი ბევრია.

დარბაზს გამოფენებიც ამშვენებს: გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სურათები, რაიონის შემოქმედთა მიერ

გამოცემული ახალი წიგნები, ფრანგული ლიტერატურის თარგმანები, თვის იუბილარების მასალები და სხვა.

დარბაზში ცალკეა მოწყობილი რელიგიის კუთხე.

ბიბლიოთეკარები დაუზარებლად ემსახურებიან მომხმარებელს მათთვის საჭირო ლიტერატურით. ესენი არიან: გ. შაველაშვილი, ზ. ბარნოვი, ლ. ნიპარიშვილი, ე. დალაქიშვილი, მ. გზირიშვილი, ხ. ბაუაშვილი, მ. აბუაშვილი, დ. ხაჩიძე, მათ ყოველთვის მადლობელი ჰყავთ მკითხველი.

ბიბლიოთეკარები თვეში ერთხელ სემინარს

ატარებენ და ერთმანეთს აცნობენ შრომით საქმიანობას, ამავე დროს ხშირად ტარდება აქ ღონისძიებები, კერძოდ, სოციოლოგიური გამოკითხვები: „რა ვიცი და ვით ალმამენებლის შესახებ“, „რელიგია და ჩვენ“, „ქალი – სამყაროს შემქმნელი“, „ყველაზე ჭკვიანები“, „გოდერძი ჩოხელი – მწერალი, კინორეჟისორი და სცენარისტი“.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკას პარტნიორული ურთიერთობა აქვს კასპის პირველ საჯარო სკოლასთან, ხშირად მასთან ერთად ატარებს ღონისძიებებს, როგორცაა: „იაკობობა“, „კასპელთა პოეზია“ (ზეპირი ჟურნალი), „შეხვედრა წიგნის ავტორებთან – მცხეთელ პოეტებთან“ და სხვა...

ბიბლიოთეკამ ახლახან დაამყარა ურთიერთობა კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანელებთან, ფერმის საბაზო სკოლასთან და მას საჩუქრად გადასცა 407 ლარის სხვადასხვა დასახელების წიგნები. სულ 207 ერთეული.

ბიბლიოთეკა აწყობს გასვლით ღონისძიებებსაც. მან ახლახან ჩაატარა ღონისძიება მეტეხის სოციალურ თემში (დევნილებთან).


„წიგნს უნდა დავუბრუნოთ მკითხველი“ – ასეთია ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი. ამგვარად ხდება სწორედ მკითხველთან დაახლოება, ურთიერთთანამშრომლობა, კულტურის ამაღლება, პარტნიორული მუშაობის გაძლიერება, ღონისძიებების ფართო მასშტაბებით ჩატარება. ბიბლიოთეკარები იმედოვნებენ, რომ მალე ჩაატარებენ წიგნის ზეიმსაც.

2. „კვლავ ავინთა გულში სანთელი“

და ენთო იმ დღისით სანთელი, ისე ენთო, როგორც მას უნდოდა, ენთო სანთელი, იწვოდა ნელ-ნელა და მის სახელს ნათელს ჰფენდა, მწერალსაც ეს უნდოდა: „სულს მომფინე, მომფინე შორეული ნათელიო“, და ეფინებოდა, მართლაც, ნათელი მის ხსოვნას ჯერ კასპის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში, შემდეგ კი მკითხველთა თხოვნით სოციალურ სათემო

ცენტრში, დიდი და პატარა ლიხვის ხეობიდან კასპის რაიონის სოფელ მეტეხის დასახლებაში.

„მინა ხარ და მინად იქეც!“.. აი, ეგ სიტყვები დაიჭირე, შიგ ძვლები გამოხვიე და შემინახე, რომ არ დაგეკარგო, შემინახე, დედაო მინაე!“ – ამ სიტყვებით გახსნა ღონისძიება სოფლის თავკაცმა, დევნილთა დედობილმა ციციო აბუაშვილმა, შემდეგ კი ადგილი დაუთმო კასპის მთავარი ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს: ეთერ ჩადუნელს, ლია ნიპარიშვილს, მაია აბუაშვილს, დალი ხაჩიძეს, ხათუნა ბახუაშვილს, ეკატერინე დალაქიშვილს, მანანა ყაბანაშვილს, ვენერა ბესტავაშვილს, რომლებიც მსმენელთა წინაშე შემდეგი მოხსენებებით გამოვიდნენ: „გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფია“, „სევდის მამა“, „გოდერძი ჩოხელი – კინორეჟისორი“, „შვილის მოგონებები მამაზე“, „ნოდარ დუმბაძის შეხედულება გოდერძი ჩოხელის შესახებ“, „მოსწავლეთა თვალთ დანახული მწერლის შემოქმედება“, „მწერალი სასკოლო პროგრამებში“ და სხვა.



აღსანიშნავია, რომ გასვლითი ღონისძიებით საფუძველი ჩაეყარა პარტნიორულ მუშაობას არა მარტო სოფლის ბიბლიოთეკასთან (ბიბლიოთეკარი – მ. ქოქაშვილი), არამედ სპმთპ-ის კასპის რაიონულ საბჭოსთან. (თავ-რე გ. სოზიაშვილი დევნილ ბავშვებს შეპირდა საბავშვო ფილმების ჩვენებას.

„წუთისოფელი მოკლეა, მაგრამ მან მაინც მოასწრო სახელის უკვდავყოფა“, – ასე აფასებდნენ მოსწავლეები მთავარი ბიბლიოთეკის მიერ სახელდახელო გამოფენაზე წარმოდგენილ მასალებს, აკი პოეტიც ამბობდა: „მე დავბრუნდები საიქიოდან, ბალახად მოვალ, ნისლად და წვიმად, წამალბალახა ყვავილს მოვიტან, რომ ვუმკურნალო, ვისაც რა სტკივა“, აუცილებლად, აუცილებლად მოვა ადამიანი-მკურნალი, რომელიც დევნილებს გზას გაუკვალავს მამულეთისაკენ ერთ მთლიან საქართველოში დასამკვიდრებლად.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკა კვლავ აგრძელებს პარტნიორულ მუშაობას სოფლის საჯარო, საბაზო სკოლებსა და სასოფლო ბიბლიოთეკებთან, რა თქმა უნდა, შერჩევითი ღონისძიებების მიხედვით.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანაა, კომპიუტერული სამყაროს პირობებში აღზარდოს წიგნიერი ახალგაზრდობა. და, მარ-

თლაც, იქ დამსწრე მოსწავლე-ახალგაზრდობამ გამოთქვა სურვილი, ახლო გასცნობოდა მწერლის შემოქმედებას. მათ ისურვეს ბიბლიოთეკაში ჩაწერა და წიგნების კითხვა.

„WORLD WISION“-ის ჰუმანიტარულ საქმეთა დირექტორის მოადგილე ირმა სიგუა მოსწავლეებს შეპირდა, რომ იგი იმუშავებს პატარა ბიბლიოთეკის შექმნაზე და ამავე დროს მან მთავარ ბიბლიოთეკას გადაუხადა დიდი მადლობა თანადგომისა და თანაგრძნობისათვის

და იმ წიგნადი ფონდისათვის, რომელსაც კასპის მთავარი ბიბლიოთეკა გადასცემს საჩუქრად სოციალურ სათემო ცენტრს.

მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა დევნილებს საჩუქრად გადასცა გოდერძი ჩოხელის ლექსების კრებული „მე და მე“.

დამსწრე საზოგადოებამ ცრემლით, მოგონებებით, სევდითა და იმედიანი განწყობილებით დატოვა დარბაზი, ისევ ჩოხელის სიტყვებით: „მე დავბრუნდები... რომ გუმკურნალო“.

ლია ნიპარიშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

„... შემიწახე დედაო მიწავ!“

„მშვიდობით, ჯვარი გენეროს, ღვთითკურთხეულ სამყაროვ, ანგელოზები მენვივნენ, სული ხორცს უნდა გამყარონ, ერთსა ვთხოვ ყველას – ნუ იტყვიო... შენ ჩვენებური არ ხარო“.

/2003 წ. 17 მაისი, რენიმაციული განყოფილება/

ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! – იძახდა ცასწავალა და ისე მალლა წავიდა, ოდნავლა ჩანდა, გასცდა იმ საზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე – უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩასძახოდა: „ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!“ ჩამოსძახა და მართლაც წავიდა ცას გოდერძი ჩოხელი – უცნაური და გამორჩეული ბიჭი ღვთითბოძებული ნიშნიანი – „ნაწილიანი“.

ადამიანებს პასუხი აინტერესებთ ყველაფერზე და სანამ პასუხს მიიღებენ, დარდიანები, სევდიანები დაიარებიან. გოდერძი ჩოხელი კი ამ დარდებს აგროვებდა, მოთხრობებდა და ფილმებდა აქცევდა, სევდის ნისლში ახვევდა და ამავე ნისლში ეძებდა საზღვარს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, დასაწყისსა და დასასრულს შორის.

„რა არის სიცოცხლე? – სიცოცხლე არის ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა. სიკვდილი? – სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“, – აი ეს არის გოდერძისეული პასუხი. თავად კი არჩევანი ორი წლის წინ გააკეთა – „ადამიანად არყოფნის სევდა“ აირჩია და 2 წლის წინ 2007 წლის 16 ნოემბერს განერიდა „ადამიანად ყოფნის ტკბილ სევდას“. თუმცა უფრო ადრე სცადა თავის მოკვლა. მაშინ საკუთარმა „სულის პეპელამ“, რომელსაც იგი ამ სამყაროში დაჰყავდა, თავის ფერად

ფრთებზე შეისვა და გამოსტაცა სიკვდილს. ცუდად იყო გოდერძი, ძალიან ცუდად, სული სტკიოდა... სული“.

1954 წლის 2 ოქტომბერს დაბადებულს, 55 წელი შეუსრულდებოდა...

ცოტა დროში ბევრის თქმა და გაკეთება მოასწრო. წიგნები: „ადამიანთა სევდა“, „თევზის წერილები“, „მგლები“, „წერილი ნაძვებს“, „მღვდლის ცოდვა“, „შემიწახე დედაო მიწავ“, „ბედი მღვდარი“, „ცასწავალა“, „ბალახის ცხოვრება“ მთიდან წამოსული თეთრი ღრუბელივით ყველგან გაფანტა და მზის სხივების სითბოს და მინის სურნელს აზიარა. მკითხველმა დიდი სიყვარულით მიიღო,



საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ყურადღება მიიპყრო. მის შემოქმედებაში ვაჟასეული დიდი ჰუმანიზმი სამყაროს გამოუცნობ მისტიკურ-ირეალურ აღქმასთან არის შერწყმული. რთულია რეალურისაგან გაარჩიო მითიური, ზღაპრული, უცნაური და არნახული.

თორმეტი ფილმის რეჟისორმა და ცამეტი ფილმის სცენარის ავტორმა დაგვიტოვა ფილმები: „მეკვლე“, „აღდგომა“, „ადამიანთა სევდა“, „ცოდვის შვილები“, „სამოთხის გვრიტები“, „ლუკას სახარება“ და სხვა, რომლებშიც ეროვნული ყოფიერება, მთის ტრადიციები და ხალხური მოტივები საოცარი სიფაქიზით და ორიგინალური ხედვითაა გადმოცემული.

ყოველივე ზემოთ მცირე ნათქვამისა და ბევრი უთქმელის გამო კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა გოდერძი ჩოხელის დაბადების 55 წლისთავთან დაკავშირებული ლიტერატურული საღამო „შემინახე დედაო მიწავ“.

ლონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს წარმომადგენლები, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლები, კასპის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, საჯარო სკოლების პედაგოგები, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭოს თავ-რე ქ-ნ გ. სოზიაშვილი, რაიონული გაზეთის „ახალი განთიადის“ რედაქციის ჟურნალისტები, წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის მრევლი ივლიტა და სურამის წმ. მარიამ ღვთისმშობლის დედათა მონასტრის სამონაზვნე ნანა დარბიაშვილი და სხვ.

თემატური მრავალფეროვნებითა და დიდი ემოციური მუხტით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სიტყვაში გამომსვლელები: ვენერა ბესტავაშვილი, ეთერ ჩადუნელი, ლია ნიპარიშვილი, დალი ხაჩიძე, ეკა დალაქიშვილი, ხათუნა ბახუაშვილი, მაია აბუაშვილი.

დამსწრე საზოგადოებაში ისე მოვარდა სათქმელი, როგორც თერგის აქაფებული წყალი. ქ-ნ გიული სოზიაშვილმა პროფკავშირის სახელით წინადადება შემოიტანა, რომ ეს ღონისძიება განმეორებით ჩატარდეს რაიონის საჯარო სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, ამირან ტალახაძემ და ლია მენაბდიშვილმა გაიხსენეს საინტერესო შემთხვევები გ. ჩოხელთან პირადი ურთიერთობიდან. ხაზი გაუსვეს მის რეჟისორულ და მწერლურ ნიჭს, პიროვნულ უშუალობას, სიჯიუტემდე მისულ ქართულ, ვაჟკაცურ ღირსებას.

სიამოვნების, სიამაყის, სინანულისა და ტკივილის ცრემლები ახლდა რუსუდან მიგრაიულის, ნანა მერებაშვილის, მანანა ყაბანაშვილის, თამარიკო გაბოძის და სხვა გამომსვლელთა სიტყვებს. ქეთევან მონასელიძის მიერ წაკითხული ჩოხელის „მოხევის სადღეგრძელო“ კი ყველა ქართველის სათქმელი სადღეგრძელოა:

„მანამ სუფთა სული გვაქვს, გული სუფთა გვაქვს, სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმღვრევით, რო ველარ ვგებულობთ, საით მივდივართ და რატო და რისთვის მივდივართ, მანამდე გაგვიმარჯვას, მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“

ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ბევრი რამ დაგვრჩა სათქმელი გოდერძი ჩოხელზე, ისევე, როგორც თვით მას დარჩა სათქმელი და საქმნელი.

„წუთისოფელი იცინოდა, დრო კი მიდიოდა, დრო წამალი და სენი ყველაფრისა“.

ის კი ვიცით, რომ ღმერთმა შეისმინა და აღასრულა ვედრება მისი: „შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ, ჩემს ძვლებს შენ გავბარებ სიკვდილის მერე...“

შემინახე დედაო მიწავ“.

შემინახე დედაო მიწავ“.

ნანა ოქროპირიძე,

76-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

მასწავლებლის დღეს მიეძღვნა



თბილისის 76-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ინიციატივითა და ორგანიზებით (ბიბლ. გამგე ნ. ოქროპირიძე) გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – „მასწავლებელი მზეა პირბადრი“,

მიძღვნილი მასწავლებლის დღისადმი. ღონისძიების ჩატარებაში თითქმის მთელი სკოლა იღებდა მონაწილეობას. მოწვეულნი იყვნენ: აფხაზეთის განათლების მინისტრი ლალი ხომერიკი, რესურს-ცენტრის წარმომადგენლები მარინა ჯაში და ქეთი დოლბაძე, ისან-სამგორის რაიონული პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე გულიკო ამილაძე, საქართველოს პროფკავშირების საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ეკა ჩერქეზიშვილი, აგრეთვე საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალის-



ტები გურამ თაყნიაშვილი და ალექსანდრე ლორია. აქ იყვნენ ყოფილი სოხუმელი პედაგოგები, სხვადასხვა სკოლის დირექტორები გ. ტაბატაძე (107-ე სკოლა), ა. კენხოშვილი (152-ე სკოლა), გ. ღამბაშიძე (147-ე სკოლა), ა. ჩხაიძე (182-ე სკოლა), კ. ჭკუასელი (176-ე სკოლა), მონაწილეობას ღებულობდნენ ამჟამად მოქმედი ღვანლმოსილი მასწავლებლები და მშობლები.

მთელ საღამოს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენი სკოლის დირექტორი დ. ჯაგაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე მ. ღვინიაშვილი, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს ღონისძიების ორგანიზაციის საქმეში.

განსაკუთრებით დიდი ღვანლი გასწიეს კომპოზიციის ორგანიზაციაში პედაგოგებმა: თ. ათუაშვილმა, მ. შუბლაძემ, სკოლის მენეჯერმა თ. კობიაშვილმა. სკოლის მოსწავლეები სიხარულით შეხვდნენ სკოლადამთავრებულებს შოთა ბაკურიასა და მიხეილ ტყეშაძეს. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია მიჰყავდა მეათე კლასის მოსწავლეს თ. გუჯეჯიანს.

ღონისძიება გაიხსნა საქართველოს ჰიმნით, რომელსაც მოსწავლეები ასრულებდნენ. ამას მოყვა მილოცვა ამ დღის გამო (ნ. ოქროპირიძე) და საკმაოდ საინტერესო მხატვრული გამოსვლები.

შესრულდა ლექსები და სიმღერები, გაიმართა ცეკვები: „ქართული“, „მთიულური“, „აჭარული“, „კინტოური“. ერთიმეორეს ცვლიდნენ მისალოცი სიტყვები და მოგონებები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მე-3 კლასელების მიერ წარმოდგენილი გამოსვლები (კლ. ხელმძღვ. ნ. ღვინიაშვილი).

ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით დაამშვენეს ღონისძიება პატარა თუ დიდმა მოსწავლეებმა. მათ შორის იყვნენ: თ. გუჯეჯიანი, ს. თოდუა, თ. თოდუა, ი. ებილაშვილი, ტურძელაძე, ი. ქუმსიევი, მაღალდაძე, გ. თაბირიძე, გ. ქუთათელაძე, ბურკაძე, ებილაშვილი, გ. ბეჭვასია, მ. ხოლუაშვილი, თ. მაღლაკელიძე, ბასარია, მეტრეველი, შარაშიძე, გ. აფაქიძე, ს. ყვავაძე, ინაშვილი, ბაქრაძე, ვ. პაპასკირი. გვაჯავა, ბ. ჯაფარიძე, ა. იარაჯული და სხვ.

საღამო საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულებული მრავალჯამიერით დასრულდა.

ეს დღე უდავოდ დიდხანს ემახსოვრებათ საღამოთი მოხიბლულ სტუმრებსა და მონაწილეებს.




მოგონება



გიორგი სარაჯიშვილი



ჩვენი უბნელი ვახუშტი



ჯერ იყო რეპრესიები, რომელმაც წელში მოხარა საქართველო. არ დარჩენილა ოჯახი, რომ არ შეხებოდა. მას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომი, ახალი საშინელება, რომელშიც დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ. ომი რომ დამთავრდა, ქალაქში თუ სოფლად, ყოველ ნაბიჯზე ნახავდით ხის ფეხით თუ ყავარჯენებით მოსიარულე მამაკაცს. ჩაცმა-დახურვაზე ოცნება და ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ბოტები ან კალოშები ვისაც ეცცვა, ბედნიერად თვლიდა თავს. იყო შიმშილობა, რიგებში ტალონებით პურის აღება, ამერიკიდან გვეძლეოდა ჰუმანიტარული დახმარება – კვერცხის ფხვნილი. ამბობდნენ, კუს კვერცხის არისო. ზოგი სხვასაც ამბობდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან „როცა გშია, ზაქარია...ო“. „დაშტოფილი“ შარვალი რომ არ ეცვა, თითო-ოროლა ბიჭი თუ იყო, ხოლო ზოგს, ადრე ნახმარი და „გადაბრუნებული“ ახ-

ლიდან შეკერილი გვეცვა. დედები გარეგნულ სილამაზეს ყურადღებას ვერ აქცევდნენ, რადგან მათთვის სისუფთავე იყო მთავარი. მეიდანში, აბანოში კვირაში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც უნდა წავსულიყავით და გვებანავა, გარდა ამისა, ვბანაობდით მზეზე გაცხელებული წყლითაც.

არსენას ქუჩის ათ ნომერში, ნავთის „სკლადის“ თავზე, განთქმული პედიატრი, ბიძაჩემი – ვლადიმერ თოხაძე ცხოვრობდა, რომლის სახელსაც მელიქიშვილზე ცნობილი ბავშვთა კლინიკა ატარებდა. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ციალა და რუსუდანი. თოხაძეები ჩვენი და უბნის მფარველები იყვნენ. ხშირად მინახავს მათთან სახლში ვახუშტის და – ლეილა. ვლადიმერის მეუღლე, ბიოლოგი, ცნობილი მეცნიერ-პედაგოგი, ქალთა სკოლის დირექტორი ქეთევან ხომერიკი ბავშვებს სახლში ისე არ გამოგვიშვებდა, ცხვირსახოცი ან საპონი, პერანგი ან წინდა, ან სხვა რაიმე რომ არ ეჩუქებინა. თუ მათთან მისვლას დავიგვიანებდით, დატუქსვა არ აგვცდებოდა, მახსოვს, რუსთაველის თეატრი რომ იწვოდა და თბილისის ზეცა გადანითლებული იყო, შიშის გამო მათთან შევაფარეთ თავი.

მთანმინდის ჰაერი ჩვენი მასაზრდოებელი რამ იყო; გაზაფხულზე ფერდობებზე შემოსული „მაიკაში“ მოკრეფილი ნუში ეზოებში გახარებულ თუთასთან ერთად ბავშვებს „გვანაყრებდა“. ვის ოჯახსაც სოფელი ეკონომიურად ზურგს უმაგრებდა, იმათ გარდა ბევრის ბედნიერებაც იყო ეს, რადგან „მეგობარი“, „ამხანაგი“, „კლასელი“, „მეზობელი“, „ნათესავი“ – ამ სიტყვებს სულ სხვა დატვირთვა გააჩნდა.

რეპრესირებულებმა „გამართლება“ სხვადასხვა დროს მიიღეს. ვახუშტიმაც მიიღო 18 წლის შემდეგ. ახალი ტკივილი! ახალი დაბრუნება ბავშვობის ოცნებებში. მეორედ მონამლული ცხოვრების დასაწყისი. დაუბრუნეს კი ბავშვობა?! ჰაი გიდი...

სიამაყე ყველა ჩვენგანში იდო. გინება ან ბილწსიტყვაობა მსუბუქ ფორმებში მოდიოდა,

არ გალიზიანდებოდი და გუშლი ჩასადებად არ ღირდა. მთანმინდაზე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მაშინაც და დღესაც. ვიტყვით „ნიჟინ მთანმინდის“ უბანს ვეკუთვნითო: სულხან-საბას ბალიდან რუსთაველამდე; ჩიტაძის ქუჩა სოლოლაკთან გვსაზღვრავდა, ხოლო საზღვარი ჭავჭავაძის აღმართთან მთავრდებოდა. არც მაშინ და არც ახლა „ნიჟინ“ არ მომწონდა, მაგრამ ერთხელ შერქმეულს რა შეცვლიდა?

ინგოროყვას ქუჩის ბოლოს, ასე ვთქვათ, ჩამკეტად მდგარ ხის ღიაიანი შენობაში, ცხოვრობდა კაცი თავისი ოჯახით, რომელიც იყო ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, ვინც 1922–28 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში იაკობ ნიკოლაძის ჯგუფში. 1928 წლიდან აქვე კითხულობდა ქანდაკების თეორიისა და ისტორიის კურსს, ხოლო 1930–32 წლებში სამხატვრო აკადემიის რექტორი გახლდათ, გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, 1963 წელს გიორგი ჯიბლაძემ, კომუნისტების ეპოქაში, როცა ქვეყანა ცოტათი მოფაფაღდა, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციების კურსი „ქანდაკების ისტორია“ წიგნად გამოსცა. დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სათქმელია, ვახტანგს „კრიტიკამ“, თუ „რექტორობამ“, მოუსპო სიცოცხლე, იმ ავადსახსენებელ „37“-ში. იქნებ, ორივემ ერთად. არა! არც პირველმა და არც მეორემ: მამულის სიყვარულმა და ნიჭიერებამ!

მეფის რუსეთის დროს ქუჩას პეტრე პირველის სახელი ერქვა. კომუნისტების დროს კი – ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის, ვინც ლენინთან ერთად „ჩეკას“ მძლავრი სისტემა შექმნა. ბერიას დროს ჩემი სახლი ჩეკას შენობა იყო. ბერიაც აქ იჯდა. მთელი ეზოს ქვეშ, ქართული აგურით და კირით ნაშენები თაღოვანი სანამებელი, წყლით ყელამდე ავსებული, შიგ შეყრილი პატიმრების გამოსატყეხი იყო. გადმოცემით ბევრი ვერ უძლებდა ასეთ ნამებას, იქვე ესალმებოდა სიცოცხლეს. იყო დამნაშავე თუ მართალი, გამკითხავი არავინ იყო. მოსახლეობა აქ რომ შემოგვასახლეს, სარდაფებში თუ სხვენში თავის ქალებს, ძვლებს ბევრს ვპოულობდით. ბავშვებს საშინელი გრძნობები გვეუფლებოდა. შენობას სახურავში გაყვანილი ჰქონდა საგანგაშო სიგნალი, რამდენჯერაც ფეხს წამოგკრავდით, ატყდებოდა განგაში. ბოლოს მოიფიქრეს და მოხსნეს. სხვადასხვა ასაკის ოთხმოცდარვა ბიჭი და გოგო ვცხოვრობდით ეზოში. ვაჟები და ქალიშვილები ცალ-ცალკე ვსწავლობდით სკოლებში. ყველას თავისი მეგობარი გვყავდა. რომ

შევიკრიბებოდით, ბევრი გამოვდიოდით, მით უმეტეს, მაშინ, როცა სპორტული ღონისძიებები ქვედა თუ ზედა ეზოში ტარდებოდა. თანატოლებმა იცოდნენ ჩვენი ეზოს მისამართი – „ძერჟინსკის 22“, რომელიც დღემდე შემორჩა. ვინ არ მოდიოდა ეზოში, რა თქმა უნდა, ვახუშტიც. იმ ავადსახსენებელ დღეს ბევრი მათგანი ვნახე დაკრძალვაზე. ვიდექით და ვიგონებდით იმ წლების ამბებს, ბევრიც გარდაცვლილიყო.

ახალმა წყობილებამ ქუჩა გახადა პავლე ინგოროყვას სახელობისა, რადგან ინგოროყვა ცხოვრობდა ამ ქუჩაზე. ქუჩის დასაწყისში კი ქართული პოეზიის მშვენიერ ლადო ასათიანი სახლობდა. მოყვებოდნენ: კოტე მარჯანიშვილი, ირაკლი გამრეკელი, აქ ბინადრობდა ოლივერ უორდროპი, შემდეგ იონა ვაკელი, გრიგოლ ტატიშვილი, იოსებ ლოლობერიძე და მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. შეიძლება ითქვას, რომ შენობა არ იყო, სადაც ერთი ან ორი პიროვნება არ ცხოვრობდა, ვისაც ხალხი ცნობდა.

„როდენის ემბაზში განბანილმა მოქანდაკემ“ (კ. გამსახურდია) იაკობ ნიკოლაძემ 1909 წელს იტალიურ თეთრ მარმარილოს ქვაში დავით



სარაჯიშვილის სკულპტურული პორტრეტი გამოქერნა (ინახება ხელოვნების მუზეუმში), მანამდე კი ნიმუშად 1908 წელს ნატურიდან, თაბაშირის ორი ესკიზი დაამზადა. ერთი ბიუსტი ავჭალის კონიაკის ქარხნის მუზეუმში ინახება, ხოლო მეორე „დაკარგულა“. მისი „ბედი“

სხვაგვარად წარმართულა. როცა გიორგი ლეონიძე ლიტერატურის მუზეუმისათვის ხელნაწერების, რელიქვიური ნივთების შეგროვებას შესდგომია, ცნობილი პიროვნებებისაგან კომისია შეუქმნია. ერთ დღეს კოტეტიშვილი მუზეუმში მისულა. მისალმების შემდეგ, ცოლის ხალათში გახვეული რაღაც ნივთი გამოუღია, მაგიდაზე დაუდია, გაუხსნია. კომისიის წევრებს შეუხედავთ და სიფრთხილის გამოჩენის მიზნით უთქვამთ: „ვახტანგ, შენ დღეს ჩვენთან არ მოსულხარ და არაფერი მოგიტანიაო“. ხმის ამოუღებლად, ჩამოვარდნილ სიჩუმეში, კოტეტიშვილის სარაჯიშვილის ნიკოლაძისეული კეფაჩამტვრეული ბიუსტი ისევ ხალათში გაუხვევია, ილიაში ამოუდვია და ვარები გამოუხურავს. კომუნისტებს რომ არ გაეგოთ, ამ შემთხვევას დაბალ ხმაზე გულისტკივილით მიყვებოდა სოლომონ ხუციშვილი და მაფრთხილებდა, არავისთვის არ მეთქვა. სოლომონმა ისიც მითხრა: „ისეთი პრინციპული, პატრიოტი, როგორიც ვახტანგ კოტეტიშვილი გახლდათ ბიუსტს არ დაამტვრევდა, არ გადაადგებდა. მოიძებნება და ნიკოლაძის მემორიალურ სახელოსნოში დაიდებს ბინასო“.



ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე სოლომონისაგან ავიღე ნებართვა, რომ ვახუშტისათვის მეთქვა ეს. ვახუშტის ისე მოვუყევი, სოლომონი არ ვახსენე და ისიც ვუთხარი, რომ მე მივიდოდი და წამოვიღებდი ბიუსტს, სხვას რომ არ გაეგო. ვახუშტიმ თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა. გვიან დამირეკა და მითხრა, რომ მან „გადაატრიალა ყველაფერი, სარდაფშიც ეძება და ვერ ნახა“. მე კი, სხვაგან სად მეძებნა ვერ მითხრა. დაიმედებულმა, დაჟინებით ვუთხარი ვახუშტის, ვერ მონახა კარგად და მინდოდა, რომ მოენახა, გამომივიდა ისე, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენე მისი მცდელობა. ჩავიდე გუნებაში, აუცილებლად უნდა მეპოვნა ბიუსტი, მაგრამ საიდან უნდა დამეწყოს ძებნა, არ ვიცოდი. აფიშირებაც არ მინდოდა, რადგან სხვა დრო იყო. მივედი დ. სარაჯიშვილის დის შვილიშვილთან ნიკა ტარსაიძესთან და გავენდე. მან არ იცოდა ეს შემთხვევა. მირჩია, მივსულიყავი როდენის ქუჩაზე, ჩიხში, ნიკოლაძის ატელიეში, მაშინ ასე იყო ცნობილი მემორიალური მუზეუმი. მივედი. ვნახე იაკობის შვილიშვილი გურამი, რო-

მელმაც ასევე არაფერი იცოდა. ისე კი მითხრა: „პაპაჩემი თიხაში, თაბაშირში და მარმარილოში აკეთებდა ბიუსტებს და შესაძლებელია თიხაში გაკეთებული იყოსო“. ჩემთვის მის უხერხულ კითხვებს თავი დავალნიე და დავემშვიდობე.

იხტიბარს მაინც არ ვიტყვდი. იმედი მქონდა, რომ ვიპოვიდი ბიუსტს. იაკობ ნიკოლაძის მეუღლე ბრონისლავა გიორგის ასული მიულმანი-ნიკოლაძისა გადმოგვცემს: „დავით სარაჯიშვილმა ახალგაზრდა იაკობს პარიზში, კაზმული ხელოვნების აკადემიაში სწავლის პერიოდში დაუნიშნა სტიპენდია თვეში 50 მანეთის ოდენობით“, ხოლო იაკობის ქალიშვილი თეონა იგონებდა: „როდესაც მამა დაბ-

რუნდა საქართველოში, დავით სარაჯიშვილმა, მას გამოუყო სახელოსნოდ კასრების შესაკრავი ადგილი“.

სოლომონ ხუციშვილის ნაამბობი ვახტანგ კოტეტიშვილზე (გამართლეს 1956 წელს) 67 წლის შემდეგ გამართლდა. 1908 წელს ესკიზად დამზადებული დ. სარაჯიშვილის ბიუსტი ინახა.

102 წლის ასაკში ქალბატონი ბრონისლავა გარდაიცვალა. მის ოთახში არავის არ შეეძლო რაიმე ნივთის გადაადგილება, რადგან მოხუცს ასე სურდა, მის ოთახში ძველებური ზანდუკი იდგა. „ბებია რომ გარდაიცვალა, გავხსენით ზანდუკი, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ქვევით, ძირში იდო ქალის ხალათში გახვეული, დაზიანებული დ. სარაჯიშვილის თაბაშირის ბიუსტი, მარცხენა მკერდზე წარწერით – „ი. ნიკოლაძე“ და შესრულების თარიღით – „1908 წელი“, – მომიყვა გურამ ნიკოლაძემ. ამჟამად ბიუსტი აღდგენილია გურამის მიერ. იგი განსხვავებულია მარმარილოში შესრულებული ბიუსტისაგან (ინახება ი. ნიკოლაძის მემორიალურ მუზეუმში).

არ ვიცი, გამემტყუნება თუ არა დაჟინებით რომ ვცდილობდი ბიუსტის მოძებნას და უხერხულობაში ვავდებდი ვახუშტს. არ ვიცი, ეს ახალგაზრდობის წლებს მივანერო, თუ გვარის ყვირის.

როცა ვახუშტი და მე „განვზავდით“, მითხრა ძალზე მშვიდად, თუმცა ხმაში აღელვება შეემჩნეოდა: „გასაკვირი არ არის, შენ რომ სარაჯიშვილის ბიუსტს ეძებ, მე კი მინდოდა დედაჩემის ხალათი მეპოვა, მინდოდა მისი სურნელი შემეგრძნო“... ორივეს თვალზე ცრემლები მოგვადგა.

ოთარ ოსაძე

ახლანდელი გადასახედიან (ამონარიდები მოგონებებიდან)

... დამამთავრებელ კურსზე ყოფნისას მე და ლევან კვირიკაშვილი თავისთან გვიხმო კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერიან ხატიაშვილმა და შემოგვთავაზა სწავლის გასაგრძელებლად ნავსულიყავით მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტში, სადაც საქართველოსათვის გამოყოფილი იყო ორი ვაკანტური ადგილი, მაგრამ ჩვენ როგორც ეკონომიური, ისე სხვა გარემოებათა გამო ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე უარი განვაცხადეთ...

ამის შემდეგ მე საგზურით ზესტაფონში გამანესეს საქალაქო ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე დასანიშნად. კულტურის განყოფილების გამგემ რაიკომის მდივანთან წარმადგინა და მას ჩემი საგზური გადასცა. მან ჯერ საგზურს ახედ-დახედა, მერე მე ამათვალ-ჩამათვალეირა და მრისხანე ხმით მითხრა: „ნადი და იმ შენ გამომგზავნის უთხარი, რომ ბიბლიოთეკის გამგე უკვე დანიშნულია-თქო“. ჩვენ ხმის ამოუღებლად დავტოვეთ მისი კაბინეტი...

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ – ზაქარია მუჩიაშვილმა, რომელმაც მოისმინა რა ჩემი საუბარი, კომიტეტის თავმჯდომარეს სთხოვა, თუ ნებას დამთავთ, ამ ბიჭს სამუშაოდ მე წავიყვანო. თავმჯდომარის თანხმობის შემდეგ, როცა ბატონ ზაქარიასთან მარტოდ დავრჩი, მითხრა: ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ადგილ მაქვს თავისუფალი, იქ დაგნიშნავ და შემდეგ ვნახოთ. ეს სამუშაო იყო კიროვის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც ავლაბარში მდებარეობდა...

„მგზნებარე კომუნისტის“ სერგო მირონის ძე კიროვის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა ავლაბარში ერთ ბნელ და ნესტიან ოთახში აღმოვაჩინე. ინსტიტუტში ბიბლიოთეკების საქმიანობის შესახებ თეორიული ცოდნისა და „საჯარო“ ბიბლიოთეკაში რამდენჯერმე პრაქ-

ტიკაზე ყოფნის შედეგად, სულ სხვა, მაღალი წარმოდგენა მქონდა ბიბლიოთეკების როლისა და ამოცანების შესახებ, მაგრამ აქ რაც ვნახე, ყოველგვარ უარყოფით მოლოდინსაც კი გადააჭარბა. თანამშრომლებს გავესაუბრე და მალე იქაურობა დავტოვე. აღარც კულტურის განყოფილებაში მივსულვარ და აღარც კომიტეტს გავეკარე. ჩემს სოფელს მივაშურე, სადაც ჩემი ხელობა თუ ხელოვნება – ფოტოგრაფობა მქონდა ნამოწყებული.

... ამ საქმიანობაში გაილია ის ბოლო ზაფხული. ზოგჯერ მაინც მიხდებოდა თბილისში ჩამოსვლა ფოტომასალების შესაძენად.



1949 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ქუჩაში ჩემს ყოფილ მასწავლებელს – ბატონ იოსებ ორჯონიკიძეს შევხვდი, რომელიც ინსტიტუტში „მკითხველებთან მუშაობის მეთოდიკას“ მასწავლიდა. გამაჩერა და მითხრა – მუშაობა სად დაიწყეო. მე ჩემი „თავგადასავალი“ მოკლედ ვუამბე. მერე ისიც მკითხა, ლევან კვირიკაშვილი სად არისო. ვუთხარი, რომ ლევანიც ჯერჯერობით არსად მუშაობს-მეთქი. მთხოვა, მენახა ლევანი და ხვალვე მასთან სამსახურში მივსულიყავით ორივენი და იქ გვესაუბრა ჩვენი მუშაობის თაობაზე. მაშინ ბატონი იოსები იყო მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებათა სახელმწიფო კომიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი. ეს დანესებულება წიგნის პალატის შენობაში იყო განთავსებული.

ადამიანის ცხოვრებაში არის თარიღები, რომელთა დავინწყებაც არ შეიძლება და რომლებიც სამუდამოდ რჩება მესხიერებაში. სწორედ ასეთ თარიღად დარჩა ჩვენთვის 1949 წლის 14 ოქტომბერი, როცა მე და ლევანი ბატონ იოსებ ორჯონიკიძის მეთოდკაბინეტში ვეახელით... მან მამობრივი გულკეთილობით მიგვიღო,

აქეთ-იქედან შემოგვისხა, ჩვენი მდგომარეობის შესახებ შინაურული საუბარი გაგვიმართა და მერე გვამცნო, რომ ზემდგომი ორგანოების გადანყვეტილებით, პირველად საქართველოში უნდა დაინერგოს მკითხველთა მომსახურების ახალი ფორმა – ე. წ. ბიბლიოთეკა-ავტომობილები, რომლებიც წიგნებითა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით მოემსახურებიან ცენტრიდან დაშორებულ სოფლებსა და სამშენებლო ობიექტებს (იმ ხანებში სამგორის სარწყავი სისტემისა და თბილისის ზღვის მშენებლობა იყო დაწყებული), მან ისიც გვითხრა, რომ ორი ასეთი ბიბლიოთეკა-ავტომობილისათვის, რომლებიც კაბინეტთან იფუნქციონირებს, ბიუჯეტი და შტატი უკვე დამტკიცებულია და თუ ჩვენ თანახმა ვიქნებით, დღეიდანვე გაგვაფორმებს ამ ბიბლიოთეკების გამგეებად. ბატონ იოსების შემოთავაზებას უყოყმანოდ და სიამოვნებით დავთანხმდით... მე ვინიშნებოდი აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ ბიბლიოთეკა – ავტომობილის გამგედ (წინასწარ საუბარში გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ მე უკვე ცოლშვილიანი კაცი ვიყავი), ლევან კვირიკაშვილი კი დაინიშნა გამგედ, რომლის ბიბლიოთეკა – ავტომობილი მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში იმოქმედებდა და რომლის ბაზა ქალაქ ახალციხეში იქნებოდა...

მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ ამ საქმეს, ვფიქრობ, რატომ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდკაბინეტს მიანდეს ეს და არა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას... მეთოდკაბინეტს სხვა წიგნები არ გააჩნდა, გარდა საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო ლიტერატურისა... საჯარო ბიბლიოთეკას ხომ სარეზერვო ფონდებში დიდძალი ლიტერატურა ჰქონდა, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა ბიბლიოთეკა ავტომობილებს გამოეყენებინათ, მანამდე მაინც, ვიდრე საკუთარ ფონდებს შექმნიდნენ...

სამახსოვრო დღედ იქცა მეთოდკაბინეტში მუშაობის პირველი დღე. ამ დღეს მე და ჩემი მეგობარი ლევანი, როცა სამსახურში გამოცხადდით, მეთოდკაბინეტის დირექტორი ბატონი იოსებ ორჯონიკიძე ჯერ არ იყო მოსული და თავის ოთახში მყოფმა მეთოდისტმა დიმიტრი მარკვეიჩმა გვიხმო და გაგვესაუბრა. მერე უჯრიდან რალაც ყურნალი ამოიღო და ჩვენს შესახებ ცნობები ჩაინიშნა... საერთოდ, ამ დღედ განათლებული და ყოველმხრივ მოწესრიგებული პიროვნების გვერდით ყოფნამ ბევრი რამ მასწავლა და მისაბაძად მიქცია. მისი მუ-

შაობის კულტურაში მართლაც ბევრი რამ იყო მისაბაძი და ვცდილობდი კიდევ მიმებაძა მისთვის, მაგრამ ვერც მე, მის გვერდით მდგომმა, ვერ შევძელი იმისი ნახევარიც კი, როგორც საქმიანობაში დიმიტრი მარკვეიჩი იყო და მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არც სხვა კაცი შემხვედრია მისნაირი. მარკვეიჩისეული მხოლოდ ერთი თვისება მაინც შემომჩნა: ყურნალი, რომელშიც აღრიცხული მაქვს ჩემი ნათესავ-მეგობრების, მეზობელ-ნაცნობთა მონაცემები და დღემდე ეს ჩემს ძვირფას საგანძურს წარმოადგენს...

პირველი „სერიოზული“ დავალება იყო – ქალაქში აღმოგვეჩინა ისეთი სადურგლო სახელოსნო, სადაც წიგნის კარადებს დაგვიზადებდნენ. ამ საქმიანობას რამდენიმე დღე მოვანდომეთ... მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექით წიგნადი ფონდის შექმნაზე ზრუნვას. პირველ რიგში ბიბკოლექტორს მივაკითხეთ, რომელიც მაშინ რუსთაველის გამზირზე მდებარეობდა, მერე წიგნის (მათ შორის ბუკინისტური წიგნის) მალაზიები შემოვიარეთ და საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა შევარჩიეთ. წიგნების შესაძენ თანხებს, რა რაოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო, კომიტეტის საგემო-საფინანსო განყოფილება დაუყოვნებლივ გვირიცხავდა და ამ მხრივ რაიმე შეფერხება არასოდეს ყოფილა.

დაკომპლექტების პარალელურად დავინყეთ წიგნების დამუშავება-აღწერა, კლასიფიკაცია და კატალოგების შედგენა... იმ ხანებში მიღებული იყო ე. წ. „საბიბლიოთეკო მონაფეობა“, ასეთი მონაფეები წლის განმავლობაში პრაქტიკულად ეუფლებოდნენ საბიბლიოთეკო საქმეს და, შეიძლება ითქვას, რომ კარგი სპეციალისტებიც გამოდიოდნენ. ასეთი ორი მონაფე მეთოდკაბინეტსაც გამოუყვეს. ბატონმა სოსომ ისინი ჩვენ მოგვამაგრა, რადგანაც თვლიდა, რომ ყველაზე კარგ პრაქტიკას წიგნების დამუშავების პროცესში გაივლიდნენ.

ასე გაილია 1949 წელი. დამუშავებული და კარადებში განთავსებული წიგნები უკვე მზად გვქონდა, მაგრამ ძირითადი კომპონენტი, რაც ჩვენი საქმიანობისთვის იყო საჭირო – ავტომანქანები ჯერ არსად იყო და მათ მიღებას ველოდით, თუმცა ყოველდღიური საქმიანობა მეთოდკაბინეტში მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს, ჩემთვის მოულოდნელად, ბატონმა სოსომ მითხრა, რომ მე და შენ ხვალ მცხეთაში უნდა წავიდეთ მივლინებაში. ის კი ვიცოდი, რომ მეთოდისტები ბიბლიოთეკების მუშაობის შესწავლა-გამოკვლევისათვის და მეთოდური დახმარების მიზნით ხშირად მიემ-



გზავრებოდნენ რაიონებში, მაგრამ მე რა უნდა გამეკეთებინა და რისთვის ვჭირდებოდი ბატონ სოსოს, წარმოდგენა არ მქონდა, არადა, ვერც შევეკითხებოდი ამას. როცა მეორე დღეს მცხეთის კულტურის განყოფილებაში მივედი, ბატონმა სოსომ მითხრა, გავსულიყავი სარიონო ბიბლიოთეკაში, რომელიც იქვე იყო, და მისი შემონახვა დამეწყო, თანაც ბიბლიოთეკის შემონახვის კითხვარი გადმომცა. მან ცოტა შეცბუნება რომ შემატყო, დაუმატა: დაკომპლექტებიდან დაიწყე და მეც მალე მოვალ. შეფიქრებულმა გადავხედე კითხვარს, რომლის პირველი განყოფილება დაკომპლექტება იყო და ცოტა გულს მომეშვა, ვიფიქრე, არც თუ ისე ძნელი იქნება ამ მონაცემების გამოკვლევა—მეთქი და ბიბლიოთეკაში გაბედულად შევედი, თუმცა ჩემი გამბედაობა იმან გამინელა, რომ იქ ბიბლიოთეკის გამგე, ხანდაზმული ქალბატონი, გამოცდილი სპეციალისტი მათიკო თათარაშვილი დამხვდა. მალე ბატონი სოსოც შემოვიდა და, მადლობა ღმერთს, ჩემი პირველი ნათლობაც მშვიდობიანად დამთავრდა.

ახალი ავტომანქანების შეძენა 1950 წლის გეგმით იყო ნავარაუდები და რადგანაც ჩვენი ძირითადი საქმიანობის დაწყება გვიანდებოდა, კომიტეტის თავმჯდომარემ თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის კუთვნილი ავტობუსი გადმოგვცა. სახელოსნოში, სადაც კარადები დავამზადებინეთ, ავტომანქანის უკანა ნაწილში წიგნების თაროები დავამონტაჟებინეთ, წიგნები განვალაგეთ და უკვე გასამგზავრებლად მზად ვიყავით.

პირველი გასვლა 1950 წლის 3 თებერვალს სოფელ გლდანში მოვანყვეთ (მაშინ სოფელი ასე მიბმული არ იყო ქალაქს, როგორც დღეს). სოფლის ცენტრამდე, სადაც კოლმეურნეობის კანტორა მდებარეობდა, ძლივს მივალწიეთ, ისეთი ოღრო—ჩოღრო, თოვლით გადანაქრული და ატალახებული გზა იყო.

მკითხველთა მომსახურების ასეთი ფორმით დაწყება იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვალა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია თვით საკავშირო ცენტრალურმა გაზეთმა „პრავდამაც“ გამოაქვეყნა: „Передвижные библиотеки на автомашинах для обслуживания колхозников отдельных сел Грузии оборудовал республиканский комитет по делам культурно-просветительных учреждений“, ხოლო გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „3 თებერვალს მოეწყო ბიბლიოთეკა—ავტომობილის პირველი გასვლა ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანში. ბიბლიოთეკამ საარჩევნო ლიტერატურით მომსახურე-

ბა გაუნია გლდანელ ამომრჩევლებს. კულტურულ—საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ცენტრალური სალექციო ბიუროს ლექტორმა ამხ. ალ. კოკაიამ ამომრჩევლებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „საბჭოთა დემოკრატია ყველაზე სრული და თანმიმდევრული დემოკრატიაა მსოფლიოში“.

ამის შესახებ წერილები გამოაქვეყნეს აგრეთვე გაზეთებმა: „ზარია ვოსტოკამ“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათლებამ“ და რამდენიმე რაიონის გაზეთმა.

აი, ასეთი გამოხმაურება მოჰყვა სამოქმედოდ ჩვენს პირველ გასვლას. სოფელ გლდანში კი ჩვენი საქმიანობა იმით შემოიფარგლა, რომ რამდენიმე წიგნი გავეცით.

1950—1952 წლებში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით დავდიოდი სოფლებში: მუხრანი, ძალისი, წილკანი, ბულაჩაური, ბაზალეთი, მჭადიჯვარი, ანანური, ფასანაური, თელეთი, კუმისი, კოდა, ვაშლოვანი და სამგორის სარწყავი სისტემის საამშენებლო უბნებზე. იქ ჩატარებული მუშაობის შესახებ ვრცლად გვაქვს აღწერილი წიგნში „მოძრავი ბიბლიოთეკა — ავტომობილები“ (1950 წ.), დღესაც მიკვირს — რა უნდა გავეკეთებინა ისეთი, რომ ის წიგნში აღრიცხვის ღირსი ყოფილიყო, მაგრამ აქაც ბატონ იოსების გულისხმიერება ჩანდა — მას სურდა ბიბლიოთეკა — ავტომობილების საქმიანობაც წარმოეჩინა და ჩვენთვისაც ერთგვარი დახმარება გაენია...

კომიტეტს რამდენიმე ავტომანქანა ჰყავდა და მათი სადგომი კი არ გააჩნდა, ამიტომაც ეს მანქანები სხვადასხვა დაქირავებულ ადგილებში ეყენა. ჩვენი ავტობუსი პოლიგრაფიული კომბინატის ეზოში დროებით დაგვაყენებინეს. ამიტომ გადაწყდა კომიტეტისათვის თავისი ავტოფარების აგება. მისი მშენებლობა მე და ლევან კვირიკაშვილს დაგვავალეს. ამ საქმიანობამ ჩვენ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შეგვძინა. როგორ დამავინყდებოდა, თუ როგორ ვეძებდით სამშენებლო მასალებს, როგორ გადაგვქონდა საბურთალოზე, სადაც ავტოფარებისათვის გამოგვიყვეს ადგილი, როგორ უჭირდათ ცხენებს გმირთა მოედნიდან საბურთალოს ბაზრამდე (ახლანდელი სპორტის სასახლე) დატვირთული საზიდრების ატანა ან სხვა რა სირთულეები იყო, რაც ამ მშენებლობას თან ახლდა. ფარების აგება, ასე თუ ისე, მაინც მალე დავასრულეთ და მე და ჩემმა მეგობარმა ლევანმა მადლობები დავიმსახურეთ.

1952 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ბატონი იოსებ ორჯონიკიძე სრულიად მოულოდ-

ნელად ინსულტით გარდაიცვალა, გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ მას არც სიცოცხლეში მცირედაც ვერ დაუფასეთ ის ამაგი, რაც მან ჩვენთვის გასწია და ვერც გარდაცვალების შემდეგაც მივაგეთ პატივი მის ნათელ ხსოვნას.

მეთოდცენტრის დირექტორად სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი კოტე სოხაძე დანიშნეს. ჩვენს მცირერიცხოვან კოლექტივს პირველად დიდად არ ეჭაშნიკა მიხი დანიშვნა, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ბატონი კოტე ფრიად განსწავლული, ალღოიანი და მეტად გულისხმიერი ორგანიზატორი იყო, რომელიც საბიბლიოთეკო საქმიანობაში საკმაოდ ერკვეოდა; მან მე განსაკუთრებული ნდობა გამომიცხადა – მივლინებებში სულ თან ვახლდი ხოლმე. გარდა ამისა, მან მიზანშეწონილად ჩათვალა, გამოცდილ მეთოდისტებთან ერთად (დემიტრი მარკევიჩი, გუია ბერულავა, ალიო შანიძე) ლექციები მეკითხა მეთოდცენტრის მიერ მოწყობილ მოკლევადიან კურსებზე და კურსკონფერენციებზე.

1953 წელს საქართველოს საჯარო ბიბლიო-

თეკას ერთდროულად 50 ახალი საშტატო ერთეული მისცეს. გამოცხადდა კონკურსი და ამ კონკურსში მე და ლევანმაც მივიღეთ მონაწილეობა და სამუშაოდ იქ გადავედით. ჩემი ბიბლიოთეკა – ავტომობილი სკოლის მეგობარს, რომელიც იმჟამად არსად არ მუშაობდა, ილია გორგაძეს გადავაბარე. საჯაროში ჩვენი გადასვლის შემდეგ, მეთოდკაბინეტიც გააუქმეს და იგი საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთეს. კოტე სოხაძე კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, ბიბლიოთეკა-ავტომობილები კი ქლუხორის რაიონის კულტურის სახლს გადასცეს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მეცხვარეების მომსახურების მიზნით (მაშინ ქლუხორის რაიონი საქართველოს შემდაგენლობაში იყო, მერე ჩამოართვეს იგი რუსებმა).

ასე დასრულდა ჩემი საქმიანობა ბიბლიოთეკა-ავტომობილზე, რამაც ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს ბევრი ცხოვრებისეული რამ მასწავლა და რასაც დღეს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

მოსაზრება

იური სიხარულიძე

ახალგაზრდა მხატვრის ერთი შედეგრი

ნიჭიერი მხატვრის შალვა ქიქოძის ბევრი ნახატი გადაურჩა ავბედითობას. მათ შორისაა ერთი შედეგრი: „უდროოდ დაკარგული მეგობრის მოსაგონებლად“.

ეს ნახატი კარგა ხანს გერონტი ქიქოძის ოჯახში ინახებოდა, ახლა კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

თუ ვის ეძღვნება ეს ნახატი, ქეთევან ხამიცაშვილი დაინტერესდა და მის ინტერვიოს, ისტორიკოს მანანა ქიქოძეს ჰკითხა ამის თაობაზე.

ქალბატონო მანანა ცოტა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან, როგორც თვითონ ბრძანებდა, ამ სურათის შექმნის ისტორიას არ იცნობდა. ამან განაპირობა კიდევაც ის ვარაუდები, რომელიც მაშინ გამოთქვა. ერთ-ერთ ასეთ ვარაუდისას კოტე მაყაშვილი დასახელ-

და, რომელსაც მხატვარი მეგობრობდა (მანანა ქიქოძე, „უდროოდ დაკარგული მეგობრის მოსაგონებლად“ ჩემს სახლში ინახებოდა“. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1-7 06.2009. გვ.28).

როგორც ჩანს, ავტორს ეჭვი ეპარებოდა მასში და ამიტომაც განაცხადა: „შეიძლება ვცდებო“.

შემდეგ კი დასძინა:

„საოცარია, რატომ არ დაანერა მეგობრის გვარი, ვისაც მიუძღვნაო“.

ქალბატონ მანანას უყურადღებოდ არც ის დარჩენია, რომ ამ სურათზე მხატვრის პორტრეტიცაა გამოსახული, მაგრამ რატომღაც ამ მხრივ აღარ გააღრმავა დაკვირვება. არადა, სინამდვილემდე სულ ცოტაღა იყო დარჩენილი.

სწორედ მხატვრის პორტრეტი მოწმობს, რომ ეს ნახატი თვით მას ეძღვნება და არავის სხვას.

როდესაც შალვა ამ სურათს ხატავდა, ის უკვე გერმანიაში გახლდათ და სერიოზულადაც იყო ავად ტუბერკულოზით.

ეს იყო 1920 წელს.

ამ დროს ეს მაღალნიჭიერი მხატვარი კარგად გრძნობდა მისი „უდროო“ აღსასრულის მოახლოებას და მოსაგონებლად თავის მეგობრებს ეს მშვენიერი ნახატი დაუტოვა.

შალვა ქიქოძე 27 წლის გარდაიცვალა.

ჭლექი იმ დროს საქართველოშიც ბობოქრობდა და არავის ინდობდა. ამ ვერაგმა სენმა იმსხვერპლა ჩვენი შესანიშნავი მწერლები: ეგნატე ნინოვილი (35 წლისა), ჭოლა ლომთათიძე (36 წლისა), ლადო ასათიანი (26 წლისა) და ბევრი სხვა. შალვა ქიქოძე ემიგრაციაში რომ არ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია, აცდენოდა ასეთ ტრაგიკულ ხვედრს.

ტუბერკულოზი მას საფრანგეთში შეეყარა,



სადაც უმიძიეს სილატაკეში უხდებოდა ცხოვრება. მას შემდეგ, რაც გაურთულდა სენი, მიატოვა საფრანგეთი და გერმანიას მიაშურა განკურნების იმედით, მაგრამ არ გაუმართლდა. ამგვარად საქართველომ კიდევ დაკარგა ერთი ბრწყინვალე ახალგაზრდა შემოქმედი.

მეთოდური სამსახური

გურამ თაყნიაშვილი

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის მეთოდიკა, კონსულტაცია

ბიბლიოთეკებში ორგანიზებული საბიბლიოთეკო დოკუმენტები აერთიანებენ ინფორმაციის მატარებელ ტრადიციულ და თანამედროვე საშუალებებს. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთობლიობა წარმოდგენილია სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის მასალებისაგან, რომლებშიც ცალ-ცალკე ასახულია ამა თუ იმ დარგის, მეცნიერების, პრობლემების თანამედროვე მიღწევები, ისტორია და სხვა ასპექტები. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის მიზანს შეადგენს მათი შინაარსის სრულყოფილად გახსნა საკლასიფიკაციო ცხრილების დახმარებით და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტრადიციული და თანამედროვე საცნობარო აპარატის საშუალებით.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია, როგორც წმინდა საბიბლიოთეკო პროცესი, აერთიანებს რამდენიმე ლოგიკურად თანმიმდევრულ ოპერაციას.

ესენია:

– საბიბლიოთეკო დოკუმენტის (ნიგნი, სტატია, ელექტრონული ჩანაწერი და სხვა) შინაარსის გაცნობა და ანალიზი;

– ნიგნში განხილული დარგის, თემის, პრობლემის განსაზღვრა სხვადასხვა ასპექტითა და ფორმით, დოკუმენტის მიკუთვნება – (განპირობება) მეცნიერების შესაბამისი დარგისათვის;

– საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღება, ნიგნის შინაარსის გამოსახვა საკლასიფიკა-

ციო ინდექსის საშუალებით;

– საგნობრივი რუბრიკების ფორმულირება სისტემატური კატალოგის გამყოფებისა და თაროს ინდექსებისათვის; საკვანძო სიტყვებისა და თემის ფორმულირება ელექტრონული კატალოგისათვის;

– შიფრის, საკატალოგო და სრული ინდექსის ფორმულირება რთული შინაარსის მქონე საბიბლიოთეკო დოკუმენტისათვის.

საკლასიფიკაციო ინდექსი შეიძლება იყოს:

– თაროს ინდექსი (შიფრის ინდექსი), რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო დოკუმენტის ადგილმდებარეობას თაროზე სისტემატურ – ანბანური განლაგების დროს; საკატალოგო ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, თუ სისტემატური კატალოგის რომელ განყოფილებაშია დამატებით ასახული საბიბლიოთეკო დოკუმენტი; სრული ინდექსი – როდესაც წიგნის შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე ინდექსები (განმსაზღვრელები) შედგენილი ინდექსი ისეთი ინდექსია, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე ინდექსისაგან; ისინი ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან პლუსის (+) ან მიმართების (:) მსაზღვრელებით;

- მარტივი, შიფრის ინდექსი – 541
- საკატალოგო ინდექსი – 63
- სრული ინდექსი – 541(479.22)(09)
- შედგენილი ინდექსი – 541(470.22)(09)+63(479.22)

საბიბლიოთეკო დოკუმენტის შინაარსის გაცნობა წარმოებს უშუალოდ ტექსტის გაცნობით, დევიზუ. ეს პროცესი სისტემატიზატორისაგან მოითხოვს ბიბლიოგრაფიული ანალიზის უნარს; სისტემატიზატორმა ოპერატიულად უნდა დაადგინოს წიგნის შინაარსი, მისი ბიბლიოგრაფიული გადათვლიერება; წიგნის შინაარსის დადგენის შემდეგ იგი მიმართავს საკლასიფიკაციო ცხრილს, რათა წიგნის შინაარსი გამოსახოს ინდექსის საშუალებით; საკლასიფიკაციო ცხრილში ბიბლიოთეკარი შესაბამის რუბრიკას (საგნის, თემის ფორმულირებას) ეძებს ანბანურ-საგნობრივ საძიებელში; ინდექსის დადგენის შემდეგ აზუსტებს მას ძირითად ცხრილებში და ღებულობს საკლასიფიკაციო ვადაწყვეტილებას. წიგნის შინაარსის სრულყოფილად გახსნისათვის შეიძლება გამოიყენოს აქ მითითებული ინდექსის ერთი ან რამდენიმე ფორმა; სისტემატიზატორმა ხელოვნურად არ უნდა გაზარდოს ინდექსების რაოდენობა; წიგნში წარმოდგენილ ყველა საკითხს, ყველა პრობლემას, მით უმეტეს, თუ ისინი მცირე მოცულობის ინფორმაციითაა

წარმოდგენილი ტექსტში, არ არის აუცილებელი ყველა მათგანი დეტალურად ასახოს სისტემატურ კატალოგში ან მიმართოს საგნობრივი რუბრიკების ფორმულირებას ელექტრონული კატალოგისათვის. მთავარია, მას არ გამოორჩეს ძირითადი თემის განხილვის ასპექტი, დრო, გეოგრაფიული ადგილი და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, სისტემატორმა მხედველობაში უნდა იქონიოს მკითხველის ინტერესი, მისი კონკრეტული მოთხოვნა.

სისტემატური კატალოგისათვის განკუთვნილ აღწერილობის ბარათზე, რამდენიმე ინდექსის გამოყენების დროს დაცულ უნდა იყოს შემდეგი წესები: შიფრის (თაროს) ინდექსი ინერება საკატალოგო ბარათის ზედა მარცხენა კუთხეში – შიფრი შედგება ინდექსისა და კეტერის საავტორო ნიშნისგან. საკატალოგო ინდექსი ინერება აღწერილობის ბარათის ქვედა მარცხენა მხარეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ შიფრის ინდექსი განსხვავდება საკატალოგო ინდექსისაგან; სრული და შედგენილი ინდექსები ინერება აღწერილობის ქვედა მარჯვენა მხარეს და გვიჩვენებს, თუ რომელ განყოფილებაშია ასახული მოცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტი;

აღწერილობის ბარათი შიფრის (თაროს), საკატალოგო და სრული ინდექსის გამოყენების შემთხვევაში შემდეგ ფორმას მიიღებს:

635 ზედგენიძე ლიანა.
ზ 26 კარტოფილის რეგიონალური ბაზრის ფორმირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე / (რედ. თ. ქეშელაშვილი. – თბ; 2008. – 98 გვ. – 1 ლ. 40 თ.

338.4 635.2 (479.22)+338.4(479.22)

ამ მაგალითის მიხედვით, სისტემატურ კატალოგში უნდა ჩაირთოს სამი ბარათი – 635, 338.4(479.22) და 635.2(479.22) განყოფილებების გამოსახატავად; შიფრის ინდექსში არ გამოვიყენეთ საქართველოს გეოგრაფიული მსაზღვრელი (თაროებზე დოკუმენტების ერთ ადგილზე განლაგების მიზნით), სამაგიეროდ სისტემატური კატალოგის ორივე განყოფილებისათვის გამოვიყენეთ გეოგრაფიული მსაზღვრელი შინაარსის გახსნისათვის;

სისტემატიზაციის პროცესის უნიფიცირებისათვის ბიბლიოთეკარები აწარმოებენ ე. წ. სამუშაო ცხრილებს. ტექნიკურად ეს ცხრილები მარტივი გასაკეთებელია: საკატალოგო ბარათზე (უმჯობესია უკან მხარეს) წერენ საგანს, დარგს, კონკრეტულ საგნობრივ რუბრიკას და მიანერენ

შესაბამის ინდექსს, შემდეგ ამ ბარათებს განალაგებენ ანბანურ რიგზე და მიიღება ბარათული ფორმის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი იგი ადვილად გამოსაყენებელია და, რაც მთავარია, ბიბლიოთეკარს ეხმარება, ერთხელ მიღებული საკლასიფიკაციო გადაწყვეტილება ანალოგიურ თემაზე შემოსულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს პირდაპირ მიაკუთვნოს იგივე ინდექსი. ასეთი სახის ბარათი მიიღებს ფორმას:

გეოქიმია – 550.4

გეოქიმიის თემაზე შემოსულ დოკუმენტს ამ ბარათის გამოყენებით იგივე ინდექსი მიეკუთვნება ძირითად ცხრილთან მიმართების გარეშე. სისტემატიზაციის პროცესში ბიბლიოთეკარი ეცნობა თავფურცლის მეორე მხარეზე წარმოდგენილ ინფორმაციას. აქ, ზედა მარცხენა კუთხეში სტამბური წესით აღნიშნულია უაკ-ის ინდექსი, იგი აუცილებლად უნდა გადამოწმდეს ძირითად ცხრილებში.

სისტემატიზაციის პროცესი ითვალისწინებს დოკუმენტის კლასიფიკაციის ზოგადი და კერძო მეთოდის შესახებ არსებულ რეკომენდაციებსა და პრინციპებს. სისტემატიზაციის ზოგადი მეთოდიკა აყალიბებს მეცნიერების ყველა დარგის საბიბლიოთეკო დოკუმენტის კლასიფიცირების მეთოდებსა და პრინციპებს. კერძო მეთოდიკა აერთიანებს იმ მეთოდებს, რომლებსაც სისტემატიზატორი მიმართავს ცალკეული დარგების კლასიფიკაციის პროცესში. მეცნიერების თითოეულ დარგს გააჩნია კვლევისა და შედეგების ანალიზის სპეციფიკური მხარე, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს კლასიფიკატორის მიერ საკლასიფიკაციო საგანთან მიმართებაში.

სისტემატიზაციის პროცესის პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის ბიბლიოთეკარს უნდა გააჩნდეს დამხმარე მეთოდური ლიტერატურა. ძირითადი ცხრილების გარდა, აუცილებელია ისეთი გამოცემები, რომლებიც ბიბლიოთეკარს დაეხმარება ცალკეული ცნებებისა და ტერმინების დაზუსტებაში. ასეთი გამოცემებია: ცნობარები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და მეორადი ინფორმაციის წყაროები, როგორც კლასიფიკაციის პროცესის დამხმარე აპარატი.

მსაზღვრელების სისტემა უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაში.

მათი გამოყენების მეთოდიკა

მეღვილ დუის მიერ შექმნილი ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 1895 წელს დაამატა ე. წ. მსაზღვრელების

(დეტერმინანტების) ცხრილები. მათ დანიშნულებას შეადგენს საბიბლიოთეკო დოკუმენტის შინაარსის გახსნა მასში წარმოდგენილი დარგის, საგნის, პრობლემის განხილვის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. წიგნში განხილული საგანი შეიძლება იყოს შეესაბამებოდეს რომელიმე ისტორიულ პერიოდს, ქვეყანას, მის ნაწილს; ამასთანავე წიგნი თავისი დანიშნულებით შეიძლება ცნობარი, ენციკლოპედიას, სახელმძღვანელ, ლექსიკონი და სხვა. მსაზღვრელების ცხრილების გამოყენება საშუალებას იძლევა, დაზუსტდეს დოკუმენტის შინაარსი ამგვარი ასპექტებით და ზედმიწევნით ზუსტად გამოიხატოს კლასიფიკაციის ერთ. მსაზღვრელების სისტემა წარმოდგენილია ქვეგანყოფილებების სახით, ისინი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ინდექსებს. მსაზღვრელი მიენერება ძირითად ინდექსს მარჯვნივ და, როგორც აღვნიშნეთ, გამოხატავს საგნის სხვადასხვა ასპექტს, დანიშნულებას, ფორმას.

დოკუმენტების სისტემატიზაციის პროცესში გამოიყენება შემდეგი სახის მსაზღვრელები:

1. ფორმის მსაზღვრელი – ფრჩხილებში ჩასმული 0 (0...) მას მარჯვნივ უწერენ შესაბამის ნიშანს, ცხრილებიდან, მაგალითად:

63(031) – სოფლის მეურნეობა, ლექსიკონები.

54(038) – ტერმინოლოგიური ლექსიკონები ქიმიაში და ა. შ.

2. გეოგრაფიული ანუ ადგილის მსაზღვრელის ნიშანი (1...) ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრი. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნის საგანი, თემა, ეხება რომელიმე გეოგრაფიულ ადგილს, ქვეყანას, გარკვეულ მხარეს. მაგალითად:

61(479.22)(09) – მედიცინის ისტორია საქართველოში.

34(470) – იურიდიული მეცნიერებანი რუსეთის ფედერაციაში და ა. შ.

3. დროის მსაზღვრელი – გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნის საგანი დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, საუკუნესთან, წლებთან და ა. შ. მისი ნიშანია ბრჭყალებში ჩასმული არაბული ციფრი, მაგალითად „17“ – მე-18 საუკუნე. მე-18 საუკუნე იწყება 17-ით, ბრჭყალებში იწერება საუკუნის დასაწყისი პირველი ორი ციფრი:

37(479.22) „18“ – სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნეში და ა. შ.

4. მიმატების (პლუსის) მსაზღვრელი გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ წიგნში განიხილება ორი ან მეტი საგანი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად და არა ერთიმეორესთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში ორ ინდექსს ერთიმეო-

რეს უკავშირებენ პლუსის ნიშნით (+).
 78+792 – მუსიკა და სასცენო ხელოვნება
 63(479.22)+346(479.22) – სოფლის მეურნეობისა და სამეურნეო საქმის განვითარება საქართველოში.

5. მიმართების მსაზღვრელი – სისტემიმატიზაციის პროცესში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში ორი ან მეტი საგანი განხილულია ერთიმეორესთან მიმართებაში, ან ორი საკითხი მოცემულია მათი ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს მსაზღვრელი აკავშირებს ორ საგანს, ორ საკითხს, რომლებიც ერთ დოკუმენტაციაში განხილული ურთიმომართების კუთხით.

62:338 – საინჟინრო საქმის ეკონომიკა
 687:65.01 – სამკერვალო მრეწველობის მეცნიერება.

6. ენის მსაზღვრელი – მისი ნიშანია ორი ხაზი, ტოლობის ნიშანი = ეს მსაზღვრელი ძირითადად გამოიყენება ორი ან მრავალენოვანი ლექსიკონების კლასიფიკაციისას.

81:374.822=161=353.1 – რუსულ-ქართული ლექსიკონი

81 373.822=411.16=353.1 – ებრაულ-ქართული ლექსიკონი.

ამ შემთხვევაში რთულ ინდექსთან გვაქვს საქმე. საკლასიფიკაციო ცხრილებით მე-8 განყოფილებაში – 81 ლინგვისტიკა, წარმოდგენილია ინდექსები ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონებისათვის. შესაბამისად 81 373.81; 81, 374.822 შემდეგ ამ ინდექსებს ტოლობის ნიშნით მიენერება შესაბამისი ენების ინდექსები საკლასიფიკაციო ცხრილიდან. ორენოვანი ლექსიკონის შემთხვევაში აღნიშნულ ძირითად ინდექსებს მარჯვნივ მიენერება იმ ენების აღმნიშვნელი ინდექსები, რომელ ენებზედაც არის შედგენილი ლექსიკონი:

81,374.822=134.2=161.2 ესპანურ-უკრაინული ლექსიკონი.

ორენოვანი ლექსიკონების კლასიფიკაციისას შესაძლებელია ორივე აღმნიშვნელი ინდექსები უშუალოდ, ტოლობის ნიშნით დავუკავშიროთ ერთიმეორეს:

811.353.1=512.16 ქართულ-თურქული ლექსიკონი.

ტერმინოლოგიური ლექსიკონების მსაზღვრელი (038) მიენერება ძირითად ინდექსს მარჯვნივ, შესაბამისი დარგის გამომხატველი ინდექსის შემდეგ

58(038) – ბოტანიკური ტერმინების ლექსიკონი და ა. შ.

საერთოდ, ენის მსაზღვრელი, როგორც აღვნიშნეთ, გამოიყენება ლექსიკონების კლასიფი-

კაციისას, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ყველა ქვეყნის ენებს გააჩნია საკუთარი, კონკრეტული ინდექსები და ისინი ინერება ტოლობის ნიშნის გარეშე =

811.16 – სლავური ენები
 811.133.1 – ფრანგული ენა და ა. შ.

7. ეთნიკური მსაზღვრელი აღნიშნავს ხალხს, ეროვნებას. მისი ნიშანია ტოლობის ნიშანი ჩასმული მრგვალ ფრჩხილებში, ამ შემთხვევაში ენის მსაზღვრელი წინ ტოლობის ნიშნის მინერით გამოხატავს ეთნიკურ მსაზღვრელს

(=1167.1) რუსი ხალხი,
 (=411.18) ებრაელები და ა. შ.

(=353.1) ქართველი ხალხი. ამ მსაზღვრელებს ნაკლებად გამოიყენებენ სისტემიმატიზაციის პროცესში.

8. სპეციალური მსაზღვრელები გამოიყენება ისეთი ცნებებისა და საკითხების აღსანიშნავად, რომლებიც საერთოა ერთი ან რამოდენიმე დარგისათვის. ძირითადად ყველა დარგს შეიძლება გააჩნდეს მისთვის დამახასიათებელი სპეციალური მსაზღვრელები. ასეთი მსაზღვრელითაა დანაწევრებული მე-2 განყოფილება, მაგალითად:

27-29 – ქრისტიანული ლიტერატურა;
 27-72 – ქრისტიანული ეკლესია;
 28-24 – ყურანი და ა. შ.

მე-8 განყოფილებაში სპეციალური მსაზღვრელები გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში ჟანრების აღსანიშნავად:

82-1 – პოეზია
 82-3 – პროზა
 821.353.1-3 – ქართული პროზა და ა. შ.

უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები ნაკლებად მიმართავენ მხატვრულ ლიტერატურაში ჟანრების აღმნიშვნელ სპეციალურ მსაზღვრელებს. აღნიშნულ დარგში ჟანრების მსაზღვრელს უფრო იყენებენ საბავშვო და საჯარო ბიბლიოთეკებში. თანამედროვე ეტაპზე სისტემიმატიზაციის პროცესში ძირითადად გამოიყენება შემდეგი მსაზღვრელები: ფორმის, ადგილის, დროის, მიმატების და მიმართების. სპეციალური მსაზღვრელების ცხრილები უაკის კონსორციუმმა შეიმუშავა მე-2 განყოფილებისათვის. სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკურ სპეციალურ მსაზღვრელებს მიმართავენ ტექნიკური ლიტერატურის (62) კლასიფიკაციის პროცესში.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემიმატიზატორი, როგორც წმინდა პროფესიული საბიბლიოთეკო პროცესი, სისტემიმატიზატორისაგან მოითხოვს კლასიფიკაციის საგნის, ობიექტის ანალიზის უნარს, საკლასიფიკაციო ცხრილის

დეტალურ ცოდნას. ბიბლიოთეკარმა არ უნდა შეანელოს ყურადღება სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპისადმი – საბიბლიოთეკო დოკუმენტის მრავალმხრივი ასახვა ბიბლიოთეკის ტრადიციულ და თანამედროვე საცნობარო აპარატში.

ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოთეკების კატალოგების ორგანიზაცია – თბ; 1961– გვ. 33–43.
2. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები /საქ. პარლ. ეროვნული ბიბლიოთეკა; შემდეგ მ. თაყნიაშვილი – თბ; 1998. – გვ. 7–20.
3. უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაცია /საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. – თბ; 2009. გვ. 5–11, 70–83.“

ჩვენი გამოცემოები

ახალი გამოცემა ახალი იდეებით



ახალგაზსნილი საგამომცემლო სახლი „ემ-პი-ჯი“ მიზნად ისახავს საგამომცემლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებული ხარვეზების შემცირებას.

2009 წლის დეკემბერში საგამომცემლო სახლმა „ემ-პი-ჯი“-მ ნატოს საინფორმაციო ცენტრთან ერთად განახორციელა საქველმოქმედო აქცია და წყნეთის ბავშვთა სახლს საჩუქრად გადასცა საკუთარი პროდუქცია „გალექილი კალენდარი“.

საგამომცემლო სახლმა „ემ-პი-ჯი“-მ გამოსცა აგრეთვე ქართული უნიკალური ნაწარმოები, „რწყალი და ჭიანჭველა“ პლაკატის სახით, ქართულ და ინგლისურ ენაზე. საგამომცემლო სახლის პრიორიტეტულ საქმიანობას წარმოადგენს სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო, ასევე პოპულარული ლიტერატურის თვალსაჩინო და მაღალი ხარისხიანი წიგნების გამოცემა.

გამომცემლობის მისამართია:

თბილისი, პეინის ქ. №34
ტელ: 38-04-95



საგამომცემლო სახლი „ემ-პი-ჯი“ **MPG**

ვებ-გვერდი
ყველასთვის ყველას
გარდა

საქართველო, თბილისი
კაჭხაძის ქ. №34
ტელ: (+995 32) 38 04 95
მობ. (+995 77) 11 11 00
E-mail: MPG; Tbilisi@yaboo.com

ინფორმაცია



ფრიდონ ოპიზარიძე

წიგნი სლოვანების წყარო

ქართველური მოდემის დიდმა მოაზროვნეებმა ადრევე დაიმკვიდრეს თვალსაჩინო ადგილი კულტურულ ხალხებში მრავალხმიანი გალობით, გამაოგნებელი სამხედრო შემოქმედებით, ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული მოღვაწეობით, უნიკალური დამწერლობით, მრავალკომპონენტიანი წიგნებით.

წიგნი საზოგადოების ამაღლების მაჩვენებელია. ხანგრძლივი ევოლუციით იგი დაეფუძნა ბრძნულ თხზვას, ხატვის (წერის) რთულ პროცესს, ფერთამეტყველებას, რაც მქანდაკებელთა, მხატვართა, კალიგრაფთა და სხვა ოსტატთა ძალისხმევით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

საინტერესოა ხელნაწერთა ხელოვნების ის-

ტორიის წარმომჩენის, კალიგრაფის, მხატვრის, მშობლიური ანბანის გრაფიკის არაერთ საიდუმლოს ამომხსნელის, სამშობლოსა და უცხოეთში რამდენიმე ექსპოზიციის შემამკობელის, ცნობილი სწავლულის ელენე მაჭავარიანის ახალი ნაშრომი – წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ. - 2009.

ქართულ ხელნაწერ წიგნების შემკობის ტრადიციათა წარმოსაჩენად მეცნიერთაგან აღიარებულია მოღწეულ ადრინდელ ძეგლთა არსებობა, წიგნის შექმნის ურთულესი ხერხების განვითარება, ფეიქრობის ეროვნული ტექნოლოგიის გამდიდრება, გაუხუნარ ფერთა მიღება და ა. შ. უძველესმა ზეპირსიტყვიერებმა, მწერლობის ნიმუშებმა შემოგვინახეს წინაპართა ორიგინალური ამბები, ზნეობა, საკვირველი თავგადასავალი, მხატვრული ცხოვრება, სულიერება.

ღვთისმსახურებმა განსაკუთრებული მიზნები დაუსახეს ხალხთა კულტურული განვითარების ახალი ეტაპის დამადასტურებელ წიგნს.

სულიერების ამ უებრო იარაღზე ზრუნვა აპირობებდა ქართულ სამეფოთა მის გარეთ მყოფ ეროვნული მოღვაწეების გააქტიურებას, ქველმოქმედებას სარწმუნოების გასამტკიცებლად, ქართული ენის გასამდიდრებლად, მისი როლის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

სამხრეთ საქართველოში გრ. ხანძთელის და სხვათა სააღმშენებლო ინიციატივასთან ერთად, გარემომცველ ვრცელ სამყაროში, წმიდა მიწაზე და სხვაგან ხალხთა თანამშრომლობის გასაღრმავებლად მოხერხდა ძველ იერუსალიმსა და მის შემოგარენში მკვიდრ მალხელთა და სხვა ქართულ დასახლებათა გაერთიანება, სარწმუნოების ცენტრთა (უფლის საფლავისა და ჯვრის მონასტრის ხელმძღვანელობით) გაძლიერებით ქართული სალიტურგიკო ხელოვნების განვითარება, ორეთის ზღვის სანაპიროებზე ევროპის მკვიდრ ხალხთა თანამშრომლობის კვანძებში ფართო მოღვაწეობის გაღრმავება.



ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ცნობილ ქართველებს წვლილი შეჰქონდათ დანიანურ-ბულ კაპადოკელთა, კვიპროსელთა (ჟალია) – შავი და სხვა ზღვების კიდეებზე ქართველურ მოდგმათა აღმავლობაში. განაპირა მხარეებში ქართველი მხედართმთავრები, დედოფლები, მოაზროვნეები იღვწოდნენ აუცილებელი მასპინძელი ახალშენების, მონასტრების გამრავლებისათვის, ადგენდნენ კულტურული კაცობრიობის ერთა კლასიფიკაციის თხზულებათა ნუსხებს, ჰუმანიზმით გამსჭვალულნი, აქტიურობდნენ ბულგარელთა, გოთთა, ვლახელთა, სერბთა, სლავთა ასამაღლებლად, „სპანიას“ ბრიტანელთა, ფრანკთა და სხვათა მოსანახულებლად. მათ კარგად უწყოდნენ ტექნიკურ სფეროში ურთიერთობათა არსი.

მაშინდელი წიგნები მოწმობს გლობალიზაციის იმ ეტაპზე ქართველთა ნაყოფიერ მოღვაწეობას, კულტურული დამოუკიდებლობისათვის, თუნდაც ათონის კულტურის კერის მოთავეობით, ექვთიმე, გიორგი ათონელებისა და მათ მიმდევარ გუნდების მაღალი ნიჭიერებით, უპირველესად სალიტურგო მოღვაწეობის გარდაქმნით, ეროვნული ჰიმნოგრაფიის ნიმუშების შექმნით, წმიდანთა ცხოვრების ძეგლის ახალი რედაქციის შექმნით, სახარების გაქართულებით, სათანაო და სხვა წიგნების გამრავლებით, საყდრებში წიგნის მკითხველთა როლის ამაღლებით, საქართველოში არსებული ტაძრების საერთო კავკასიური ტრადიციების ახალი ეპოქის შესაბამისად განვითარებით და ა. შ.

ასეთი წინაპირობები ელ. მაჭავარიანს გაუადვილებდა ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) ქუთაისის მუზეუმსა და სხვაგან დაცულ უძველეს მანუსკრიპტთა შემოწივას, წლობით მათი შემკულობის შესწავლას.

ნაშრომის დასაწყისში მკვლევარი უმთავრესად IX-X საუკუნის სახარებათა მორთულობას აანალიზებს. ავტორი ერთმანეთს ალარებს ადიშისა და ჯრუჭის ოთხთავეებს, ასაბუთებს მათი მხატვრული სტილის, იკონოგრაფიის მსგავსებას, ამასთან, აღნიშნავს ჯრუჭში დაცული ხელნაწერი დეკორაციულ კომპოზიციის განსხვავებას.

საგულისხმოა, რომ სწავლული ფართოდ განიხილავს საქართველოს გამთლიანებისა და აღმავლობის ეპოქათა ძეგლების მაღალი გემოვნებით გაფორმების საკითხებს, წარმატებით გამოყოფს სახარებათა დასურათებას. საამისო ძიებამ ის მიიყვანა სასურათო სისტემის აღიარებამდე. ე. მაჭავარიანმა დაადგინა პორ-

ტრეტების, სიუჟეტური კომპოზიციების მოხდენილად განანილება ტექსტებში, გამოავლინა ვედრებათა უნიკალური კომპოზიცია, კალიგრაფისა და მხატვრის თანამშრომლობით სხვა მნიშვნელოვან მხატვრულ ჩანაფიქრების წარმატებული რეალიზაციის ფაქტები.

ეს ხანაა არქიტექტურის, ოქრომჭედლობის, მცირე ფორმის ხელოვნების, წიგნის კულტურის ამაღლების, რაც გენიალურმა „ხელისხელ საგოგმანებმა“ ვეფხისტყაოსანმა „კიდე უფრო დაამშვენა“. პოემა იმთავითვე იქცა ქართული კულტურის სვეტად, სახარებასთან, „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად.

საყურადღებოა ხელოვან ოსტატების ეპითეტებისადმი მიძღვნილი თავი. შრომატევადი, წარმატებული ძიებაა განეული XII-XVII ს-ის ხელნაწერებში მოხატული დედნისა და ასლის დამოკიდებულების რაობის დასადგენად; დახასიათებულ ძეგლთა მშენებელ-მრავალრიცხოვანი და ნაირფეროვანი საზენაო ასოები.

მანუსკრიპტების შემკულობის ძიების ერთ-ერთი საფუძველია გაფორმების აღმნიშვნელ ტერმინთა დადგენა.

ქართული და უცხოური წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლზე გაანალიზებულია ანგელოზთა, წმიდანთა, პორტრეტული გამოსახულების სახელი („ხატი“), მწერლის, თაღის, შემკობისა და სხვათა მნიშვნელობა მიკვლეულია ცნობები საფერმწერლო ტექნოლოგიაზე, სანერ იარაღებსა თუ სანამღვთა ფერებზე.

ფართო გამოყენებას მოიპოვეს X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით შედგენილი ახალი ალტემის სიუჟეტური კომპოზიციების იკონაგრაფული საძიებელი (116–172 გვ.).

პრობლემებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას თვალსაჩინოდ ადასტურებს განსახილველი საკითხების დამაჯერებლობას ავტორის ორიგინალურ ხედვას. წიგნი კიდე ერთხელ გვარწმუნებს, რომ ე. მაჭავარიანი ბრძანდება ღვთითმომადლებული ნიჭით დაჯილდოებული ძველი ქართული წიგნების ნაყოფიერი მკვლევარი.

სამეცნიერო საზოგადოებამ არ დააყოვნა შრომისმოყვარე სწავლულის, პედაგოგის ე. მაჭავარიანის აღნიშნული მონოგრაფიის შეფასება და დამსახურებულად მიანიჭა მას კ. კეკელიძის სახელობის პრემია.

ახლა ფართო საზოგადოებაც შეიტყოს, აღიაროს იშვიათი პორტრეტებით შემკულ, ფერებში წარმატებულად დაბეჭდილი (გამომცემლობა „უნივერსალი“) დიდმნიშვნელოვანი, საჭირო ნარკვევი.

ფაიყ ონტოფოელი

საქართველო XVI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობაში

აღებული ხანა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია. გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონში – ახლო აღმოსავლეთში, ძირითადად ირანელებსა და ოსმალთა შორის წამოწყებული ომები გავლენას ახდენდა მაშინდელ გლობალურ ურთიერთობებზე.

გამოჩენილმა პოლიტიკოსებმა და სამხედრო მოღვაწეებმა გაბედული სვლები განახორციელეს ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის, დაიწყეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დამყარებისათვის ზრუნვა, მაგრამ მახლობელ აღმოსავლეთში ევროპის ქვეყნების სავაჭრო ინტერესების გამო ეს წამოწყება ჩაიშალა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელებმა, დამოუკიდებლობისათვის მამაცურად მებრძოლებმა აგრესორ მეზობელთა შორის ლავირებით დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ნანატრი მშვიდობა.

დიდ სახელმწიფოთა ქიშობამ იმდროინდელი მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

სხვადასხვა მიზნით შესრულებული მოხსენებებით, ჩანაწერებით, დოკუმენტებით, ნარატიული თხზულებებით შეიქმნა ეპოქის ამსახველი მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

ისტორიის ამ საინტერესო ფურცლების შესწავლა ნათლად წარმოაჩინს XVI საუკუნეში ირანის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მეზობელთა შესავიწროვებლად. იგივე ითქმის სამ კონტინენტზე გადაჭიმულ ოსმალეთის ძლიერი იმპერიის შესახებაც.

დამპყრობლური მადით აღძრული ამ ორი ქვეყნის შესაკავებლად დიდმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, განსაკუთრებით ალექსანდრე მეორემ, როგორც შეძლო ერთდროულად შეეჩერებინა ირანის შაჰი და ოსმალეთის სულთანი მოქნილი დიპლომატიური დაპირისპირების მეშვეობით და ამავე დროს მოეწოდებინა მოსკოვის რუსეთი აღძრული-

ყო მათ წინააღმდეგ. თუ როგორ ახერხებდა ის ამას, ახლაც აოცებს თანამედროვე მეცნიერებს.

აღნიშნული პერიოდის მნიშვნელოვანი პრობლემების ფართოდ განხილვა განიზრახა მიზნად გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ისტორიკოსთა ჯგუფმა პროექტის წამყვან მიხეილ სვანიძის ხელმძღვანელობით.

სხვადასხვა ენაზე (რუსულ, სპარსულ, ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ოსმალურ, ფრანგულ და სხვა) არსებული ლიტერატურისა და მდიდარი წყაროების გამოყენებით მოცემული ხანის გამოკვლევის სიმძიმე იტვირთეს მკვლევარებმა ნაწული კაჭარავამ, რუსუდან შარუმაშვილმა, თამაზ ნატროშვილმა, კახაბერ დემეტრაშვილმა, პავლე თოფურიამ, აქვე გვინდა აღვნიშნოთ: სხვადასხვა წყაროებიდან თარგმანები შეასრულეს ცისანა აბულაძემ, თეა გაგნიძემ, თამარ სამადაშვილმა,

ნანა ჯანაშიამ, ჯემალ გიუნაშვილმა.

ამგვარად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი წიგნი: საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე) – თბ.: „ნეკერი“, 2008. – 372 გვ.

წიგნის რედაქტორის მიხეილ სვანიძის ძალისხმევით გამოკვლევებს ერთვის წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია ქართულ და უცხო ენებზე, ახლავს ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა პორტრეტების ამსახველი ილუსტრაციები, ომების ბატალიათა ჩანახატები, ციხე-ქალაქთა ხედები და სხვა თვალსაჩინოებები, გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე – ჩასმულია მაგარ ყდაში, შესრულებულია მიმზიდველი დიზაინით.

ხსენებული წიგნი დიდ ინტერესს იწვევს ქართველ სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველებში.



გამოკვლევა ძირძველ დასახლებაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გურიის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის საქველმოქმედო ფონდის „გურიის“ ინიციატივით, გამომცემლობა „ფავორიტის“ მიერ გამოქვეყნდა გამოკვლევა „ბუკისციხე“. მისი ავტორები არიან: ე. სადრაძე, ი. სიხარულიძე, ა. სიხარულიძე, მ. ძნელაძე, თ. ხობობაშვილი; რედაქტორია ვ. სადრაძე, რეცენზენტები: თ. თოდუა, დ. ახვლედიანი, კონსულტანტი ნ. მახარაძე, წიგნი ეძღვნება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხსოვნას.


როგორც ანოტაცია გვამცნობთ: „... გამოკვლევა ზემო გურიის (დასავლეთ საქართველო) ერთ-ერთი სოფლის – ბუკისციხის უძველესი, ძველი და ამჟამინდელი ისტორიის წარმოჩენის პირველ ცდას წარმოადგენს.

ციხე-კარი, სოფლის უბანი, გვარი, სასიქადულო მამულიშვილები, ეკლესია, სკოლა და გა-

ნათლება, მტერი და მოყვარე, ჭირი და ღვინა – აი, ის საკითხები, რომლის პასუხისგაუცემლად ძნელია „სერებით შემორაგულ“ გურიაზე და იქ მაცხოვრებელ გურულებზე სრული წარმოდგენის შექმნა.

წარმოგიგონებია სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველისათვის.“


წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, შეიცავს 183 გვერდს, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა. დამატებით სახით მოცემულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების შეხედულებები და მცირე სტატიები, ერთვის ტა-



ბულები სხვადასხვა სქემებისა და არქეოლოგიური ნივთების ჩანახატების სახით, აგრეთვე ფიტო მასალა, ფერადი სურათები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების მომენტებს ასახავს.

„... თხაპით ტარფაძე ქართული“

ასე არის მიწერილი წიგნის ყდაზე, რომელიც დიდი ხელოვანის – ჯანო ბაგრატიონის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. წიგნის ავტორია ოთარ ღვაბერიძე. ეწოდება „დიდი ჯანო ბაგრატიონი“. ქვესათაური გვამცნობს, რომ მასში თავმოყრილია „გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის თანამედროვეთა აღიარება და მოგონებები“.




როგორც ცნობილია, ჯანო ბაგრატიონი მრავალმხრივი ხელოვანი იყო, მაგრამ მის სტიქიას მაინც ქართული ცეკვა წარმოადგენდა. აკი თვითონ ამბობს: „თუ ადამიანის დაბადებას მართო ერთი აზრი და მიზანი აქვს, მაშინ ჩემი ცხოვრების აზრი ქართული ცეკვა ყოფილაო“.

დასახელებული წიგნი სტრუქტურულად საკმაოდ რთულია, მასალა მოცემულია თემატურად და მოიცავს დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა ასპექტს, უხვადაა დასურათებული, დართული აქვს ჯანო ბაგრატიონის საგვარეულო გენეოლოგიის სქემატური გამოსახულება და საგვარეულო გერბი. გამოცემულია 2009 წელს. შეიცავს 240 გვერდს.

აღსანიშნავია, რომ წიგნის ტირაჟის დიდი ნაწილი უფასოდ გადაეცა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ქვეყნის ცენტრალური ბიბლიოთეკებისათვის დასარიგებლად, იმედია, მკითხველი საზოგადოება ინტერესით გაეცნობა ამ შესანიშნავ გამოცემას.

პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 15 თებერვალს თბილისის ხალხური შემოქმედების ცენტრის დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა – „მუსიკა“. წიგნი წარმოადგენს საყმანვილო თემატურ ენციკლოპედიას, რომელიც 2009 წელს გამოცემლობა „დიოგენე“ გამოაქვეყნა. ის ძირითადად არის ფრანგული გამოცემის ქართული ვარიანტი. ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ: ნანა ტატიშვილი, მანანა კორძაია, ანა ჭაბაშვილი, კახა გოგსაძე. ენციკლოპედია მოიცავს თითქმის მთელ მუსიკალურ სამყაროს – ყველა კონტინენტის ხალხთა ძირითად სამუსიკოს-



საკუთრებით მნიშვნელოვანია ნუსხა: „რა მოვისმინოთ“. წიგნს ბოლოში ერთვის პერსონალური და საგნობრივ-თემატური გაერთიანებული საძიებელი.


გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, უზვადაა დასურათებული ფერადი ილუსტრაციებით, შეიცავს მოზრდილი ფორმატის 96 გვერდს.

ამ შესანიშნავი წიგნის პრეზენტაციაზე მრავლად იყვნენ დაინტერესებული მკითხველები – სპეციალისტები, პედაგოგები, ბიბლიოთეკარები, გამომცემლები, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სასიმღერო ხელოვნების საკითხებს, როგორც კლასიკურს, ისე ხალხურს. ქართველ გამომცემლებს დამატების სახით ბოლოში დაურთავთ მასალა ქართული მუსიკის შესახებ.

პრეზენტაციას თან ახლდა სიმებიან საკრავთა ორი კვარტეტის მუსიკალური გამოსვლა, რომელსაც სამუსიკო ათნლედის მოსწავლეები ასრულებდნენ.

წიგნი შედგება რამდენიმე ძირითადი განყოფილებისაგან: უნივერსალური ხელოვნება; საკრავები; კლასიკური მუსიკა; მსოფლიოს ხალხთა მუსიკა; თანამედროვე მუსიკა. თითოეული განყოფილება დაყოფილია საკითხებად, რომლებიც მოკლე და ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან მოცემულ თემაზე. საგულისხმოა, რომ განმარტებებისა და ინფორმაციასთან ერთად, ენციკლოპედიაში ყმანვილებისათვის ზოგი რეკომენდაციაცაა მოცემული. ამ თვალსაზრისით გან-



პრეზენტაციას უძღვებოდა გამომცემლობა „დიოგენე“ დირექტორი თამარ ლებანიძე. გახსნა რა ღონისძიება, მან სიტყვა წიგნის ქართული ვარიანტის ავტორებს მისცა. მათ თავიანთ მიერ განეულ შრომასა და წიგნის ღირსებებზე ილაპარაკეს. იყო შეკითხვები, აზრთა ურთიერთგაზიარება, გამოითქვა შეხედულებები და მოსაზრებები.

დასასრულ გაიმართა ლატარეა, რომელზედაც გათამაშდა „დიოგენე“ გამომცემული წიგნის სამი კომპლექტი.



ქვირფასი ნობათი

2009 წელს გამოქვეყნდა ყამარ ტიელიძე – ბლიაძის საბავშვო ნაწარმოებების კრებული „ყამარ ბებოს ნობათი“. (რედაქტორი ციალა თავაძე). ეს არ არის ჩვეულებრივი საბავშვო ნაწარმოებების თავშეყრა.

იგი ითვალისწინებს, ძირითადად, მცირე სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, აქვს სასწავლო-აღმზრდელობითი და ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულება, მიზნად ისახავს განამტკიცოს ბავშვების მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, რათა პატარებმა გაიფართოვონ გონებრივი ჰორიზონტი, დახვეწონ გემოვნება, უფრო მეტად გაცნობიერდნენ და მიიღონ აგრეთვე ესთეტიკური სიამოვნება.

ღირსშესანიშნავია ის, რომ ყამარ ტიელიძე-ბლიაძე, როგორც გამოცდილი პედაგოგი, საფუძვლიანად ითვალისწინებს ბავშვების ასაკს, იცნობს მათ ფსიქოლოგიას, იცის პედაგოგიური პრინციპები, რომლებიც ჩვენი დიდი იაკობ გოგებაშვილის მიერ არის ჩამოყალიბებული და თანამიმდევრულად აცავს მათ. განსაკუთრებით საყურადღებოა კრებულის ის ნაწილი, რომე-

ლიც ბავშვებში ანბანის შესწავლასა და განმტკიცებას ეძღვნება. ყოველ ანბანთან დაკავშირებით მოცემულია შესატყვისი ლექსი, რაც უეჭველად გაამყარებს მოსწავლეებში ანბანის დამახსოვრების უნარს, გაუადვილებს მათ წერა-კითხვის დაუფლებას. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ანბანთან ერთად, ნაჩვენებია მრგლოვანი და ნუსხური ანბანებიც.

კრებულში თავმოყრილია: ანბანთქება (იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით), ლექსები, მოთხრობები, იგავები, ზღაპრები, პიესები, გამოცანები, ანდაზები, ენის გასატეხები, რებუსები; დართული აქვს მდიდარი ფერადი ილუსტრაციები, რომელთა ავტორები არიან მხატვრები: შ. ნიორაძე, მ. ქორთუა, თ. ბლიაძე, გამოყენებულია პ. ვარდანაშვილის ფოტომასალა, გამოცემულია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესაფერისი დიზაინით.

წიგნი უეჭველად დააინტერესებს არა მარტო მის მკითხველ პატარებს, არამედ პედაგოგებს, მშობლებს, ბავშვთა აღზრდით დაინტერესებულ პირებს, საბავშვო ლიტერატურის სპეციალისტებს.



ნარკვევთა დიდი კრებული

საქართველოს ღვთისმშობელთა კავშირმა 2008 წელს გამოაქვეყნა ცნობილი პროფესორის იური სიხარულიძის ნაშრომი „ჩოხატაური წინათ და ახლა“ წიგნი პირველი. გურიაში ჩოხატაურის რეგიონი ერთ-ერთი უძველესი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო მხარეა. წიგნში ვხვდებით ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის შედეგებს, მაგრამ ის განსაკუთრებით მდიდარია ეთნოგრაფიული ნარკვევებით. საფუძვლიანად არის წარმოჩენილი მხარის უძველესი რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, მოთხრობილია მათ წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე, იმ პირებზე, რომელთა

სახელები დაკავშირებულია მათ არსებობასთან.

როგორც ცნობილია, იური სიხარულიძე ათეული წლებია იკვლევს ამ მხარეს – მის ძეგლებს, კულტურას, ინფრასტრუქტურას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, გამორჩეულ პიროვნებების ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნაშრომს ქრონოლოგიური ჩარჩოები არ გააჩნია – მოიცავს უძველესი ხანიდან დღევანდელობის პერიოდის მნიშვნელოვან მასალებს, წიგნში თავმოყრილია ქართულ პერიოდულ ორგანოებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავი ახალი ნარკვევები. ავტორი ბევრ ისეთ რამეს გვთავაზობს, რა-

იური სიხარულიძე



როსაბაჟი

ზედაც ჯერ არაფერი დაწერილა და თქმულა, მოგვითხრობს ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრებზე, თავს გადამხდარ მოვლენებზე. მართალია, შეკრებილი მასალა ერთგვარი ლოგიკური ასპექტითაა თავმოყრილი, მაგრამ რუბრიკების გარეშე. საყურადღებოა ის, თუ რაოდენ დიდ გულისყურს უთმობს მკვლევარი გურიის სასიმი-

ლერო კულტურას, რაც ქართული სიმღერის საგანძურში გამორჩეულად დგას, განსაკუთრებით ეხება ის ისეთ უცნაურ ფენომენს, როგორც კრიმანჭულია. თითქმის ყველა გამოჩე-

ნილ მეკრიმანჭულზე წერს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იძლევა კრიმანჭულის შესახებ ქართულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალის ბიბლიოგრაფიას.

ნიგნი მალალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, უხვად არის ილუსტრირებული, შეიცავს 336 გვერდს. რედაქტორია პროფ. ზაზა სიხარულიძე, რეცენზენტებია პროფესორები ვაჟა სადრაძე და მერაბ ძნელაძე.

ნაშრომი განსაკუთრებით საყურადღებოა არა მარტო ჩოხატაურის რეგიონის ბიბლიოთეკებისათვის, არამედ საქართველოს ბიბლიოთეკების მთელი ქსელისათვის. ის საუკეთესო ნიმუშია მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურისა. ბიბლიოთეკის მუშაკებს შეიძლება ერთი რეკომენდაცია მივცეთ: რაკი ნიგნიში მრავალმხრივი მასალაა თავმოყრილი, მრავალი გეოგრაფიული და ისტორიული ნარკვევია მოცემული და მრავალ პიროვნებას ეხება, სასურველი იქნება მოხდეს მასში მოქცეული ნარკვევების ანალიტიკური აღწერა მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკების შესავსებად.


ნაშრომი ბიბლიოთეკის მენეჯერთათვის

ბიბლიოთეკის მართვა ხელმძღვანელისაგან მოითხოვს არა მარტო ამ დანესებულების შიგნით მიმდინარე პროცესების გააზრებულ ცოდნას, არამედ იმ სოციალური ფაქტორების ანალიზსაც, რომლებიც ბევრნილად განაპირობებენ ბიბლიოთეკის წარმატებულ ფუნქციონირებას. დიდი სამეცნიერო, სპეციალური, თუ ეროვნული ბიბლიოთეკები, სადაც დასაქმებულია ათობით და მეტი სპეციალისტი, საჭიროებენ მართვის მეცნიერული მეთოდების მიზანმიმართულ გამოყენებას. საბიბლიოთეკო მენეჯმენტში სისტემატურად მიმართავენ კონტროლის ამა თუ იმ ფორმას. კონტროლი მეთოდურად ავლენს ბიბლიოთეკის მართვაში არსებულ ხარვეზებს და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ამკვიდრებს ბიბლიოთეკაში ნორმალურ მორალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტში კონტროლის ფუნქციას მოკლედ და მარტივად წარმოგვიდგენს მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებამ (შემდგ. გ. თაყნიაშვილი, რედ. ლ. ზამბახიძე). რეკომენდაციები დაეხმარება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს უკეთ გაიაზრონ მათს ხელთ არსებული საბიბლიოთეკო რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები, ხელი შეუწყონ კადრების თვითრეალიზაციის შესაძლებლობების მიზნობრივ გამოყენებას.

ნაშრომის ტექსტი ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ნახონ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, მისამართით: www.npeg.gov.ge.

მენიუში – ორგანიზაციის სტრუქტურა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილება – საბიბლიოთეკო-მეთოდური გამოცემები.



პირველი ქართული სტამბის გამოცემა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2009 წელს გამოსცა ვახტანგ VI-ის სტამბის (1709–1722) გამოცემების აღწერილობა. როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულია ამ სტამბის 20 გამოცემა. წიგნში წარმოდგენილია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული კოლექციის აღწერილობა. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების აღწერილობანი ნაშრომში წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თითოეული დასახელების გამოცემა დახასიათებულია სრულყოფილად, მეცნიერული აღწერილობის ფორმით. გამოცემათა ფიზიკურ დახასიათებას ავსებს ტექსტში წარმოდგენილი ანდერძები, წინასიტყვაობა–ბოლოსიტყვაობები, მესტამბეთა შენიშვნები და ისეთი დანართები, რომლებიც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს სრული წარმოდგენა იქონიოს ამა თუ იმ გამოცემაზე; ნაშრომი შედგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების მთავარი სპეციალისტის დალი მაჩაიძის მიერ; რედაქტორები მიხეილ ქავთარია და ფერიდე კვაჭანტირაძე; ნაშრომი შედგა და გამოიცა ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს დაარსებული სტამბის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პირველი ქართული სტამბის გამოცემების აღწერილობა, მათი სისრულითა და ცალკე



წიგნად გამოცემული, უთუოდ დაინტერესებს ქართული წიგნის, სტამბისა და ქართული კულტურის ისტორიის მკვლევარებს, წიგნმცოდნეებსა და ბიბლიოთეკარებს.

გურამ თაყნიაშვილი

ახალი ონომასტიკური კრებული

ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულმა საზოგადოებამ მიიღო ამ საკითხებზე გამოცემული საინტერესო კრებული № 4 (თბ.: ინტელექტი, 2010); კრებულში წარმოდგენილია გასული წლის 18–19 ივნისს თბილისში ჩატარებული ონტომოლოგთა მე–5 სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენებები. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ონომასტიკის პრობლემების ცნობილი მკვლევარები: დ. მელიქიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, გ. ხორნაული, გ. ბედოშვილი, შ. აფრიდონიძე, ფრ. სიხარულიძე, ა. ჭკადუა და სხვები. როგორც ცნობილია საქართველოში ონომასტიკის საკითხების მეცნიერულ კვლევასა და შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ამ ორმოციოდე წლის წინათ, როდესაც თსუ–ში შეიქმნა ონომასტიკის სპეციალური ცენტრი. ამჟამად


ამ ცენტრს ხელმძღვანელობს ბატონი პაატა ცხადაია. კრებული იხსნება სწორედ მისი შესავალი წერილითა და სპეციალური სტატიით. ამ ნაწილში პ. ცხადაია მიმოიხილავს ცენტრის მიერ გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურას. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტოპონიმის საკითხებს. კრებულში წარმოდგენილია ნ. ახვლედიანის, დ. ახვლედიანის, ნ. ცეცხლაძის, ე. ბერიძის ა. ბადიაშვილის, ნ. ზეპიეკის, მ. ბუკიას, რ. ბურჭულაძის, ნ. ფოფხაძის და სხვ. ავტორთა ნაშრომები. საინტერესოა თ. გოგოლაძის გამოკვლევა, რომელიც ეხება გორის საისტორიო–საეთნოგრაფიო მუზეუმში დაცულ მე–14–19 საუკუნეების დოკუმენტებში მოხსენებულ საგვარეულო სახელებს.

ფერეიდნული ტოპონიმების გამოკვლევას

ედღვნება მ. კემულარიასა და დ. ქურდაშვილის ნაშრომები. კრებულში ებრაულ ტოპონიმებს ეხება ი. კეკელიას, ლ. პერტაიასა და ზ. ჭუმბურიძის გამოკვლევები. ისტორიკოს ფრ. სიხარულიძის გამოკვლევა მიეძღვნა სხვადასხვა ეპოქაში სამ კონტინენტზე განსახლებული ქართველური მოდგმის საგვარეულოების ნაკვალევთა ძიებას.

ქართულ ანთროპოლოგიაში შესული თურქული სახელების კვლევას ეხება მ. ჯიქიასა და მ. შონიას ერთობლივი ნაშრომი.

ვაზისადმი დაკავშირებულ ქართულ სახელებს მიეძღვნა დ. ნიკოლაიშვილის ნაშრომი, ასევე საინტერესოა კრებულში წარმოდგენილი შიდა ქართლის ონომასტიკისა და საგვარეულო სახელებისადმი მიძღვნილი ზ. და ნ. ოთინაშვი-



**ქართველური
ონომასტიკა
IV**

ლების ნაშრომი. სესიის მსვლელობისას ყურადღება მიაქციეს ამ სფეროში ჩატარებულ მეცნიერულ გამოკვლევებსა და პუბლიკაციებს, ისეთი ავტორებისა, როგორებიც იყვნენ ვახუშტი ბატონიშვილი, კ. ხარაძე. რამდენიმე მთის რეგიონისადმი ვახუშტის დამოკიდებულებას არკვევს თავის გამოკვლევაში გ. ხორანაული.

მკითხველისათვის უთუოდ საინტერესოა კრებულზე დართული დოკუმენტები (№ 1 და № 2), რომლებიც ასახავს ცენტრის მოღვაწეობას განვლილ პერიოდში.

კრებულის გამოცემა დროულია და გარკვეულ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ქართველურ ონომასტიკოლოგიაში.

რეზიუმე

ჩვენი მკითხველთა ერთი ნაწილი ინტენსიურად იყენებს ვიდეომასალას, რომელიც თავმოყრილია სხვადასხვა გასართობ დაწესებულებებსა და გაცემის პუნქტებში. ამგვარი მასალა ახლო მომავალში შეიძლება ჩვენს ბიბლიოთეკებშიც მასიურად დაიდოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რით დაინტერესდებიან კინომოყვარულები, როგორ გამოიყენებენ ისინი სატელევიზიო და კომპიუტერულ სანახაობით მომსახურებას. ამისათვის ერთგვარად მნიშვნელოვანია ის ორიენტაცია, რომელიც შეიძლება მათ მიეცეთ ამ მიმართულებით, რომ შეძლონ მნიშვნელოვანი, სასარგებლო პროდუქციის გამორჩევა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ცნობილი კინოკრიტიკოსის – იური მგალობლიშვილის აქ წარმოდგენილი მიმოხილვა.

**იური მგალობლიშვილი
კინოკრიტიკოსი**

**იტალიური კინოსელოვნება XXI
საუკუნის პირველ ათწლეულში**

გაუსაძლისი ცხოვრებისგან მეძავად ქცეული ქალი გაქურდა კაცმა, რომელიც მას დაქორწინებას ჰპირდებოდა. ჯულიეტა მაზინას პერსონაჟი, კაბირია, მიუხედავად ამისა, ამაღლდა თავის თავზეც კი. გენიალური ფედერიკო ფელინის დაუვიწყარი ფილმი ერთგვარი სავიზიტო ბარათიც კი იყო იტალიურ კინოსელოვნებაში. მაგრამ ეს ფილმი – „კაბირიას ღამეები“

XX საუკუნისაა. უმძიმესი ცხოვრება, ოჯახური ტრაგედია. კვლავ რჩება ახალ საუკუნის აქტუალურ თემად. განსაკუთრებით მძიმეა სიუჟეტები, რომლებიც ბავშვებთანაა დაკავშირებული. დედის გარდაცვალების შემდეგ ობლად დარჩენილი ბავშვები ალიონა და მისი ნახევარძმა ნიკიტა თავიანთ მამების მოსაძებნად მიდიან დიდ პოსტსაბჭოთა სივრცის ქალაქში. გზაზე

მათ უამრავი ადამიანი ხვდებოდა, მოქმედება ვითარდება მატარებელში, რკინიგზის სადგურზე, სუპერმარკეტებში, კაზინოებში, თოვლით დაფარულ ქალაქის ქუჩებში. შეხვედრები აქვთ კეთილებთანაც და ბოროტებთანაც, ღარიბებთანაც და მდიდრებთან, ჭკვიანებთან და სულელებთან. უმთავრესი კი ყველას საერთო აქვს: ბავშვებისთვის არავინ მოიცალა, ყველა საკუთარი პრობლემებით არის დაკავებული, პოსტ-საბჭოელებმა დაკარგეს თავიანთი სახე. მოქმედება ახალი წლის წინა ღამეს ხდება. დამშეული, გათოშილი ბავშვებისათვის ეს საოცარი ღამე კეთილი ზღაპრული დასასრულით ვერ იქნება. ალიონა მილიციამ დააკავა, როდესაც ის მშინერი, სუპერმარკეტში პურს იპარავდა, ხოლო ნიკიტა ერთ სარდაფში გაყინული და გარდაცვლილი ნახეს. ეს არ გახლავთ იტალიური ფილმი, იგი ცნობილ კინორეჟისორს კირა მურატოვას ეკუთვნის სახელწოდებით: „მელოდია არღნისთვის“ („Мелодия для шарманки“), რომელიც თბილისის X საერთაშორისო კინოფესტივალზე ახლახან იქნა ნაჩვენები იტალიურ ფილმებთან ერთად. ეს ფილმი ალეგორიაა რომელიც იწყება ნიკიტა ხრუშოვის ე. წ. ოტეპელით და მთარგმნება პატარა ბავშვის ნიკიტას სიკვდილით.

კაპიტალისტური ზნეობის გამოაშკარავებას ყოველთვის ახერხებდა იტალიური კინოხელოვნება თავისი ნეორეალისტური შედეგებით, ე. წ. ბუმის პერიოდის „პოლიტიკური კინოს“ ბრწყინვალე ნიმუშებით – ფედერიკო ფელინითა ლუკინო ვისკონტით და სხვა კინორეჟისორებით. მათ არათუ სარკისებურად დაინახეს არსებული რეალობა, არამედ ერთგვარად „გეგმაც“ კი „შეიმუშავეს“ ამგვარი ყოფის შესაცვლელად. იმიტომ ხომ არა, რომ მმართველი კლასი თავად ახდენს ამის პროვოცირებას, გავიხსენოთ სულ ახლახან თავდასხმა იტალიის პრემიერ მინისტრ სილვიო ბერლუსკონიზე.

ამჟამად XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულია. არსებობს კი ის უნატიფესი იტალიური კინოხელოვნება დღეს? ანტონიონის, პაზოლინის, როსელინის, დესიკას და სხვათა და სხვათა კინოსურათების დონის ფილმებით. ძიებითი პროცესი დღესაც მიმდინარეობს, აქა-იქ ნაჩვენები იტალიური ახალი ფილმები გვიდასტურებენ ამას. ეს თუნდაც თბილისის კინოფესტივალებიდან, ტელეეკარნებიდან თუ ვიდეო დისკებზე მოხვედრილი ფილმებიდან ჩანს. იტალიელები აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ერთად იღებენ ფილმებს. ცოცხალმა კინოკლასიკოსმა ბერნარდო ბერტოლუჩიმ (დაიბ. 1941 წ.) 2003 წელს გადაიღო ფილმი „მეოცნებენი“, რომელშიც 1968 წლის მოვლენებია ასახული.

ნამგლიანი და უროიანი ნითელი დროშებით, მარქსისტული იდეოლოგიით, მაო ძედუნის პორტრეტებითა და ბარიკადებით, თუმცა სიუჟეტური ქარგა და ეპიცენტრი არა რევოლუციურ ბარიკადებზე გადის, არა ცხოვრებისეულ სიღრმეებში, როგორც მან ფილმ-ეპოპეაში „XX საუკუნე“ აჩვენა, არამედ სასიყვარულო სამკუთხედში. ისმის კითხვა: რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ XXI საუკუნე ბევრ ხელოვანს გარუკვეველ სიტუაციაში ამყოფებს? ფილმი არც ისე ახლოსაა ბერტოლუჩის დახვეწილობასთან, არის გაუკულმართებული, ამაზრზენი სცენები, თუმცა მისი ჩვენების მოტივი იგივეა, როგორც ადრე გადაღებულ ფილმებში იყო, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველი გზის აღორძინების ცდაა ეს XXI საუკუნე. მე-20 საუკუნის ბოლოს იტალიურმა კინომატოგრაფმა ერთგვარად ესტაფეტასავით გადასცა ახალ საუკუნეს თავისი ფილმები. აქ გინდა, უპირველესად ყოვლისა, ჯუზეპე ტორნატორეს (დაიბ. 1956 წ.) ფილმი „ლეგენდა პიანისტზე ოკეანედან“ გაიხსენო, რომელშიც სოციალური საკითხი თითქოს არცაა ნაჩვენები, მაგრამ დაკვირვებული მაყურებელი ამასაც დაინახავს. ფილმში ნაჩვენებია ისტორია ახალგაზრდა კაცისა, რომლის დედა მისი მშობიარობის დროს გარდაიცვალა. რა უნდოდა ქალს გემზე თუ არა მისი გაუსაძლისი ცხოვრება. მატროსებმა აღზარდეს ბიჭი, შეისწავლა რა დაკვრა ფორტეპიანოზე, მან ბრწყინვალე პიანისტის სახელი მოიხვეჭა და ახლა, რომ მოუსმინონ მის ფენომენალურ დაკვრას, ადამიანები აწყობენ კრუიზს ამ გემზე. პიანისტს ფეხი არ დაუდგამს მიწაზე... კინორეჟისორი ალექსანდრე კოლიცი (დაიბ. 1962 წ.) იღებს ფილმს „სტუმარი“ (1998 წ.) რომელშიც „სიურეალისტურ“ ელემენტებს მიმართავს. შუახნის ქალბატონი თავის ქალიშვილებს თავის საყვარელს წარუდგენს, რომელიც დაახლოებით მათი თანატოლია. ფილმში გასაოცარი არა იმდენად ბანალობაა, არამედ ქალიშვილის – მთავარი გმირის რეაქცია, იმდენად მძაფრია, ის, რომ შესაძლებელია, ეს კომიკური სიტუაცია ნამდვილ ფსიქო და სოციალურ დრამად გადაქცეულიყო...

ალექსანდრო პივა (დაიბ. 1966 წ.) 1999 წელს „შავი კომედიისათვის“ დამახასიათებელი კინოს გამომსახველობითი საშუალებებით იღებს ფილმს „თავბრუსხვევა“, რომელშიც ნაჩვენებია ქალაქ აპულიის „მკვდარი“ ზონები და ბნელი უბნები; ნაგვით სავსე ვედროებით მიტოვებული შენობები, სადაც გულმოდგინედ იცავენ „მაფიოზურ კანონიკას“ თავისი სალაპარაკო ლინგვისტური წეს-ჩვეულებებით, და ეს ყოვე-

ლივე სოციალურ-პოლიტიკური კონსტრუქციითაა წარმორჩენილი.

ჟურნალისტურ გამოძიებებში ერთობლივ კინოპროდუქციად შეიძლება აღვიქვათ ინგლისელი კინორეჟისორის მაიკ ფიგისის (დაიბ. 1949 წელს) იტალიურ-ინგლისური ფილმი) მთავარ როლში სანდრა ჰაიკი, კომპოზიტორი ე. მაჩინელი) „სასტუმრო“ (2001 წ.). სასტუმრო ვენეციაშია, სადაც უნდა გადაღებულ იქნეს ჯონ ვებსტერის „მალოკის გრაფინია“. სასტუმროს მომსახურე პერსონალი საკმაოდ არაორდინალურად და უცნაურადაც გამოიყურება, თუმცა გადამღებ ჯგუფს იტალიური გულთბილობით ხვდებიან. ფილმში რეჟისორმა ტრენგ სტიკერმა არ იცის, რომ პროდიუსერს მისი ადგილის დაკავება სურს. ფინანსური მოტივაცია შემოქმედებით ამბიციებში გამოიხატა.

ადამიანი ცნობისმოყვარეა, ხშირად ეს ცნობისმოყვარეობა ამა თუ იმ პიროვნების წარსულთან შეხებასაც გულისხმობს. ახალგაზრდა ქალი – ჯოვანა ქარხანაში მუშაობს, მისი ქმარი სარისკო სამუშაოს ეწევა. ჯოვანა დაინტერესდა მეზობლით, რომელსაც სახლის მოპირდაპირე ფანჯარაში ხედავს ხოლმე. ყოველივე ეს მსუბუქ ფლირტში გადაიზარდა. ამავ დროს ჯოვანა სახლში ქმრის მიერ მოყვანილ პოლოკოსტას გადარჩენილ ებრაელ მოხუცს უვლის. ჯოვანას მიზანია, ებრაელი მოხუცის წარსულის გამოკვლევა და საოცნებო მეზობელთან შეხვედრა; ფილმი „ფანჯარა მოპირდაპირე მხარეს“ (იტალია – დ. ბრიტანეთი – თურქეთი – პორტუგალია) იტალიაში მცხოვრებმა თურქული წარმოშობის უკვე პოპულარულმა კინორეჟისორმა ფერზან ოსტოპეკმა 2003 წელს გადაიღო.

საყურადღებოა ერთი ფაქტი – ერთობლივი კინოპროდუქცია სამი ქვეყნის სამი კინორეჟისორისაგან გაერთიანდა სამი კინო ნოველით, როგორც ეს დახვეწილმა კინოხელოვანებმა მოახერხეს. ფილმი „ბილეთები“ (2004 წელი) იტალიელმა ერმნო ოლმიმ, ბრიტანელმა კენ ლოუჩიმ და ირანელმა აბას კიაროსტამიმ გადაიღეს; ცენტრალური ევროპიდან რომისკენ მიმავალ გზაზე სამი ამბავი ვითარდება. ფილმის გმირები ერთმანეთს შემთხვევით უკავშირდებიან. კინოევროპაზე სხვადასხვა ისტორია იშლება: ცხოვრებისგან და კაპიტალის დაგროვებისგან გადღლილი ბიზნესმენი ნუგემს რკინიგზის სადგურში მატარებლის ლოდინის დროს პოულობს. მეორე მამაკაცი ცხოვრების ხალისს სიყვარულში ეძებს. შოტლანდიელი ახალგაზრდები კი, რომლებიც რომში ფეხბურთის მატჩზე დასასწრებლად მიდიან, ხანგრძლივი მგზავრო-

ბის შემდეგ, ცხოვრებისეულ საკითხებისადმი დამოკიდებულება სრულიად ეცვლება. რა თქმა უნდა, ეს მყისიერად არ ხდება. ფილმი ერთ მატარებელში, სხვადასხვა ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გვიჩვენებს. ეს არის ფილმი ცხოვრებისეული ღირებულებების შესახებ.

ფილმი „შუალამის შემდეგ“ დავიდე ფერარიომ (დაიბ. 1956 წ.) 2004 წელს გადაიღო თანამედროვე იტალიური მუსიკის ფონზე. მოქმედება ვითარდება იტალიის ინდუსტრიულ ქალაქ ტურინში, სადაც ურთიერთობა ახალგაზრდებს შორის არატრივიალურია. ერთი ვაჟი კინომუზეუმის დარაჯია, მეორე – ქალაქის შემოგარენის ქურდი, მათ შორისაა გოგონა, რომელსაც არ მოსწონს ქურდის ცხოვრება. არადა, ერთხელ თავად ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და პოლიციისგან ძლივს დააღწევს თავს. ჩახლართული ისტორიები იტალიური რეალობის ცხოვრების ფონზე, ფერარიომ მოხერხებულად დაგვიხატა. იტალიელი კინორეჟისორები ექსპერიმენტს ყოველთვის ატარებდნენ. აქ მინდა გავიხსენო 2007 წელს თბილისში მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების ფესტივალზე წარმოდგენილი ალექსანდრო ბრუჩინის ფილმი „ელექტრა“, რომელშიც დოკუმენტალისტური ჟანრი შესანიშნავად იყო შეზავებული მხატვრული კინოს კანონებთან. 2007 წელს ეკრანზეა კინორეჟისორ რიკარდო მილანის (დაიბ. 1958 წელს) მიუზიკლი „პიანო – სოლო“, რომელშიც ასახულია პოპ-მუსიკოსის, ლუკა ფლორესის ხანმოკლე ცხოვრების ისტორია. ლუკა ფლორესი 1956 წელს დაიბადა. ბრწყინვალედ დაამთავრა კონსერვატორია კლასიკური პიანისტის სპეციალობით. მძიმე გრძნობა ბავშვობაში გადატანილი ტრაგედიის გამო (ლუკას დედა ავტოკატასტროფაში დაიღუპა) მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა. ეს ფსიქიკურ აშლილობაში გადაეზარდა, 1995 წელს უკანასკნელი ჩანაფიქრების დასრულებისთანავე ლუკა ფლორესმა თავად დაუსვა წერტილი თავის ხანმოკლე სიცოცხლეს. რეჟისორი არ ცდილობს იყოს მედიატორი, იგი ამ მხატვრულ ფილმში გვიჩვენებს პალერმოს, რომს, მოზამბიკს დოკუმენტალური კინოსთვის დამახასიათებელი თვისებებით.

რეჟისორ დანელიე ლუკეტის (დაიბ. 1960 წ.) ფილმში „ჩემი ძმა დედისერთაა“ (2007) ნაჩვენებია XX საუკუნის სამოციანი წლები. ორი ძმა რომის სამხრეთ ნაწილში იზრდება. მანრიკო მემარცხენეა, შესაძლოა კომუნისტიც, გულუხვი, მისი უმცროსი ძმა აკაიო კათოლიკურ სასწავლებელში – სემინარიაში სწავლობს. იგი

მოგვიანებით ნეოფაშისტურ მოძრაობას უერთდება. ფრანჩესკა – სტუდენტია არისტოკრატული ოჯახიდან, მანრიკოს შეყვარებული და აკაიოს მეგობარია. ფილმში არის დაპირისპირებები არა მხოლოდ ქუჩაში სოციალურ გამოსვლებში, არამედ ძმებს შორისაც, რაც ბავშვობის ასაკიდან მოდის. ყველა ოჯახურ სიმძიმეს ემატება შემდეგ მანრიკოს მკვლელობა ნეოფაშისტებისგან, აკაიო უკვე აღარ იქნება არასოდეს ნეოფაშისტური ორგანიზაციის წევრი(!). დანიელე ლუკეტი ყოველთვის სინატიფითა და დინამიზმში გვიჩვენებს ცხოვრებას. მისი ხელწერა ზოგჯერ ბერნადო ბესტოლუჩისას გვაგონებს.

ცხოვრების სიმშვიდეს სხვადასხვა მოვლენები არღვევს. ამ შემთხვევაში ეს არის დაკარგული მამის აღმოჩენა საპატიმროს ახალგაზრდა ზედამხედველის მიერ. ზედამხედველებმა ფაბიო თავისი და თავისი დის მეხსიერებიდან მამა სამუდამოდ ამოშალა, თუმცა მთლად საქმე ასე არ არის. იგი დაუპირისპირდა თავის დას, რომელსაც არ სურს ძველი ჭრილობების გახსენება. მამამ ოჯახი ალბათ სოციალური საკითხების და მის ნიადაგზე არსებული დრამის გამო მიატოვა. ყოველივე ეს ნაჩვენებია ალესანდრო ანჯელინის (დაიბ. 1971 წ.) ფილმში „მლაშე ჰაერი“. ალექსანდრო ანჯელინის 10 წლის განმავლობაში მოუწია იტალიელ კინორეჟისორებთან – ნანი მორეტისთან, სარბო რუბინისთან, ფრანჩესკა კომენჩინისთან თანამშრომლობა. იტალიაში ამჟამად იღებენ სატელევიზიო სერიאלებს: „კაპიტანი როკა“, „კარაბინიერები“, „მასწავლებელი“, „ლივონბროზა“, ეს სერიאלები მაფიაზე, რა თქმა უნდა, ისინი განსხვავდებიან ისეთი სიძლიერის სერიალისაგან, როგორიც იყო „რვაფეხა“. ისინი თავისი პროფესიონალიზმით ძლიერ განსხვავდებიან სამხრეთ ამერიკული „საპნის ოპერებისაგან“.

იტალია გენიალური მხატვრების, უდიდესი კომპოზიტორების სამშობლოა. სახელგათქმულმა კინორეჟისორმა პაოლო ბენვენუტიმ (დაიბ. 1946 წ.) 2008 წელს გადაიღო ფილმი „პუჩინი და ახალგაზრდა ქალი“. დიდი კომპოზიტორის ჯაკომო პუჩინის ცხოვრებიდან ამ ფილმში ნაჩვენებია მისი მოახლე ქალის – დორია მანფრედის თვითმკვლელობის ამბავი. ქალმა, რომელსაც დიდხანს პუჩინის საყვარლად თვლიდნენ, თავი 1909 წელს მოინამლა, როდესაც კომპოზიტორი ოპერაზე „გოგონა ოქროს დასავლეთიდან“ მუშაობდა. რამდენად მართალი იყო ეს ისტორია, ამაზე ქრონიკები ნაკლებად გვანვდიან ინფორმაციას, რეჟისორმა პაოლო ბენვენუტიმ გაითვალისწინა უკვე არსებული კინო დოკუმენტები პუჩინის ყოველ-

დღიური ცხოვრებიდან, მის სასახლეში მისი ნადიმოყვარეობა, იტალიის იდილია, ვნებებით სავსე ცხოვრება, ინტიმური და მტანჯველი ნუთები. სცენარისტ პაოლა ბარონის და თავად რეჟისორის პაოლო ბენვენუტის ნატიფმა ხელწერამ განაპირობა ამ მხატვრული ფილმის წარმატება (მთავარ როლში – რიკარდო მორეტი).

რეჟისორმა ფედერიკო რიძომ (დაიბ. 1975 წ.) გადაიღო არაორდინალური ფილმი „გაქცევა სატელეფონო ცენტრიდან“ (2008 წ. მთავარ როლში – ანჯელო პიზანი). სიუჟეტიც არაორდინალურია, თუმცა ცხოვრებისეული რეალობის უკიდურესი ჩვენებით. ვულკანოლოგიის სპეციალობით უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული ჯანფრანკო პირდაპირ ჯოჯოხეთში ხვდება, არა ვეზუვზე ან ეტნაზე, არამედ სატელეფონო მომსახურების ცენტრში. ეს არის უკუღმართი სამყარო, რომელსაც საეჭვო ფასეულობების მატარებელი პიროვნებები – „ტიპები“ მართავენ და რომელშიც საუნივერსიტეტო, ხარისხს, დიპლომებს და უნარს ფასი არა აქვს. აბსურდულ რეალიზმში მყოფმა ჯან ფრანკომ აღარ იცის, როგორ ირჩინოს თავი, როგორ შექმნას ოჯახი მარცხისთან. „საშინლად ძვირი“ ცხოვრება, რაც ხაზგასმულია, ფილმში, დანგრევით ემუქრება მათ ურთიერთობას.

იტალიურ კინემელოგრაფს ყველა ჟანრი ყოველთვის ეხერხებოდა. გავიხსენოთ მათი ნეორეალისტური ფილმები, ანდა „პოლიტიკური კინოს“ კანონიკურად გადაღებული ფილმები – მაფია, კრიმინალი, სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. ყველგან თითქოს დეტექტიური ფაბელაა, მაგრამ აქ არათუ დეტექტიური ფაბელა იყო, არამედ მეტიც. და აი, იტალიელმა კინორეჟისორმა, ანდრეა მალაიოლიმ (დაიბ. 1967 წ.) გადაწყვიტა 2008 წლის „სუფთა წყლის“ დეტექტიური შინაარსის ფილმი გადაეღო – „გოგონა ტბის პირას“, რომელიც იტალიის კინოაკადემიის პრიზით „დონაეტელოს დავითით“ აღინიშნა საუკეთესო რეჟისურისათვის, და მართლაც, ფილმი დახვეწილი გემოვნებით გადაღებული დეტექტივია. ალპური ტბის პირას ახალგაზრდა გოგონას გვამს პოულობენ. გამომძიებელი სანციო, შუახნის პოლიციელია, მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება, ცოლი ფსიქიატრიულ კლინიკაშია, ვერავის ცნობს; პატარა ქალაქში მცხოვრებ, საკუთარ პრობლემებში ჩაფლულ პოლიციელს ჩახლართული ისტორიის გახსნა მოუწევს... თურმე ქალს თავად სურდა, რომ იგი მოეკლათ. მაგრამ როგორ? მაყურებლებმა თავად უნდა ნახონ ფილმი.

სოციალურ-პოლიტიკური რაკურსითაა გადა-

ღებულის კინორეჟისორმა მატეო გარონეს (დაიბ. 1968 წელს) გახმაურებული ფილმი „გომორა“, რომელშიც ფულზე, ანგარებაზე, ძალაუფლებაზე დამყარებული ნეაპოლის და კასერტას მცხოვრებნი ჟამის ყოველ მომენტში აწყდებიან ათასგვარ უბედურებისა. გომორა ანუ ნეაპოლური მაფია უნინ ჩვენ „კამორას“ სახელით ვიცოდით, მაგრამ მაფია პერსონიფიცირებული ცნებაა? თუ თავად სისტემა? მოსახლეობა იძულებულია „სისტემის“ ანუ გომორას წევრებს დამორჩილოს. ფილმი რამდენიმე ისტორიისაგან შედგება. ფანტასმაგორიულობის ზღვარზე მდგარი რეალობა. სისტემა, რომელიც შობს ძალადობას, თავისთავად თავისთვისაც ძალადობის ობიექტად ქცევა. მატეოს გარონემ ეს დაწვრილებით სკურპულოზულად და გარკვეული

„მეამბოხე“ რეჟისორის პოზიციიდან დაგვანახა. 2003 წელს „მეოცნების“ წინ ბერნანდო ბერტოლუჩიმ გადაიღო ფილმი „საცხოვრისი გარემო“ (1999 წ.), რომელიც ესტაფეტა უნდა ყოფილიყო 21-ე საუკუნისთვის. ფილმი ერთგვარი იგავია ქალსა და მამაკაცზე. რომის ცენტრში ნაქირავები ბინა 2 ახალგაზრდისთვის ერთგვარი თავშესაფარია. თეთრი-პიანისტი კაცი ინგლისელია, ხოლო ქალი აფრიკელი ზანგია დასაქმების მძებნელი. არის პრობლემების დაუსრულებელი ნაკადი, კამათი, ნერვოზულობა, იმედები, ისმის ფორტეპიანოს ხმა... ისინი არსებობენ იტალიურ წიაღში, ე. ი. სიცოცხლე დედამიწაზე გრძელდება. აი, ასე მარტივად და დეკლარირებული ყოველივე, თუმცა ურთულესი სიბრძნითა და სიღრმით.

ქრონიკა


საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა, მოვლენები, ფაქტები

* 2009 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების მთავარ ბიბლიოთეკაში (გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე) ბიბლიოთეკარებმა, ბიბლიოთეკათმცოდნეებმა და მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს საბიბლიოთეკო დარგის ცნობილ სპეციალისტს, პროფ. ალექსანდრე ლორიას მისი დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.

* ა. წ. 28 იანვარს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ლარიბაშვილი) ჩატარდა ასტრონომიის წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებას

ესწრებოდნენ საქართველოს ასტრონომიული ასოციაციის წევრები, საქართველოს ეროვნული ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის სპეციალისტები, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ახალი გამოცემები ასტრონომიაში, უჩვენეს ფილმი.

* 1 მარტიდან მუშაობა განაახლა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებულმა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებმა. ორკვირიანი კურსები გაიარეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დირექტორებმა და პასუხისმგებელმა სპეციალისტებმა.



კონწარას კლუბი



თურმე სად ვყოფილვართ!



რად უნდა იმას მტკიცება, რომ თუ გსურს გაიგო, სად ხარ, საჭიროა იქეთ-აქეთ მიიხედო და თვალი კარგად გაახილო. მაგრამ მარტო თვალი რას გეყოფა, გონებაც თუ არ მიაშველე. ჩვენი ცხოვრების მეტი წილი ისე გავატარეთ, გვარწმუნებდნენ: ჩვენ ყველაზე წინ ვართ, ყველაზე უკეთესები და ყველაზე გამორჩეულები, მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვანატრის და ჩვენგან იღებს მაგალითს.

სხვა დარგზე არ მოგახსენებთ, მაგრამ საბიბლიოთეკო საქმეში ასე რომ იყო, საყოველთაოდ ცნობილია. სამწუხაროდ, გვიან დავაწყვიტეთ თვალეები, დავინახეთ – იქ არა ვართ, სადაც გვეუბნებოდნენ ხართო, და თავი გვეგონა, მაგრამ ჯერაც ვერ გავრკვეულვართ, სად ვართ. ეს განსაკუთრებით ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკებზე ითქმის: მართლაც, რას წარმოადგენენ ისინი? რა აქვთ და რა არა აქვთ? რა აკლიათ? საით მიდიან და საით უნდა მიდიოდნენ? რა უნდა აკეთონ და რას აკეთებენ? მრავალი ისეთი შეკითხვა შეიძლება გაჩნდეს, თავგზა აგვირბნიოს.

ცოტა უფრო ნათლად რომ გავერკვეთ, სად ვართ, რა გვინდა და არ გვაქვს, რა უნდა ვაკეთოთ და ვერ ვაკეთებთ, მიმოვიხედოთ ირგვლივ და იქნებ დავინახოთ, რას ითხოვენ დღეს მსოფლიოს სკოლების ბიბლიოთეკებისაგან. ამის მშვენიერ საშუალებას იძლევა IFLA/UNESCO-ს „სახელმძღვანელო სკოლის ბიბლიოთეკებისათვის“.

წინასწარვე მინდა გაგაფრთხილოთ: ამ წიგნში ისეთი რამეები წერია, ეტყობა, იფლა-იუნესკო მხედველობაში სრულებითაც არ გვიღებენ ჩვენ, არამედ მხოლოდ მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ვითარებას. ისინი მსოფლიოს სკოლებს ისეთ რამეებს ურჩევენ, ისეთ რამეებს სთავაზობენ, ჩვენ საზმრადაც რომ არ მოგველანდება... ისე, კაცმა რომ თქვას, ან რად გვინდა? რაში გამოგვადგება ის, რისიგანხორციელება არ შეგვიძლია და,

სიმართლე რომ ითქვას, არც არავის ჭირდება, არავის არ უნდა და არავინ არ ინუხებს თავს ამაზე? ამ დოკუმენტის ერთადერთი ღირსება იმაშია, რომ მისი მეშვეობით შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა მოთხოვნებს აყენებს კაცობრიობა სასკოლო ბიბლიოთეკების წინაშე და ისიც გავარკვიოთ, თუ სად ვყოფილვართ, დავინახოთ აგრეთვე, რომ სრულიად სხვაგან ვართ და სულაც არ ვდგევართ იქ, სადაც მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სკოლების ბიბლიოთეკები. მაგრამ რად გვინდა? განა ჩვენ ცუდად ვგრძნობთ თავს? რატომ უნდა ავიტკიოთ აუტკივარი თავი? ჩვენ ჩვენს გზაზე მტკიცედ ვდგავართ და ვიდგებით კიდევ. ჩვენ შეჩვეული ჭირი გვირჩევნია შეჩვეველ ლხინს.

მაგალითად, გამოკვეთილად ჩანს, რომ იფლა-იუნესკოს ერთ-ერთი მთავარი განცხადება შემდეგშია: „სასკოლო ბიბლიოთეკა უნდა იმართებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფციის შესაბამისად. ბიბლიოთეკის მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები ყალიბდება სკოლის გლობალური მოთხოვნების და გადაწყვეტილებების შესაბამისად და გამოხატავს მის სულისკვეთებას, მიზნებს, ამოცანებს, აგრეთვე მის რეალიებს“. – რა მიაბიჭურად უღერს ეს ჩენთვის! – რისი „მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია“... „მკაფიოდ“ კი არა, ბუნდოვნად ჩამოყალიბებული კონცეფცია გვაქვს თუ რა? ან რომელ „პრინციპებზეა“ ლაპარაკი? ამაზე ჩვენს ბიბლიოთეკარებს წარმოდგენაც კი არა აქვთ. ნათქვამია, რომ ეს პრინციპები შემუშავებული უნდა იყოს „არა მხოლოდ სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ, არამედ პედაგოგიური კოლექტივის და ხელმძღვანელობის მონაწილეობით“.

მეტი საქმე არა აქვთ ან პედაგოგიურ კოლექტივს ან სკოლის ხელმძღვანელობას! ბიბლიოთეკისათვის სად სცალიათ? ამას ისინი მხოლოდ მაშინ აკეთებენ, როდესაც რაიმეს-



თვის სჭირდებათ ბიბლიოთეკა (მაგალითად, დაგვიანებული მოსწავლეების იქ შესაყრელად ან გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაგროვებლად).

როგორც ხსენებულ სახელმძღვანელოში წერია, თურმე სხვადასხვა ქვეყნის სკოლების ბიბლიოთეკების „მიზნების რეალიზაციის პროცესში სკოლის ხელმძღვანელობა სისტემატურად ახორციელებს მისი მუშაობის მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს გამოყენებული მეთოდების სისწორეში“. იმასაც წერენ, რომ აუცილებელია სამუშაო გეგმა, რომელიც „უნდა შეიცავდეს სტრატეგიას, მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს“. თავს დავდებ, საქართველოს სკოლების ბიბლიოთეკების გადამჭრელი უმრავლესობა სულაც უგულვებელყოფს ყოველგვარ გეგმას. ახლადგამომცხვარი „სპეციალისტების“ თვალსაზრისით, სკოლის ბიბლიოთეკას არავითარი გეგმა არ ესაჭიროება. ეს წარსულის გადმონაშთია. იფლა-იუნესკოს სპეციალისტები კი სანინალმდეგოს ამტიკიცებენ: „პრინციპები და გეგმები აქტიური დოკუმენტებია, რომლებიც მუდმივად უნდა განიხილქდეს კრიტიკულად და ზუსტდებოდესო“.

ეე!... ეს უკვე ნამეტანია! ეს აკლია ახლა ჩვენი სკოლების დირექტორებს, ამაზე იზრუნონ და იფიქრონ! საქმე შემოელიათ?

წარმოიდგინეთ, რას გვთავაზობს „სახელმძღვანელო!“ თურმე ფონდების ფორმირების პოლიტიკაც კი უნდა გაგვაჩნდეს!

ეს კიდე რაღა დროზანაა? – იკითხავს საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, მათ შორის სკოლის ხელმძღვანელები და ზოგი ბიბლიოთეკარი. რა პოლიტიკა ჭირდება ფონდების ფორმირებას? – არის ფული? – იყიდე წიგნები, გამოიწერე პერიოდიკა; არ არის? – არ იყიდო, მორჩა და გათავდა! ეგაა მთელი პოლიტიკა. ეს ბატონები კი გვასწავლიან: „სასკოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ფონდის ფორმირების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო გეგმასთან“.

წარმოგიდგინათ, ამის წამკითხველი მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი რამდენს იცინებენ ამის გამგონები (თუ წაიკითხავენ, საერთოდ)? ესენი ვინ ყოფილანო! ამათ რა ჰგონიათ სკოლის ბიბლიოთეკა? რაღა საჭიროა დღეს წიგნადი ფონდები, როცა კომპიუტერი არსებობსო, – იტყვიან. მართალია, სკოლების ბიბლიოთეკებში თითქმის არ-

სად არ არის კომპიუტერი, მაგრამ მერე რა? სკოლის დირექტორის კაბინეტში ხომ დევს? მოვითმინოთ კიდე რამდენიმე წელი და სკოლის დირექტორს ახალს მისცემენ, იმ ძველს ბიბლიოთეკას გადაულოცავს და, მორჩა – გათავდა. რა თავში სახლელად გვჭირდება წიგნები? იმასაც კი ამბობენ „სახელმძღვანელოს“ ავტორები, თითქოს „ითვლება, რომ წიგნადი ფონდის დაკომპლექტების დონე უნდა იყოს 10 წიგნი ერთ მოსწავლეზეო“.

იჰ, ეს ხომ ცრუ ოცნების სფეროა! 10 წიგნი სკოლის ერთ მკითხველზე კი არა, ჩვენში სამ-ოთხ ბიბლიოთეკაზეც კი არ მოდის, და ეს სპეციალისტები კიდე რას ამბობენ! სულ არ ესმით საქმის არსი. რამდენად ჩამორჩენილნი არიან ისინი იქედანაც ჩანს, თუ რას წერენ, საერთოდ, სკოლის ბიბლიოთეკის ფონდზე:

„სასკოლო ბიბლიოთეკა უნდა ფლობდეს თავისუფალი დროისათვის საჭირო მასალებს, მაგალითად, პოპულარულ რომანებს, კომპაქტ-დისკებს, კომპიუტერულ თამაშებს, ვიდეო-კასეტებს, ლაზერულ ვიდეო-დისკებს, ჟურნალებს, პოსტერებს“.

შეიძლება ამაზე კომენტარის გაკეთება? ვინ და სად ნახა ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებში ამგვარი ფონდი? სად გაგონილა იმას ითხოვდე სკოლის ბიბლიოთეკებისაგან, რაც დაარღვევს მათი ფონდების სიმწყობრეს? ჩვენ ახლა სულ იმას ვფიქრობთ, როგორმე დავცალოთ სკოლის ბიბლიოთეკები ამ ნაგავისაგან და მისი ფართობი უფრო ჭკვიანურად გამოვიყენოთ, ისინი კი უკან გვექაჩებიან წიგნებისა და ჟურნალებისაკენ. გაუგონარი ჩამორჩენაა!

რაც შეეხება საკადრო უზრუნველყოფას, ამ საქმეში ხომ სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ „სახელმძღვანელოს“ ავტორები:

„სასკოლო ბიბლიოთეკის გამგე პროფესიულად მომზადებული თანამშრომელია, რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო ბიბლიოთეკის დაგეგმარებისა და მუშაობაზეო, – წერენ ისინი და დასძენენ: „უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კარგად მომზადებულ და კეთილსინდისიერი კადრებით დაკომპლექტებას... სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეს უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლება და შესაბამისი კვალიფიკაცია, ამასთან, იცოდეს პედაგოგიკის თეორია და მეთოდოლოგია... ისიცაა ნათქვამი, რომ „ეს თანამდებობა მოითხოვს კანცელარულ და ტექნიკურ ცოდნას საბიბლიოთეკო საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განათლება უნდა უზრუნველყოს ბიბლიოთეკამ“, ერთგან ისიცაა ნათქვამი, რომ

„ბიბლიოთეკარი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში“.

ღმერთო ჩემო, ეს რას ჰგავს! ასე რომ ითხოვენ, ბიბლიოთეკარს „პროფესიული განათლება უნდა ჰქონდესო“, ეტყობა, ავტორები სრულებითაც არ უნევენ ანგარიშს ჩვენში არსებულ „მიღწევებს“. იმას რატომ არ კითხულობენ, ეს საიდანო? საქართველოში ამ დარგის პროფესიული განათლება სრულად მოსპობილია და როგორც „დაამტკიცეს“ ახალგამოჩევილმა „სპეციალისტებმა“, არცაა საჭირო. ბიბლიოთეკაში მუშაობას რა უნდა? წერა-კითხვა თუ იცი, მეტი რაა საჭირო? ჩვენ, ქართველები განსაკუთრებულად ნიჭიერი ხალხი ვართ: ის, რაც სხვისთვისაა საჭირო, ჩვენთვის სულაც არაა აუცილებელი. მაგალითად, პროფესიული განათლება ესაჭიროება ფრანგებს, გერმანელებს, იტალიელებს, ინგლისელებს, ნიდერლანდებს, ამერიკელებს, კანადელებს და სხვებს. ჩენ კი რად გვინდა? ესეც რომ არ იყოს, მართლა რომ პროფესიონალებით გადავავსოთ სკოლების ბიბლიოთეკები, მაშინ სკოლის დირექტორმა რა უნდა ჰქნას? რა უყოს თავის ცოლის დას, დიშვილებს, ქმრის მამიდას, დეიდას თუ ახალ სკოლადამთავრებულ ნათესაობას, ათას ნაცნობ-მეგობარს? ადამიანობა არ არის? რა ეშველება ამ ხალხს? ამაზე თუ უფიქრიათ „სახელმძღვანელოს“ ავტორებს?

არა, ბატონებო, არა და არა! არ შეიძლება ბრმად ვენდოთ უცხოეთის გამოცდილებას და ყველაფერზე თავი ვუქნიოთ. ჩვენ ჩვენი „ადგილობრივი პირობები“ უნდა გავითვალისწინოთ.

არ შეიძლება ერთ რეკომენდაციაზეც არ შევაჩერო თქვენი ყურადღება – ხსენებულ „სახელმძღვანელოში“ ერთი უცნაური მითითებაა მოცემული: თურმე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე უნდა „ითვლებოდეს პედაგოგიური კოლექტივის სრულუფლებიან წევრად, შეეძლოს მონაწილეობის მიღება საერთო საქმეში და ესწრებოდეს ყველა თათბირს“.

ასეთი რამ არც სკოლის დირექტორებს და არც განათლების სამინისტროს, ცხადია, აზრადაც კი არ მოსვლიათ, მართლაც, გაგონილა ამდენი პატივისცემა ერგოს სკოლის ბიბ-

ლიოთეკარს? ეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმაც კი ვერ შეძლო და იფლა და იუნესკო ვინლა არიან? ეს რა გაუბრალოებაა სკოლის ავტორიტეტისა! სადმე, რომელიმე ქვეყანაში მართლა ასე თუა, ეს ხომ ნამდვილი პროფანაციაა, და ყოჩაღ ჩვენ, რომ არ ავყევით მათ და ბიბლიოთეკარები არ მივიჩნიეთ პედაგოგების თანასწორებად, ზოგმა დირექტორმა ბიბლიოთეკარებს პედსაბჭოს სხდომაზე დასწრებაც კი აუკრძალა. აი, ასე უნდა, ეს „სახელმძღვანელო“ კი, ვერ ხედავთ, რას გვთავაზობს? ეს ხომ ჩვენს საქმეებში აშკარა ჩარევაა?

ან რას ჰგავს ის, რომ გვარნმუნებენ: თითქოს „სასკოლო ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილიაო“. ამას ჩენი კანონიც და ტიპიური დებულებაც გვამცნობს, მაგრამ ჩვენ ერთ ყურში ვუშვებთ და მეორედან გამოვუშვებთ ხოლმე და იფლა და იუნესკო რას მიქვიან? ისინი იქამდე გათამამდნენ, ჩვენი სკოლების დირექტორების გასაგონად თამამად აცხადებენ: „დირექტორი კარგად უნდა ერკვეოდეს სკოლის ბიბლიოთეკის მნიშვნელობაში და ხელს უწყობდეს მის განვითარებას... უზრუნველყოფდეს მასწავლებლების და ბიბლიოთეკის მუშაკების ურთიერთთანამშრომლობას... სკოლის ბიბლიოთეკის შეფასებისას სკოლის დირექტორმა უნდა გაითვალისწინოს, ხაზი გაუსვას ბიბლიოთეკის მუშაობას, მისი მნიშვნელობის დადგენილი სტანდარტების შესრულების საქმეში“.

ჩემო მკითხველებო! მაინტერესებს, თქვენ როგორ შეაფასებთ იფლა-იუნესკოს ერთ-ერთ დასკვნას, რომელშიც ნათქვამია: „როგორც წესი, სტანდარტულ გამოცდებზე უმაღლეს შეფასებას დებულობენ იმ სკოლის მოსწავლეები, სადაც სხვა ფაქტორებისაგან (მაგ. ეკონომიური) დამოუკიდებლად სასკოლო ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია მეტი კვალიფიციური პერსონალით, მეტი წიგნებით, ყურნალებით და ვიდეო მასალით“.

დავეთანხმოთ თუ არა ამას? ვენდოთ?

*მუდამ თქვენი
პატივისცემელი კონწარა*



საცნობოდ საკითხავი

სხვადასხვა



• 1526 წ. სულთანის – სულიმან მეორის ბრძანებით, რომელმაც დაიხურა და განადგურა უნგრეთის ქალაქი ბუდა, იქაური სამეფო კარის მდიდარი ბიბლიოთეკა თურქეთში გაიტანა.

• 1537 წ. საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში გამოიცა ბრძანება სავალდებულო ცალეზის შესახებ. ყველა გამომცემელი ვალდებული იყო, გამოქვეყნებული ნიგონის ერთი ეგზემპლარი სამეფო ბიბლიოთეკისათვის გადაეცა.

• 1794 წ. პოლონეთში თადეუშ კოსტიუშკოს აჯანყების ჩაღმობის შემდეგ ეკატერინე მეორის ბრძანებით ძველი ჯალუცკების ბიბლიოთეკა, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკად ითვლებოდა, გადაიტანეს რუსეთში.

• ტურმინი „საჯარო ბიბლიოთეკა“ წარმოიშვა ინგლისში ჰილდჰოლის ბიბლიოთეკის მიხედვით XV საუკუნეში. ეს ბიბლიოთეკა ემსახურებოდა უპირატესად სასულიერო პირებსა და სტუდენტობას. სახელწოდება „საჯარო“ წარმოიქმნა ლათინურიდან – „ბიბლიოთეკა პუბლიკა“ (bibliotheca publica).

• ფინელი არქიტექტორი ალვარ ალტო, რომელმაც ვიზორგის საქალაქო ბიბლიოთეკა ააგო, თვლიდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკა ღრმად ბიოლოგიურია – ემყარება თვალისა და ყურის მოქმედების კანონზომიერებებს. მის მიერ აგებული ბიბლიოთეკა გამოირჩეოდა ორიგინალობით, მოხერხებულობითა და სამშენებლო მასალის სიაფით. შუქი და გათვობის თბილი ნაკადი მოდიოდა ჭერიდან; შენობას ირგვლივ ერტყა ბაღის მყუდრო გარემო; საცავი არ არსებობდა – ფონდი მთლიანად თავისუფალ დაშვებაზე იყო გაანგარიშებული. მან შექმნა ე. წ. „გალერიული ბიბლიოთეკა“, თავიდან ბოლომდე ფუნქციურ გამოყენებას გულისხმობდა.

• გერმანიაში დაცულია ე.წ. „მერქნის ბიბლიოთეკა“. ასეთი „ბიბლიოთეკები“ გერმანულ არისტოკრატთა შორის XVIII საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „ნიგონი“ არის ხის ზარდახვა, რომელსაც ოქროსფრად შეღებილი ხისვე

სარქველი აქვს ზედ სათაურის წარწერით. შიგ ჩანყოფილია გამსმარი ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი, თესლი, ფესვები. შიგვე დევს მათი მოკლე ბოტანიკური აღწერილობანი ნახატებით. მეტად ორიგინალური მოფიქრებაა ფლორის შესასწავლად.

- მსოფლიოში არაერთი მინიატურული წიგნია შექმნილი, რომლებიც ყველაზე პატარა წიგნად ცხადდება, თუმცა ქნელია გამომარჩიო, სინამდვილეში რომელს შეიძლება პირველობა მიენიჭოს. მაგალითად:

- იაპონიაში გამოცემული ერთი წიგნი სისქით ერთი მილიმეტრია, მისი ფორმატია 2,8X4 მილიმეტრი. 24 გვერდზე 100 ლექსია დაბეჭდილი;

- მოსკოვში 1970 წელს გამოსცეს მინიატურული წიგნი ზომით 16X16 მილიმეტრი;

- მინიწიგნი 1687 წელს დაამზადეს იტალიაში – ლათინური ტრაქტატი. იმდენად პატარაა, მოზრდილ საფოსტო მარკაში შეიძლება შეხვევა.

- 1896 წელს აქვე გამოიცა „ახალი აღთქმა“, რომელიც შეიცავს 1200 გვერდს. მისი ზომებია – 1,4 სანტიმეტრი სიგანე, სიმაღლე – 1,6 სმ.

- ცნობილია, რომ ვენაში ერთ-ერთი რესტორნის კლიენტებს სთავაზობდნენ საკულინარო წიგნს ზომით 23X21 მილიმეტრი, რომელშიც თავმოყრილი იყო კერძების დამზადების 100 რეცეპტი. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა. არ ვიცით, აღმოჩნდა თუ არა.

- ალჟირში გამოუშვეს 400-გვერდიანი უზომოდ თხელფურცლიანი წიგნი ზომით 20X25 მილიმეტრით. მისი სისქე 15 მილიმეტრია.

- ყველაზე პატარა ლექსიკონური გამოცემაა ლაიფციგში გამოქვეყნებული წიგნი, რომლის ზომაა 3X2,5 მილიმეტრი. ყოველ ასოს ერთვის სახუმარო ნახატი, მის სანახავად საკმაოდ ძლიერი გამადიდებელი შუშის გამოყენებაა საჭირო.

- ყველაზე პატარა დაბეჭდილი ბიბლია სიმაღლით 4,5 სანტიმეტრია, სიგანით – 3 სმ., სისქე უდრის 2 სმ-ს. შედგება 872 ფურცლისაგან, იწონის 20 გრამს.

- მთელ მსოფლიოში მრავლად გამოიცემა ლექსები წიგნსა და კითხვას შეეხება, რომლებშიც ლაპარაკია კითხვასთან დაკავშირებულ სოციალურ და ემოციურ მომენტებზეც კი. ამჟამად მთავაზობთ ინგლისური პოეზიის ორ წიგნს, გადმოღებულს ქართულ ენაზე.

კველი ინგლისური სიმღერა

ფოთლები გაღვი მშვიდად შრიალებენ,

ქუჩა კი ხმაურობს, იძვრის და ელავს.

თვალს ვერ ვაშორებ მე ჩემ წიგნს დიდებულს,

გული ძლიერად შფოთავს და დელავს.

ზოგს ბრილიანტი და ოქრო აბიჯებს,
 არ ერიდებიან ამ სენს;
 მე კი მსურს ნიგნი და შუქი მთვარისა,
 სულს რომ ოცნებით ავსებს.

მერი ენი ლეიბი

(1764–1847)

* * *

მასსოვს მე ბავშვი, ანთებული დიდი თვალებით,
 ნიგნსავაჭროში, ზნელ კუთხეში გაშლილი ნიგნით.
 ისე გაერთო კითხვაში რომ გადაავიწყდა,
 რატო კი ხდებოდა მის გარშემო, გარეთ თუ შიგნით.
 ნიგნის პატრონმა – უხეშმა და მოუთმენელმა,
 რა ნახა ბავშვი, უცებ რისხვით აენტო იგი.
 უთხრა: „შენ აქ რომ არასოდეს არ გივამოჭრია,
 ვინ მოგცა ნება, აიღო და იკითხო ნიგნი?!“
 შემცბარი ბავშვი უკანხევით გავიდა გარეთ,
 წყევლის თავის ჯედს, სიღატაკს და უფულოებას, –
 ნეტავ არასდროს არ სცოდნოდა მას წერა–კითხვა,
 ან არ ენახა არასოდეს კაცთ უგლოვა.

მთრგმნ. – ა.ლ.





1927 - სამკითხველო დარბაზში



იაკობ გოგებაშვილის გონივრული მუშაობა - 170

